

გოთლივი ყყუთსლიძე



ყყუთსლიძე მდიანი

# გიორგი ყუფარაძე

ლექსთა ამ კრებულს ვუძღვნი ჩემს მეორე ნახევარს ეთერ შავლუხაშვილ-ყუფარაძისას იმის აღსანიშნავად, რომ ჩემს საქმეებში არ ერევა, რჩევებს არ მაძლევს და ხელს არ მიშლის. მცირე კაპრიზი კი ყველა ქალს ეპატიება

## ყუფარაძეები

თბილისი  
2013

UDK (უაკ) 821.353.1-1  
ყ-981

ყუფარიზმები, ანუ „ბრძენსიტყვაობა მარცვლებად“, იწყება ერთმარცვლიანი ლექსებიდან და გრძელდება ოცდათერთმეტმარცვლოვან ლექსებამდე, რომლებშიც ძირითადად გამოხატულია აფორისტული აზრები, რომლებიც მელოდიურადაა აჟღერებული. სტროფებში ტაეპების რაოდენობა განსაზღვრული არაა, მაგრამ ძირითადად ოთხტაეპიანია. ლექსთა შინაარსი ნაირგვარია – პოლიტიკური, სატრფიალო, იუმორისტული, ყოფითი, ამბიციური, რომლებიც დაფიქრებას, ანალიზს მოითხოვს.

ყუფარიზმებს ახასიათებს ლაკონიურობა, ფორმის სიმკაცრე, ქარაგმულობა, მოითხოვს აზრის კონცენტრაციას, ახასიათებს ექსპრომტულობა, ზოგჯერ აბსტრაქცია. ყუფარიზმების ავტორი გახლავთ მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანი. ყუფარიზმებმა ფეხი აიდგა XXI საუკუნის დასაწყისში და იმედია, ეს მიმართულება „მამფორიზმების“ მსგავსად თავის ადგილს დაიკავებს ლიტერატურაში და მას გარკვეული ოდენობის მიმბაძველიც და მხარის ამბმელიც გამოუჩნდება.

რედაქტორი: პროფ. ლერი ჩანტლაძე

ISBN 978-9941-0-5295-8

© გ. ყუფარაძე, 2013

## ავტორისაგან

მართალი გითხრათ, პოეტური კრებულის გამოქვეყნებაზე არც მიფიქრია, მიუხედავად იმისა, რომ ჯეელობაში შეთხზული მქონდა რამდენიმე სალალობო-გასართობი ლექსი, ძველი კეთილი დროისა და გარემოს განწყობის შესატყვისნი, რომლებიც „დაპატიმრებულები“ მყავდა ძველ საერთო რვეულში. დიდი ხანია, რაც ლექსები აღარ დამიწერია. მათი შეთხზვის სურვილი ჩემი აფორიზმების კრებულის „მზემცინარობის“ მესამე ტომის საბოლოო რედაქტირებისას გამიჩნდა. ჩემდაუნებლიეთ დავინწყე ამ აფორიზმების გალექსვა და ამ „ნალვანმაც“ ჩემი სანერი მაგიდის უჯრაში ამოყო თავი.

მოგვიანებით გადავხედე „ნალვანს“. ჩემდა გასაკვირად, მომეწონა. დავინწყე მათი რედაქტირება. რალაც გამოვიდა, შემდგომ ვაჩვენე ისინი ჩემს მეგობარს, ჩემი წიგნების უცვლელ რედაქტორს, მწერალს, ფილოსოფოს ლერი ჩანტლაძეს. მითხრა, გადავხედავო და ცოტა ხნის შემდგომ „გარანდული“ დამიბრუნა.

მოგეხსენებათ, პოეტური მეტყველება ბგერათა ერთობლიობის კანონზომიერი თანმიმდევრობით მონესრიგებული სისტემაა. მის შემსწავლელ პოეტიკის დარგს მეტრიკა ეწოდება. მოკლედ, შევუდექი პოეზიის თეორიის შესწავლას და გამოირკვა, რომ ჩემი მეტრისტული ნააზრევი სხვათა ნააზრევისგან განსხვავდება და იმდენად თავისებურია, გადავწყვიტე მკითხველს წარუდგინო.

როგორც ვიცით, პოეტიკა ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი ნაწილია, რომლის მიზანია მსოფლიო ლიტერატურაში მუდმივი ან მორიგეობითი მოქმედი ნორმების კვალიფიკაცია. იგი ცდილობს პოეტური ენის გამიჯვნას. პოეტიკის ერთ-ერთი განმტობებაა პოეზია, რომელსაც თავისი რითმული კანონზომიერებები ახასიათებს. პოეზიის ყველა სახეობათა მოდიფიკაცია

დღემდე გრძელდება და სხვადასხვა სკოლის და მიმდინარეობის აღმოცენებით (კლასიციზმი, რომანტიზმი, სიმბოლიზმი, მოდერნიზმი, რეალიზმი, ფუტურიზმი და მრავალი სხვა) მთავრდება.

დღეს პოეზიაში მივიღეთ ახალი მიმართულება – ყუფარიზმები, რომელიც, ჩემი აზრით, თავის კანონებით მოქმედებს.

ყუფარიზმებში სიახლეა შემოთავაზებული როგორც მარცვლების ნყოფაში, ისე ჟღერადობაში, დასათაურებაში. მიუხედავად ამისა, მას თუ ყურადღებით გადავხედავთ, არც რითმი აკლია, არც ჟღერადობა, ორიგინალობა, მის აფორისტულ აზროვნებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

ამ კრებულში, ერთმარცვლიანი ლექსებით დაწყებული და სარჩევ-ასარჩევით დამთავრებული, ყველაფერი მკითხველისადმი პატივისცემით და ნდობით არის აღსავსე.

დანარჩენი მკითხველის გემოვნებისთვის, მისი მეგაბაიტის „გაქაჩვისა“ და პოეზიის სიყვარულისთვის მიმინდვია.

P.S. ეს წიგნი დაწერილია მათთვის, ვისაც ლექსები არ უყვარს, ვისაც უყვარს და ვინც ლექსში სიახლეს და ფილოსოფიურ სანწყისებს ეძებს.

გიორგი ყუფარაძე

# I. ერთმარცვლიანი ლექსები

## 1. სად

სად

მე,

სად

შენ,

სად

ჩვენ,

სად

თქვენ!

მყავს

ძმა,

მყავს

და.

მაქვს

ის,

რაც

შენ.

წინ

გზა,

ჩვენ

რა?

ხვალ,  
ზეგ,  
დგას  
დღეს.

დგას  
ის,  
სდექ  
შენც!

მზე,  
ცა,  
კვლავ  
მზე,

არც  
შენ,  
არც  
მე.

ცრემლს  
ღვრის  
ის,  
ჩვენც.

ვართ  
მხნედ  
კვლავ  
ჩვენ.

ფრთებს  
ვშლით,  
ცა,  
მზე,

ხომ  
კი  
რა  
მე.

ვინ  
შენ,  
ვინ  
მე?

## 2. კი

წვიმს  
იქ,  
თოვს  
აქ.

გზა  
აქვს  
მას  
წინ.



ვის  
რა?  
მას  
კი.

ღმერთს  
რა,  
ვინ  
ვის?

კვლავ  
წინ  
გვყავს  
ის.

რას  
კი,  
ვის  
კი.

ეს  
კი,  
ის  
კი.

## II. ორმარცვლიანი ლექსები

### 3. გაფლი

კაცი  
ლალობს,  
ღმერთი  
ფარავს.

კარგი  
ჰქენი,  
გონსა  
უხმე!

ავის  
მქნელად  
ნულარ  
მოხვალ!

ფესვი  
ყველას  
ავი  
არ აქვს.

თქვენი,  
ჩვენი,  
სხვისი,  
მისი.

კარგი  
ჰქენი,  
შენის  
მადლით.

გულით  
გიხმე,  
გონით –  
არა.

ცდილობ  
ჩადგე  
კარგთა  
რიგში.

უხმოს  
მამას,  
დედას,  
ძმასა.

ზეცის  
შვილი –  
ჟამი  
ტკბილი,

გონი  
მარად  
მახეს  
გვიგებს,

როცა  
ავსა  
ფიქრობს  
შვილი.

#### 4. თანადგომა

ლომი,  
ვირი,  
კატა,  
თაგვი –  
ცდილობს –  
ჩადგეს  
მხეცთა  
რიგში,  
მაგრამ  
ჭამა  
ხომ კი  
უნდათ  
ღვთისა  
ნაშობ  
ამა  
ჯიშის.  
მხეცთა  
მტრობა  
არას  
არგებ.  
ფიქრით.

ტვინსა  
მარად  
ულრღნის,  
ვუკმევთ  
გუნდრუკს,  
ვიღებთ  
მუტრუკს.  
შიშის  
მიტომ  
მკაცრად  
არ სწამთ.  
ვცდილობთ  
ჩავდგეთ  
კარგთა  
რიგში,  
გონის  
ხმევით  
მივალთ  
ღმერთთან.

### III. სამმარცვლიანი ლექსები

#### 5. თქვენ – ჩვენ

დღე-ღამე,  
დილა – მზე,  
გული შენ,  
სული – ჩვენ.

ვალი თქვენ,  
სესხი ჩვენ,  
ქათო თქვენ,  
ფქვილი ჩვენ.

ჭირი თქვენ,  
ლხინი ჩვენ,  
ბრანნი თქვენ,  
საქმე ჩვენ!

ჭამა – მე,  
ძღომა – შენ,  
ოქრო – ჩვენ,  
ვერცხლი – თქვენ.

ტვინი ჩვენ,  
ჭირი თქვენ,  
სული ჩვენ,  
ძილი თქვენ.

გონი ჩვენ,  
შური თქვენ,  
ჯანი ჩვენ,  
ჭკუაც ჩვენ!

## IV. ოთხმარცვლიანი ლექსები

### 6. ალგორითმი

დელი-დელა  
ალაგ-ალაგ,  
მშვიდობაში  
ყოფნა მარად!

გონი არა,  
სული არა,  
გული არა,  
მაშინ რაღა?

გონი – ჭკუა,  
სული – ხორცი  
სიტბოს ითხოვს  
ის მარადყამს.

ვიხალისოთ  
ყოველ ღამით,  
ყოველ დღე და  
მოფერებით.

ქალი ღირა,  
კაცი ფუნტი,  
ყველგან ფული –  
ლარი – ფრანკი.

აი, ყოფის  
აღგორითმი,  
აი, ყოფის  
კაპიტალი!

## 7. ეს ცხოვრება

დღე დღეს ჰგავს და  
ღამე – ღამეს;  
კაცი კაცს და  
ღამე – ღამეს?

ეს ცხოვრება  
იმ ცხოვრებას,  
ავი – ავს და  
ღამე – ღამეს?

იღბალი თუ  
მოგენია,  
კამათელი  
როგორც ნარდის.

მაშინ რიდი  
აჯომარდე,  
გარემარბის  
ან სტოპერის,



მაგრამ მართლაც  
ეს ცხოვრება  
ტემპით გარბის,  
კოსმოსურით.

არ ვიდარდოთ,  
ჟამსა ჩვენსა  
მოვუაროთ  
მოთმინებით!

გავიაროთ  
სულ ღიღინით,  
მოვეფეროთ  
გულისხმევით.

მოვეფეროთ,  
მოყვასს მიჰყევ,  
გინდა საქმით,  
გინდა ენით.

გონს მოვუხმოთ!  
ამის შემდგომ  
დავამთავროთ  
ყოფა ლხენით.

მათრობელა  
ჩვენს ცხოვრებას  
ვარდის ასდის  
სურნელეზა.

## 8. ყოფა

გულმცინარი,  
სულმცინარი,  
გონმცინარი,  
თვალმცინარი –  
გვითხარ შენი  
ჩანაფიქრის  
ანი-ბანი  
ვის ეკუთვნის,  
თუ ეკუთვნის,  
შენებრ მახლას  
და კაცია  
გონიერი,  
აბა, გვითხარ  
ჩემო კარგო,  
სადლა არის  
ყოფა ჩვენი?

## V. სუთმარცვლიანი ლექსები

### 9. მუზასთან

მუზასთან ყოფნას  
ვერ შეედრება  
ვარსკვლავთსამყარო,  
მთვარის ამოსვლა.

მზე რომ დანათებს  
ნისლიან ღრუბელს,  
გადააგორებს  
წყურვილის ნებას.

მუზასთან ყოფნა –  
სულის დილემა,  
ეს არს პოეტის  
გარჯა, დიდება.

### 10. დაგვრთეთ უფლება

დაგვრთეთ უფლება –  
მოგვეცით ნება,  
ჩვენ მოგეფეროთ,  
როგორც შენიანს,  
დაგვრთეთ უფლება,  
გვიბოძეთ ღებნა,  
თქვენ გემსახუროთ –  
არა ბოჭემას...

დაგვრთეთ უფლება,  
მოგვეცით შვება,  
თქვენც კარგად იყოთ,  
ჩვენ – უკეთესად...

## 11. ადამიანი

ადამიანო,  
გსურს იამაყო  
შენი კაცობით,  
შენი მეობით?  
მაშ, ყური მიგდე,  
სულს ნუ შეირყვნი  
სიცრუითა და  
მექრთამეობით.  
თუმც ალალ გრძნობით  
მავან ბანოვანს  
მიართმევ ახლად  
დაკრეფილ ვარდებს,  
არ შეიძლება,  
ყველა მოგწონდეს,  
არ შეიძლება,  
ყველა გიყვარდეს!

## 12. ყუფარიზმები

თქვენი აზრები,  
ჩემი მიზნები,  
რომ დაგიხატოთ  
ყუფარიზმები.  
გონის მოხმობით,  
სულის მიზნებით,  
შენ შემოგნატრის  
ყუფარიზმები.

გონიერება  
მარად თუხთუხებს,  
მას ახლავს სულიც,  
გონის ფიქრებიც –  
ყუფარიზმები.  
გვერდს უმშვენებენ  
გულის მოხმობის  
მცდელობის სურვილს.

### **13. ქალი და მუზა**

მუზა თუ ქალი,  
ქალი თუ მუზა,  
განუყოფელი,  
რომ არის მუდამ,  
ქალი გვანამებს,  
მხარს უბამს მუზა,  
ვის მოვეფეროთ,  
ქალსა თუ მუზას?..

## 14. კერპი

„ნუ შექმნი კერპებს!“ –  
ისმის მაღლიდან,  
კერპის შემყურე  
თავს ლოდს ახლიდა,  
დებდა ყველაფერს  
სულის დახლიდან,  
არ იღლებოდა –  
ისევ... ახლიდან!  
კერპი მონა-მსხვერპლს  
არ მოიცილებს,  
თავზე ხელს უსვამს,  
გულში ქირქილებს.

## VI. ექვსმარცვლიანი ლექსები

### 15. შაკითხვა

რა ამუნჯებს ენას,  
რა აყრუებს ყურსა?  
დაელმებულ თვალებს  
ნეტავ რაღა სურთ?  
რატომ იკატუნებს  
ეგ მსუნაგი თავსა?  
ახსნა იოლია:  
ელოდება ქრთამსა!

### 16. „აი, დედამინა“

სხეული რუსული,  
გონი პრუსიული,  
გავა ბრაზილიის,  
წელი კასტილიის,  
ფრანგის მაკიაჟი –  
სექსის რეპორტაჟი,  
ვნახე სომხის ცხვირი –  
მისი გასაჭირი.  
ქართველ დედის გული,  
ენა არაბული,  
საქმე ამერიკის,  
რაიც ღმერთმა მისცა,  
ებრაელთა ჭკუა –  
აი, დედამინა!

## 17. ასეცაა ზოგჯერ

ასეცაა ზოგჯერ:  
ფიქრს შეასხამს ფრთებს,  
აიჭრება ცაში,  
გადაუფრენს მთებს,  
სტიქია და მიტრობა  
ვერც ვერაფერს უზამს,  
ის კი არა, მხარზე  
ჩამოისვამს მუზას,  
მაგრამ მაინც იმედს  
გაცრუება ელის –  
ვერ შეიგრძნო მუზის  
ამბორი და ხელი.  
ნუ დავინწყებთ ბჭობას,  
ყური ვუგდოთ არაკს:  
თურმე უნიჭობას  
ღრუბელიც ვერ ფარავს!

## 18. გონთან შერკინება

გონთან შერკინებით  
ჭკუას ვიჭყლეტთ მუქთად,  
ხელს ვის აძლევს გონი?  
ჩვენს ოცნებებს, მუქთას!  
ოცნებასთან ჭიდილს,  
გონის ხედვაც უნდა,  
მასთან შეხვედრას კი,  
გულის რჩევაც უნდა.



## 19. ვიყოთ

ვატრაკოთ და ვიყოთ,  
წლები მოვხნათ, ვიყოთ,  
გონს მოვუხმოთ, ვიყოთ,  
მაგრამ რისთვის ვიყოთ?  
სიცოცხლისთვის ვიყოთ,  
მოყვასისთვის ვიყოთ,  
სამშობლოსთვის ვიყოთ,  
მაგრად უნდა ვიყოთ.

## 20. ძნელი

მიხვდე, რა გსურს მცდელი,  
საცნობია ძნელი,  
ასწაპნო რაც გინდა,  
ესეცაა ძნელი.

## 21. სიყვარულის მადლი

ვარსკვლავთმოჭედილ ცას  
რას შევადარებ, რას?  
აღბათ ფრთიან აზრებს  
და სიყვარულის მადლს.

## 22. მზე

მზე სულს გვიქსოვს ბადით,  
მზე სულს გვითბობს ერთხანს,  
მისი ნდობაც არ ღირს,  
თუ მოიხმარს „ნეტას“.  
მზე გვბინდავს თვალებს,  
სხივთა დანაბადით,  
მას ვერ დააშინებ  
თუ ლამაზებს ხედავს.

## VII. შვიდმარცვლიანი ლექსები

### 23. ბედის გამოყენება

ბედი არ იყიდება,  
ბედი არ გირავდება,  
ის არც ბანკში იდება  
და არც გაქირავდება.  
ბედის ჯადო-რაშია –  
აი, საქმე რაშია:  
ვინც დროზე მოახტება,  
ბედიც იმის რაშია!

### 24. მამულო, საყვარელო!

ძილ-ბურანში ნათრევი  
ქარო, შარახვეტია!  
სულთა გადაძახილი  
ათ ფორტეზე მეტია.  
ფიქრთა გაიგივება  
წმინდანების ხვედრია,  
რწმენის გაათმაგებას  
მოკვდავები ელიან.  
საღვთო განჩინებითა  
ჯვარი გიტარებია,  
ვაზის ჯვარზე ხვეული  
წმინდა ნინოს თმებია,  
პური ჩვენი არსობის  
შენგან ჩვენთვის ძღვენია,

ჩვენი ჩიტი-ჩიორაც  
შენი მგალობელია!  
ზრუნვა ადამიანზე  
ქველმოქმედთა ბედია,  
ზეცად ამბის მიმტანი  
სულით წმინდა მტრედია.  
მამულო, მშვენიერო,  
პირზე დარდი გჩენია,  
ამ ღრუბელთა გაფანტვა  
ჩვენი წარმომჩენია.  
ვერ იცოცხლებს უშენოდ  
ვერც ქართული გენია,  
უფლის ნება ეს არის,  
უფალს დაუდგენია.

## **25. ნაღდს არაფერი არ ცვლის**

სიყვარულს კოცნა არ ცვლის,  
სიყვარულს გონი არ ცვლის,  
სიყვარულს ფული არ ცვლის,  
ნაღდს არაფერი არ ცვლის.

## 26. მარად უსაქმურთ

ეჭვი გვიღრნის ტვინს და სულს,  
ეჭვი გვირევს გულს და გონს,  
ეჭვი თუ ჩვენთანაა,  
ის მარად უსაქმურობს.  
ეჭვი გვირყვნის გონებას,  
ეჭვი გვაჩმორებს უნმოდ,  
ეჭვი დაგვცინის ჩუმად,  
ის მარად უცნაურობს.

## 27. რასაც თვალი სწვდა

აფრიალებულ კაბას  
რა შეედრება, რა,  
აღბათ, იმ ხიბლის აღქმა,  
რასაც თვალები სწვდა.  
თვალის კი სწვდება იმას,  
რაც რომ მარად აღგვაგზნებს,  
ეს კი ჩვენი რაობის,  
გონიერებისთვისაც,  
სულის გაზაფხულია.

## 28. სიტყვის მეფობა

სიტყვა უნდა მეფობდეს  
ჩვენი მეობის ძალით,  
თავის გადიდკაცებით,  
ამბიციების გავლით.

## 29. ერთ სანს

გულის ფეთქვას მარად ვგრძნობთ –  
ნუ მოგვიშალოს ღმერთმა,  
უიმისოდ კი ყოველი  
დაიფერფლება ერთ ნამს.

## 30. სიყვარული მიდის

სული სიყვარულს ეძებს,  
ხორცი სავნებოდ ილტვის,  
ვნება სულს დაამშვიდებს  
და სიყვარულიც მიდის.

## 31. წლები

გვეყო ამქვეყნად ყოფნა,  
ვინ დაანესა წლები,  
იმქვეყნად ნაბრძანდითო,  
ვინ შევანუხეთ ჩვენი?

## 32. არაფერი არი

ნუხილს გვაუნყებს ზარი,  
დარდს გაგვიქარვებს ქარი,  
რისთვის ვირჯებით ამდენს,  
თუ არაფერი არი?..

### **33. თუ გული შენთან არის**

თვალეზლილინა ქალო,  
სულის მჭერეტელო ძალით,  
როგორ შეგეშვა, როგორ,  
თუ გული შენთან არის.

### **34. უხმოდ სანატრელია**

მზრუნველობა ოდითვე  
გონიერთა ხვედრია,  
იბერთ საკეთილდღეოდ  
უხმოდ სანატრელია.

### **35. უაზროდ ყოფნა**

არ მომნონს უაზროდ ყოფნა,  
აღარც წარსულის ქექვა,  
არ მომნონს მე ქლესობა  
და არცა ბრბოსთან შეყრა.

### **36. კითხვაჲი**

ცხოვრებაში კითხვები  
პასუხებზე მეტია,  
უპასუხო კითხვები  
თავში არ დამეტია.  
თითქოს გულზე მჩხვლეთავენ  
უვიცობის ეშვები...

პასუხების ძიებას  
მაინც არ მოვეშვები.  
ვითომ რაა ადამის  
ნაშიერის მიზანი?  
გევედრები, გამხადე,  
ღმერთო, მაგის მისანი.  
იქნებ, არც უნდა ჰქონდეს  
ყველას ერთი ოცნება,  
იქნებ, ყოველს თავისი  
ელის გასხვიოსნება?  
ზოგს ურჩევნის ძგივი მჭლე,  
ზოგს – ქადა და ნაზუქი,  
ზოგს – საკვები სამარხვო,  
ზოგს კი ღორი, ნასუქი.  
ზოგ-ზოგს კურდღლის შიში აქვს,  
ზოგი მგელსაც არ უფრთხის,  
აი, ჩემი ვერსია,  
აი, ჩემი პასუხი.

### 37. საქართველო

საქართველო, ლამაზო,  
ამაყო და ქველიავ,  
შენი გაჯეჯილება  
ჩემი წარმომჩენია.  
ივერია, ამაყო!  
გონს მოხმობის ჯერია,  
შენი გათავხედება  
ჩემი საფიქრელია,  
პოლიტიკა ქართველთა



მარად საკვირველია,  
რადგან მისი შეცდომა  
ჩემი განსასჯელია.  
გახსენების ჯინაზედ  
ჩვენი კოლხი მედეა  
წარსულს ხომ „გვილამაზებს“ –  
ჩვენთვის განუსჯელია.  
გაჭირვების მიჯნაზე  
შავი პურიც ძღვენია,  
გურჯებისთვის ღვთისმშობელს  
მწარედ დაუკვნესია.

### 38. აზროვნება

აზროვნება ჩვენს სულში  
ადრენალინს აჭენებს,  
ყველა მისი მონაა და –  
ზურგს ღირსებით გვიმშვენებს.  
აზროვნება სულს უხმობს  
აღმა-დაღმა ტარებით,  
ყველა მისკენ ილტვის და  
ღირსებით თავს ატარებს,  
აზროვნება ჩვენს გონსაც  
აღმა-დაღმა ატარებს,  
თავიც კარგად უჭირავს...  
და აზრს კარგად ატარებს.

### 39. ფული

ფულის შოვნას რა უნდა?  
ბედის წყალობა უნდა:  
თავის მულამი უნდა,  
გამოყენება უნდა.  
ფულის ხმობას რა უნდა,  
გონის დამოძღვრა უნდა,  
რჩევის მოსმენა უნდა,  
მას დაბანდება უნდა.

### 40. ურთიერთგადაახილი

საღვთო განჩინებითა  
ჯვარი გვიტარებია,  
გონის მოლანდებანი  
უცოდველთა ხვედრია.  
მიხვდე, რა გსურს თავიდან  
საოცრადაა ძნელი,  
აირჩიო, რაც გინდა  
ესეც მშვენიერია.  
ცისა ცრემლებზე ფრენა  
თვითმფრინავითა გვინევს,  
ციდან ჩამოფრინდებით,  
და ქოლგის ძებნას ვინყებთ.  
ფეხებს გვიკოცნის ტალღა,  
მკერდს ეხეთქება ქაფი,  
თუ ზღვაში შეცურდებით,  
სიამეს იგრძნობს ტანი.

## VIII. რვა მარცვლიანი ლექსები

### 41. დასჯის შიში

ადამიანს ავი ფიქრი  
უტრიალებს სარკის წინაც,  
ვერაგობა არ ასვენებს  
მაშინაც კი, როცა სძინავს.  
თუმცა მაინც ცდილობს ჩადგეს  
კარგის მკეთებელთა რიგში,  
აიძულებს კანონი და  
უმკაცრესი დასჯის შიში.

### 42. შურისგება

რატომ იტანს ადამის ძე  
მონობას და დამცირებას?  
სჯერა, მისი დღე დადგება,  
თუ იქნება უფლის ნებაც.  
ყველა მტარვალს, ყველა მჩაგვრელს,  
საკადრისი მიეზღვება,  
გაიელვებს დაჩაგრული,  
ელირსება შურისგება.

### 43. სიკეთის კალათი

თუ მოძმეს გულით შეუხდებ  
ვერაგობა და ლალატი,  
თუ მადლს გულითვე ასხივებ  
და არა ძალისძალათი,  
თუ ხელში მყარად გიპყრია  
სიკეთით სავსე კალათი,  
თუ თვალუნვდენელ სუფრაზე  
ხარ ყველა ყანწის ჯალათი,  
თუ სიტყვამ შენმა არ იცის,  
აბდა-უბდა და ლალატი,  
ოჯახს წინ უძღვი გმირივით,  
ამაყობ მამა-პაპათი,  
შენს უკან შენი გვარი დგას  
შენი იმედით მარადით.  
ქველობა, სიბრძნის ძიება  
არასდროსაა ლალატი.  
აი, როდის ხარ, ძმობილო,  
სიკეთის მფრქვევი კალათი!

### 44. ძველი

ძველს მოფერება სჭირდება,  
ძველს გახსენება სჭირდება,  
ძველს დაფასება სჭირდება  
და არც რა გაგიჭირდება!  
ძველს შეჯერება სჭირდება,  
ძველს დაფიქრება სჭირდება,  
ანმყოს ეს უკვდავებას და  
მომავლის ძეგლსა ჰპირდება!

#### 45. ადამ და ევა

კაცი რით რჩება ამქვეყნად?  
ცხადია, თავის ქმნილებით:  
უპირველესად, ცხადია,  
შვილებით, შვილთაშვილებით,  
მერე სხვაგვარი ნაღვანით, –  
რაც სულსა და გულს ეამა,  
რაც ადამს არც უფიქრია,  
და რაც ვერ შეძლო ევამა.

#### 46. ხვრელში ძრომა

ზოგს ჰგონია, ადამის ძე,  
წარმოშობით ცხოველია,  
თუნდაც იყოს, მისგან მაინც  
კაცურ საქმეს მოელიან.  
თუ უარი სტკიცა ჭკუას,  
მიეძალა სმას და ძლომას,  
ხვდებით, ალბათ, რა მოელის:  
კი, სატანის ხვრელში ძრომა.

#### **47. ვეგუებით ამ ქვეყანას**

თუმც კი ყველას ჩვენ-ჩვენი გვაქვს  
მიზანი და იდეალი,  
სახლი, ეზო, სალოცავი,,  
გვყავს ძმაცაყი, გულის ქალი,  
ადამიანს გვინოდებენ  
თეთრს, შავსა და ყვითელკანას,  
ერთნაირად „ერალირობთ“ და  
ვეგუებით ამ ქვეყანას.

#### **48. ზენაარის გაკვეთილი**

ადამის ძევ, სულ გახსოვდეს  
ზენაარის გაკვეთილი:  
ეს ცხოვრება სიჭარმაგით  
შუაზეა გაკვეთილი.  
ჰოდა, ორთავ მხარეს გვმართებს  
სხვაზე ზრუნვა, სხვაზე ფიქრი,  
ნუ იქნები პარაზიტი,  
როგორც ხისთვის მწვანე ფითრი.

## 49. რჩევა

ადამიანო, ერთს კიდევ  
რჩევას მოგიძღვნი ანონსად:  
კანონს ნუ შეეჯახები,  
გზა აუქციე კანონსა!  
ხდება ასეც: ადამის ძე  
მაგრად თუ არ დააფეთეს,  
ერთი უნდა, სხვაზე ფიქრობს  
და მესამეს გააკეთებს.

## 50. კაზინო

გიჯობს იყო სუფრის კაცი,  
მოქეიფე, თუნდაც ლოთი,  
ვიდრე მწარედ დაავადდე  
იმ დანყველილ კაზინოთი.  
ნუ ოცნებობ მოგებაზე,  
რას დააკლებ გაქნილ დილერს,  
ბრუს დაგვახვევს, გაზიარებს  
ვირტუალურ სინამდვილეს.  
ჯერ ღიმილით, მოწინებით,  
შეგიქმნიან ნანატრ კომფორტს,  
ათას დოლარს თუ წააგებ,  
უფასოდ სვამ ვაშლის კომპოტს.  
ლამაზ გოგოს დაგისვამენ,  
აელვარებს ბროლის კბილებს,  
ყველას სახლში გაგიშვებენ –  
ტვინ და ჯიბეგაფხეკილებს.  
– ჩემი რჩევა ასეთია:  
სჯობს, თუნდ იყო კაცი ლოთი,  
მაგრამ თავს ნუ დაილუპავ  
ამ დანყველილ კაზინოთი!

## 51. ბედისწერა

„სადაც არის ბედი შენი,  
იქ მიგიყვანს ფეხი შენი“,  
ასე სჯერა მრავალს დღესაც  
ბედისწერის განაჩენი.  
მავანს ჩაგრავს უიღბლობა,  
ზოგს ფორტუნა უჩანს მღერად,  
ზოგი ყისმათს არ ენდობა,  
ომს უცხადებს ბედისწერას.  
ზოგს იღბალი ისე დასდევს  
როგორც საკუთარი ჩრდილი,  
ზოგს კი ისე უღვთოდ დაღრღნის,  
როგორც შალის ქსოვილს ჩრჩილი.  
ზოგს – ბედისგან თავში ჩარტყმულს,  
ზოგს კი ვხედავთ გალალებულს,  
როგორც „იღბლის თაიგულს“ და  
ვით „პერანგით დაბადებულს“.  
ვისაც ბედის არა სჯერა,  
ნუ დაძრახავ, ნუ გაკიცხავ,  
ბედთან ერთად, შემთხვევასაც  
მთლიანად ნუ გამორიცხავ!  
ჰოდა, ახლა ყური მიგდე,  
მოისმინე ჩემი რჩევა:  
საძნელოა ხშირად ბედის  
შემთხვევისგან გამორჩევა.



## 52. სხვანაირად არ იქნება

ისტორიაში რომ დარჩე,  
რალაც ტალანტს უნდა ფლობდე,  
ამ ტალანტის გასაფურჩქნად  
ენტუზიაზმს უნდა გრძნობდე,  
სახელს ისე ვერ მოიხვეჭ,  
სხვანაირად არ იქნება,  
თუმცა არც რა გამოგივა,  
თუ განგებამ არ ინება.

## 53. „ჰომო“

გინდ იყოს ქუჩის მეძავი,  
გინდ დედოფალი მედეა,  
ყოველი „ჰომო“ რალაცის  
დღემუდამ მოიმედეა.  
მოიმედეა ადამი,  
ამ ყოფისა და დარისა,  
ის ბედის მოლოდინშია,  
დღეს იქნება თუ ხვალისას.

## 54. ბედის ნდობა

ადამის ძევ, ნუთისოფელს  
მთლად ბოლომდე ნუ ენდობი,  
მუდამ გქონდეს მოლოდინი  
ბედისა თუ უბედობის.  
ბედი მუხთლობს, ჭირვეულობს  
ზუსტად მარტის დარივითა,

ზოგჯერ ოქროს ტახტს დაგიდგამს,  
ხან ჩაგიფრენს ქარივითა.  
ძმაო, ბედის მხარდაჭერას,  
რაც არ უნდა გრძნობდე ძლიერ,  
არაფერი გამოგივა  
ხელი თუ არ გაანძრიე.  
სათანადოდ შეაფასე  
ვითარება, დრო და ჟამი,  
უნაყოფოდ არ გაუშვა  
წელი რაა – ერთი წამიც.

## 55. ნიჭთან გაგასახება

ზოგი, უბრალოდ, ბადრია,  
ზოგი უნიჭიერესი,  
ზოგის მშვენიება მაღლია,  
ზოგიერთისა – ერესი.  
მავანს სიკეთის მაღლი აქვს,  
მიჯნამდე ღრმა სიბერესი,  
„ჩალიჩი“ ზოგის მაღლია,  
ზოგიერთისა – ერესი.  
ზოგი უმწეო მატლია,  
ზოგი – უუძლიერესი,  
ზოგის სიმძლავრე მაღლია,  
ზოგიერთისა – ერესი.  
ვინც იცის ყადრი დროჟამის,  
ხევის, მთისა და მერესი,  
ავაფრიალოთ დროშანი  
ნიჭის – უმშვენიერესის!

## 56. ავტობიოგრაფია

ამბობენ: რთული კაცია.  
რად უნდა ვიყო მარტივი?  
ამბობენ: პრინციპულია.  
დიალაც, არ ვარ მარტივი.  
ამბობენ: გულიანია.  
რად უნდა ვიყო ვერაგი,  
ამბობენ, ფულიანია.  
ვერ გამაკოტრებთ ვერაგზით,  
ამბობენ: არ იბნევაო.  
რა ვუყოთ, ტვინი „ჭრაჭუნობს“,  
ეგების თავში მოშურნის  
აზრმაც კი გაიფაჩუნოს.  
ამბობენ, ენამწარეა.  
ნატავ, რას ვაქნევ თაფლწასმულს,  
თუ იმსახურებს, გავკილავ  
ანმყოს, მომავალს, გარდასულს.  
ამბობენ, ნიჭიერია,  
უყვარს ფიქრი და ძიება,  
სწორედ ამიტომ, ძამიკო,  
რაცა ვთქვი, მეპატიება.

## 57. ტალანტი

რაც არ უნდა გაიკეთო  
ნიჭიერის მაკიაჟი,  
რაგინდ პინკად გამოეწყო  
გენიოსის მანტიაში,  
არაფერი გამოგივა,  
თუ ტალანტი არ გებოდა,  
ერთ უსახურ შენობისთვის  
გამოდგები ბერფუცი<sup>1</sup> ბოძად.

## 58. „პირის გუჟები“

ხშირად ერის პოტენცია  
ერთი რამით ფასდება:  
თუნდაც ერთი გენიოსით  
სწრაფად გაათასდება,  
აქომომდე სულ უცნობი  
უჩინარი ქვეყანა,  
ერთი დიდი პიროვნებით  
სახელს იხვეჭს ყველგანა.  
ვის ანუხებს საქათველოს  
ტანჯვა, გადატანილი,  
თუ იცნობენ, რუსთაველით  
და იოსებ სტალინით.  
„ეგ სომხები რომელია?  
რომელ მხარეს არიან?  
როგორ არა, გავიხსენებ  
მარტიროსას, სარიანს!“

---

1 ბერფუცი – ხმელი ხე ან ტოტი, ადვილად მსხვრევადი.

ვინც არ გახლავთ ჭკუით კრული,  
მართლად არის განმსჯელი:  
„აზერბაიჯანის გული  
ნიზამია განჯელი!“  
თუკი კარგად გაიხსენებ  
ძველად განთქმულ ჩინგისხანს,  
მაგ ჯიგიტის მოგონება  
მონღოლეთში მიგიყვანს.  
რუსთა სწრაფი აღზევება,  
მართლაც გასაკვირველი,  
ერთი კაცის „ბრალი“ იყო –  
დიდი პეტრე პირველის.  
ცალკე ითქვას იტალიის  
გენიოსი შვილების,  
გაამდიდრეს ეპოქები,  
დასტურ ნაშიმშილები.  
ახლა მათი სახელები  
ყველგან კარგად იციან;  
ლეონარდო, რაფაელი,  
ბოტიჩელი, ტიციან...  
საფრანგეთზე რალას იტყვიot?  
გაგვაოცეს ფრანგებმა,  
ზეციურმა ტალანტები  
ამ სივრცეშიც დაგეგმა.  
მანეს ნისლი ლონდონური,  
ლაფონტენის არაკი,  
გოგენი და რენუარი  
ბიზე, რაბლე, ბალზაკი...  
ო, რამდენი გენიოსი,  
ნაღდი „ვირის მუშები“ –  
დეკარტე და ბერლიოზი...

ვოლტერს რაღას ვუშვებით?  
ახლა გვერდით გადავიდეთ,  
გერმანიას ვენვიოთ,  
იქნებ მანდაც არანაკლებ  
აღმოჩენებს ვენიოთ!  
აბა, რად ღირს თუნდაც ერთი  
ბეთჰოვენის ხსენება,  
ბახი, კანტი, ფიხტი, ნიცშე –  
ვის არ მოეხსენება.  
ჰეგელის და მარქსის გვერდით  
მივადგები პოეტებსა,  
გავიხსენებთ ერთადერთსა,  
ღვთაებრივსა გოეთესა.  
ჰო, ზეგარდმო საბერძნეთსაც  
გამოუჩნდა პატრონი:  
ფიდიასი, პრაქსიტელი,  
სოკრატე და პლატონი.  
ნორვეგია ამუნდსენით,  
გრიგით გახდა ცნობილი,  
ჰოლანდია – სპინოზათი,  
შვედეთი კი – ნობელით.  
ერთი სიტყვით, საქართველოს  
მომავალიც დავლანდე:  
კვლავაც ველი ჩვენს მამულში  
უჩვეულო ტალანტებს.  
ეს იქნება ერის გენის  
ნათლად გამომსახველი,  
დაე, სულ შორს გაეტანოთ  
ჩვენი ქვეყნის სახელი!

## 59. „სალი აზრი“

სალი აზრი პრაქტიკაა,  
მულამია ამ ცხოვრების,  
სტანდარტული ტაქტიკაა  
ინტელექტურ მათხოვრების.  
სალი აზრი არად უჩანთ  
დაუღვინებ გოგო-ბიჭებს,  
სალი აზრი ბაზარ-ბაზარ,  
ოჯახ-ოჯახ დააბიჯებს.  
ჯლანი აზრი ებრძვის ტალანტს,  
როგორც ჯანსაღ სხეულს – ქეცი,  
ვერასოდეს შექმნი შედევრს,  
თუ სტანდარტს არ გაექეცი.

## 60. სიცოცხლე

სიცოცხლე საამურია,  
თუკი ქმნადობით დაკავდი,  
თანაც ნავარდი გწყურია  
ცნობიერების ნაკადით.  
წაგიღებს უცხო მხარეში  
ნიჭის და აზრის მდინარე,  
არ მოგასვენებს არც დღისით,  
არც შუალამით მძინარეს.  
ოი, რა ახლოს იცნობდნენ  
შემოქმედების ანგელოზს,  
მოცარტი, გალაკტიონი,  
შოთა და მიქელანჯელო!

## 61. ყოფნის ხალისი

გენიოსი, როგორც წესი,  
ბევრად უსწრებს საუკუნეს,  
ამიტომაც მრავალ მათგანს  
ნააზრევი დაუწუნეს.  
ზოგი მკაცრად შეაჩვენეს,  
ზოგი ტანჯვით ჯვარზე აცვეს,  
ზოგს განკიცხვა არ აკმარეს  
და კოცონის ალზე დაწვეს.  
თვით სოკრატე, ბრძენთა ბრძენი,  
განსასჯელის სკამზე დასვეს,  
ჯოჯოხეთის დესპანებმა  
მწარე სანამლავი ასვეს.  
ო, რამდენ ხანს დაუსჯელად  
იპარპაშა ბნელმა ძალამ,  
ბევრი მალეს, მაგრამ მაინც  
ნიჭმა თავი ვერ დამალა.  
თუკი ნიჭს არ შევეშველეთ,  
არ გვექნება შანსი ხვალის,  
მათი აზრი, საქმე გვაძლევს  
სიცოცხლის და ყოფნის ხალისს.

## 62. ერთი ნაპიჯი

ნიჭის მუხტი სულს და სხეულს  
აღმა-დაღმა ატარებს,  
ხან ცას ღრუბლით მოგიქუფრავს,  
ხან მზით გამოადარებს,



ნუთითაც არ მოგასვენებს,  
ლამეც არ დაგაძინებს,  
სულ წამებში გადაიფრენ  
ფანტასტიკურ მანძილებს,  
ადრენალინს შემოუშვებს  
არნახული დოზებით,  
ხან ეშმაკი გელანდება,  
ხანაც – ანგელოზები.  
ამ დროს უნდა მოიმარჯვო  
მყარად ჯოხი საბიჯგი –  
ტალანტსა და გიჟს აშორებს  
მხოლოდ ერთი ნაბიჯი.

### 63. შინაბა

ნიჭს და ტალანტს, ღვთის ნაბოძებს,  
უნდა მოვლა-პატრონობა,  
შრომას ითხოვს, არ გეყოფა  
მხოლოდ შენი ნიჭით ტკობა.  
ის კი არა, ბევრი იტყვის  
გენიოსთა შესახებაც:  
რაგინდ დიდი ტვინი იყოს,  
მოუხდება შეძახება.  
არა მარტო შეძახება,  
შენჯღრევაც კი მოუხდება,  
სხვანაირად მიძინებულ  
ნიჭს ფიქრი არ აუხდება.  
ენერგია დაელევა,  
ხასიათი წაუხდება,  
ტალანტს ობი დაედება –  
სამწუხაროდ, ასეც ხდება.

## 64. დროის მდინარე

მოედინება მდინარე,  
წამითაც არა ჩერდება,  
გული ჯერ ისევ ჯეელობს,  
მაგრამ სხეული ბერდება.  
დრო მიდის, მირბის – ეს გახლავთ  
მისი მთავარი თვისება,  
ვიცი, ბოლოს არ დაგვინდობს  
და გული სევდით ივსება.  
ერთ რასმე მაინც მივაგენ,  
რაიც თქვენ მინდა გაუწყოთ:  
დროს უნდა კარგად მოერგო,  
დროს უნდა ფეხი აუწყო!  
ეს გამუდმებით გახსოვდეს,  
გინდ ბნელი ღამით, გინდ – დილით!  
უარყავ დროსთან კონფლიქტი,  
უაზრო ბრძოლა-ჭიდილი.  
მავანი იტყვის: „დროსა ვკლავ!“  
ნათქვამს კი ფიქრს არ დაატანს,  
დროს შენ ვერ მოკლავ, ის მოგკლავს,  
თან „ბუის კვერცხებს“ გაგატანს.  
ამოტომ, ჩემო კარგებო,  
დროს მოუფრთხილდით, ეფერეთ,  
ბოლომდე სდიეთ ფეხდაფეხ,  
გაიხანგრძლივეთ სიბერე!

## 65. დროის ამბიცია

დრო ხან გვატკობს, ხან გვამწარებს,  
გვთრგუნავს დროის ამბიციას,  
მაგრამ რაკი არ ვნებდებით,  
კაცმა რომ თქვას, კარგიც კია.  
რა თქმა უნდა, ველტვით სიტკბოს,  
სიმწარეს კი ვერიდებით,  
მოდით, დიდხანს გავძლოთ, მაგრამ  
ცას ნუ გამოვეკიდებით!

## 66. ცისფერი ჭირი

ადამს ბევრი ჭირი ელის,  
უფრო მეტი, რაც გადახდა,  
ალბათ, ატყობთ, კაცთა მოდგმა  
გადაგვარდა და გაბახდა,  
ერთ დროს სათაყვანო სიტყვა  
ლამის სალანძღავი გახდა,  
ქალის ნაცვლად კაცმა კაცის  
ხელი მიჰყო საცვლის ჩახდას.  
ადრე ცისფერს, ლურჯს და სათუთს,  
უმღეროდნენ პოეტები,  
ახლა „ცისფერს“ თუ ისურვებ,  
„გეეებს“ გამოედები.  
სამუდამოდ დაივიწყეს  
ამ ნაზ ფერზე სიმღერები,  
ფუთფუთებენ, ჟივჟივებენ  
ლეგალური ცისფერები.

## 67. დროსთან დაკმაკაცება

ერთი რჩევა, სასარგებლო,  
მინდა მოგცეთ ახლა აქ მე,  
დროის ყადრის გააზრება  
გახლავთ დიდზე დიდი საქმე.  
ისე უნდა მოუარო,  
აუშენო ოქროს ტახტი,  
დაარნმუნო, დააჯერო,  
რომ ამფსონი მისი გახდი.  
შენც ირნმუნე, რომ სულ მალე,  
ვინძლო დროის რიტმებს ენდო,  
დროსთან ფრთხილი ძმაკაცობა  
უხვად მოგცემს დივიდენდებს.

## 68. ეშმაკის შპრიცი

გაითავისეთ ეს ჩემი  
გინდ სიტყვა, გინდა ნანერი:  
კაცობრიობას არ აწყენს  
დროის მოქმედი საცერი.  
კაცი დაფასდეს დროჟამის  
რკინის, საცერში გაცრილი,  
ქათოდ კი დარჩეს მავანი,  
ეშმაკის შპრიცით აცრილი.

## 69. დროის სიბლი

ყოფა რომ გაგიადვილდეს,  
ეს გქონდეს მთავარ მოტივად:  
დროის კაპრიზი ჩათვალე  
ცხოვრების ლოკომოტივად.  
თუ გაგიმართლა, დანარჩენს  
მონანესრიგებ მარტივად,  
არ დამარცხდები, ბიზნესი  
თვით ეშმასთანაც წაგივა.  
ახლა ეს რჩევაც ისმინე,  
სტატუსით თუნდაც ვერდიქტი:  
გონივრად გაანაწილე  
მაგ შენი დროის კრედიტი.  
თუ გეტირება, იტირე,  
თუ გემღერება – იმღერე,  
ყველა დროს თავის სიბლი აქვს:  
ბავშვობას, ყრმობას, სიბერეს.

## 70. დრო-ჟამის იმპერატორი

ვინც უგუნურად იცხოვრა,  
სიცრუით, შურით, გველობით,  
მავანმა მხოლოდ სიკეთით,  
სიყვარულით და ქველობით,  
ყველას თავისას მიაგებს  
დრო-ჟამის იმპერატორი,  
შერჩებათ მისი წყალობა  
ან უმკაცრესი ნატორი.

## 71. გონის ფუთფუთი

დრო მიდის, მოდის სიბერე,  
რაც „ჭირთა უფრო ძნელია“,  
სიბერეს მოსდევს სიკვდილი,  
არარაობის ბნელია.  
ხელს დაგვრევს სენი მრავალი,  
გვიძიმს ამ ქვეყნად მყოფობა,  
მანც არ გვჯერა, სულ ბოლო  
არის ეს ავადმყოფობა.  
ადამიანმა დაასკვნა,  
ჩვენც მაგ აზრამდე მივედით,  
იმედი მუდამ ფუთფუთებს,  
სულ ბოლოს კვდება იმედი.  
ფეხზეც რომ ველარ ვდგებოდეთ,  
არ მოძრაობდეს ხელები,  
ფილტვებიც ძლივსლა სუნთქავდეს  
და იხრჩობოდეს ხველებით,  
ძილი არ გვეკარებოდეს  
არც შუალამით, არც დილით,  
მანც არ გვჯერა, რომ კარზე  
უკვე მომდგარა სიკვდილი.  
ესაა დროის კანონი:  
სიკვდილს ვერავინ წაუვა,  
მის შესახვედრად მზად ვიყოთ,  
როს ჩვენს დროს ყავლი გაუვა.

## 72. გენის სვადი

მამაკაცი მაშინ არის  
მართლა კაცი, ნაღდზე ნაღდი,  
თუ მის გენში იმალება  
უტყუარი მძლავრი სვადი.  
ხოლო ქალი, შესაძლოა,  
მართლა ქალად დაიგულო,  
ხვადს ალაღად დაუნყვილდეს  
და ბოლომდე უერთგულოს.  
მამაკაცი მაშინ გქვია,  
თუკი ოჯახს ძვირ ფასს დასდებ,  
მამულს შვილებს გაუმრავლებ,  
უღალატოდ თავსაც დასდებ.  
თუ არ ახლავს ქალურობა,  
თქვით, ის ქალი რა ქალია?!  
ქალობა თუ გენში უზის,  
ქალურობა ხომ მადლია?  
ქალობა ქმრის მოთოკვაა,  
ქალურობა დაბმა ვნებით,  
ქალობას ხმით გამოიცნობ,  
ქალურობას – გემოვნებით.  
ქალობაა შობა ბავშვის,  
ქალურობა ჩანს აღზრდაში,  
თუ ყველაფერს უხმოდ აღწევს,  
რა ეკუთვნის? – მხოლოდ ტაში!

### **73. შეთავსება**

ნაღდი კაცი ფულს შოულობს,  
აღლოთი და ქუეით, განსჯით,  
ვნებას ცოლსაც არ მოაკლებს  
და არც თავის სატრფოს დასჯის.  
მამაკაცი შეათავსებს  
ხვადობას და შრომა-გარჯას,  
ნაღდი ქალიც დაუფასებს,  
თუ კაცურად გაისარჯა.

### **74. ანგარიშის განება**

საყვარელზე ზრუნვა კაცმა,  
ვიცით, სხვას არ უნდა ანდოს,  
გრძნობა-ვნების ლიმიტები  
მასთან უნდა დააბანდოს.  
ქალმაც სატრფოს ყოველგვარად  
ანგარიში გაუწიოს,  
ჰოდა, გამარჯვების ნიშნად,  
ყური ხშირად აუწიოს.



## 75. სექსი შემოქმედებაა

სექსი შემოქმედებაა,  
ისიც მუზასა თხოულობს,  
განა მხოლოდ საყვარლებთან –  
როდესაც ის ცოლს თხოულობს.  
მეუღლეც ხომ ქალი არის,  
ისიც კი საყვარელია,  
გამართლე ის ხვადობა,  
შენგან რასაცა ელიან.  
სხვანაირად დამარცხდები,  
თუნდაც ჩაახრჩო ფულებში,  
ისე ცოლი ვერ იქნება  
ოჯახის უერთგულესი.  
P.S. ისე, ჟამი რომ დადგება,  
გმართებს ვნების შეკავება,  
ხანდაზმული ძველი ხვადი  
არ გაცდუნონ მეძავებმა.

## 76. ტყვეობა

განს უარე მამაკაცსა,  
ომშიგან მტრისგან ვნებულსა,  
მასთან ზურგითა მდგომელსა,  
შემდრკალსა, შეშინებულსა,  
ვინ აპატიებს სიმხდალეს,  
თუნდ ვაჟკაცობით ქებულსა,  
მტრისა ტყვეობა ვერ „ჯოკრავს“  
ქალისგან დატყვევებულსა.

## 77. ჰიშტი

სარკის წინ ნიღბის მორგება  
გვევლინება ქალის ფარად,  
მამაკაცის სექსით მოლლა  
ოცნებაა მისი, მარად.  
ბიშტი უჩვენოს დედამთილს,  
ისიც, ქმარიც, გაიხმაროს,  
ოჯახს თავად გაუძღვეს და  
ამით გულით გაიხაროს.

## 78. კდეამოსილება

კაცს რაგვარი ქალი მოსწონს?  
ლამაზი და ვნებიანი,  
მხიარული, ოდნავ შტერი,  
შიგადაშიგ სევდიანი.  
ტანადობით თვალსაჩინო,  
გავამრგვალი, გრძელფეხება,  
როცა ხვალი მაღალ მკერდზე  
სულ კანკალით შეეხება.  
მამაკაცი იმ ბანოვანს  
არასოდეს მოსცილდება,  
თუკი ვნების მუხტთან ერთად  
ახლავს კდეამოსილება.

## 79. ქალის ჭკუაზე დადიან

ყველას თანაბრად ეხება –  
კახელ მიხოს თუ დადიანს,  
რომ ბოლოს მამაკაცები  
ქალის ჭკუაზე დადიან.  
კაცები დანებდებიან  
და ჩამოყრიან ყურებს  
და ასეთ კაცებს ქალები  
თავის გემოზე აწრთობენ.

## 80. „იძულების სერენადა“

მატულობს ქალის ასაკი –  
პრეტენზიებიც იზრდება,  
მამაკაცს აღარ იკარებს,  
საბრალო ერთობ კნინდება.  
კაცი ხომ პირიქითაა:  
პრეტენზიები უქრება,  
როცა მეუღლე სკანდალით  
და გაყრით დაემუქრება.  
ეგ არაფერი, ყველაფერს,  
ახლავს შუქიც და ჩრდილებიც,  
გაყრის დროს მტკივნეულია  
მძიმე პრობლემა შვილების.  
ეგეც არ იყოს, ექსხვადი,  
ბედს უხმაუროდ ნებდება,  
უნდა – არ უნდა, თავის ქალს  
ბოლომდე შეაბერდება.

## 81. რაბუსი

ვინ აუხსნას სიყვარული:  
კაცმა-ქალს თუ კაცს-დიაცმა,  
რა თქმა უნდა, ტრადიციით  
ეს იკისროს უნდა კაცმა.  
თუმც ამჟამად სულ სხვა გახდა  
დედაკაცის ამბიცია,  
თავად უხსნის გრძნობას ვაჟკაცს,  
არ დაგიდევს ტრადიციას.  
თურმე, ახალ საუკუნეს  
აქვს თავისი განაწესი:  
რით არისო ვითომ კაცი,  
დედაკაცზე უკეთესი?  
დაკანონდა რეალურად  
ქალთა ემანსიპაცია,  
ნახეთ: კაბას ვინლა იცვამს,  
ყველას შარვალი აცვია.

## 82. „ვირის ჭკუა“

აბობენ, კაცი ყოველდღე  
ვირის ჭკუაზე დგებაო,  
ოღონდაც ორი საათით,  
მეტი დრო არ ეგებაო.  
თუმც კი ვირული სიბრძნითა  
გონება გაეხსნებაო,  
ცხოვრების ავან-ჩავანი  
სულ ნათლად აეხსნებაო.

არ უნდა ვსდიოთ ამიტომ  
რჩევების გუდა-ტიკითა,  
მანც ვერაფერს შევასმენტ  
სტანდარტულ დიდაქტიკითა.  
მან მისებურად გაშიფრა  
ყოფიერების ნიხრები...  
ეცადე, გასცე პასუხი,  
თუკი დაგისვა კითხვები.

### 83. სილი

კაცი ლხინშიც შეიცნობა,  
მაგრამ უფრო გასაჭირში,  
მაქებარი ვის არ უყვარს,  
მაგრამ უფრო – მთქმელი პირში.  
თუ წინ ნალდი კაცი მიდის,  
თუკი იცის მისი ფასი,  
წინა კაცი არის ხიდი,  
არის შემწე უკანასი,  
ხრამს პიტალო შეცვლის თუკი,  
მთლად მცირდება ასვლის შანსი –  
წინა კაცი არის თოკი,  
და მეოხე<sup>2</sup> უკანასი.  
თუკი სიღრმე ველარ იგრძენ,  
დაეკარგა სიტყვას ფასი,  
წინა კაცი არის სიბრძნე  
და მოძღვარი უკანასი.

---

2 მეოხე – შემწე, დამხმარე, ხელის შემწყობი

თუ უფსკრულში ჩაიჩეხე,  
დაგელვარა ბროლის თასი,  
წინა კაცი არის კიბე  
და მშველელი უკანასი.  
ვინც გათელილ გზებით მიდის,  
ან გაკვალულ ბილიკს მისდევს,  
რალად უნდა თოკი, ხიდი,  
ან რა თავში იხლის კიბეს?!  
ყოველივე იმად გითხარ,  
რომ შეიცნო სიბრძნის ფასი:  
მარწყვით გამძლარს რალად უნდა  
ქოქოსი და ანანასი?!

#### **84. „სანთლით არის საქებარი“**

დიოგენე, დღისით მზისით,  
ლამპრით ხელში დადიოდა,  
„პატიოსან კაცს დავეძებ!“ –  
თვალზე ცრემლი დასდიოდა.  
ო, რამდენი დრო გასულა –  
ოცდახუთი საუკუნე,  
იმ მცდელობას, ირონიულს,  
ახლაც ვერვინ დაუნუნებს.  
წმინდა კაცი ახლაც, დღისით  
სანთლით არის საქებარი,  
დედამიწის ნითელ წიგნში  
შესატანი დასტურ არი.  
დაელოცოს შუბლნათელი,  
ნაბიჯი და მხარ-მკლავები,  
საიდუმლო გეზს გვაძლევენ,  
როგორც ციდან – ვარსკვლავები.

## 85. პირდაფრენილი ნიანგი

კაცს ხომ ბევრად მეტი უნდა,  
ვიდრე დაიმსახურა,  
მეზატონედ ყოფნა უნდა,  
არა – ხალხის მსახურად.  
თვალმონყალედ იმას უმზერს,  
ვინც მას პატივს მიაგებს,  
რომელ ურჩხულს შევადარო –  
პირდაფრენილ ნიანგებს?!

## 86. ფანტაზია

თავს რაც უნდა ლალად გრძნობდე,  
ეს გარემო მაინც გთრგუნავს,  
კაცი – სახლს და ტყეში მხეცი  
ვერ სცილდება თავის ბუნავს.  
ვერ მოერგე რეალობას?  
რას მოელი? მხოლოდ ზიანს,  
ერთადერთი გაქვს საშველი:  
გზა მიეცი ფანტაზიას.  
დაივინყე სიდუხჭირე,  
ყოფის პროზა საზიზღარი,  
აიშენე ოქროს კოშკი –  
ფანტაზიას არ აქვს ზღვარი.

## 87. კაცი ჭირში ინრთობა

პირველი ცოდვა ადამის  
საუკუნეებს გამოსცდა,  
მერე უფალმა სასტიკი  
იობს მოუწყო გამოცდა.  
დღეს ჩვენ გვცდის, უხვად გვიგზავნის  
ღვარცოფს, ცუნამს თუ ტორნადოს,  
თან გვაკვირდება, ვწუნუნებთ  
თუ ვრეაგირებთ სწორადო.  
რომელი უფრო გვაკაჟებს:  
ბრძოლა, ომი თუ მშვიდობა?  
ფოლადი მხოლოდ ცივ წყალში,  
კაცი კი ჭირში ინრთობა!

## 88. ხვედრი

ბეჭის ქავილი ყოველთვის  
ფრთების ამოსვლა არ არი,  
ნუ ფიქრობ, ზენართ განგებით  
ანგელოზი ხარ, ალალი!  
თუმცა კი უნდა ირწმუნოს,  
მამრი არის თუ მდედრია,  
დადგენილია „ზემოდან“  
ამ ქვეყნად ვის რა ხვედრი აქვს.



## 89. არაკი

ყველაზე მეტად რა გვართობს?  
ფიქრების არწივ-გაგაზი!  
ყველაზე უფრო რა გვათრობს?  
ალერსი ქალის, ლამაზის!  
რის ღვინო, რისი არაყი,  
და ალკოჰოლი მზიური,  
ქალის კოცნაა არაკი  
და ნალდი შამპანიური.

## 90. ერთადერთი

რა გინდ იყო შემოქმედი  
და ყელამდე სავსე ნიჭით,  
ეული ვერ გალალდეგი,  
როცა გიჭირს, როცა გიმძიმს!  
მაშინ დგომა გინდა მხარში  
თანამოდმის, ანდა, ღმერთის,  
ის, რაც შენს სულს გადაარჩენს,  
სიყვარული – ერთადერთი.

## 91. ნაჭუჭი

ვინც მხოლოდ თავის ნაჭუჭში  
ჩამყუდროებით ერთობა,  
მისთვის ხომ ჩალის ფასი აქვს  
მოყვასთან ურთიერთობას.  
როგორც არ უნდა ცხოვრობდე,  
რა სანეტარო მხარეში,  
კაცი არა ხარ თვისტომთან  
ურთიერთობის გარეშე.

## 92. ზნეობა

მე ვფიქრობ: აი, რა არის  
უპირველესი ზნეობა –  
კაცობრიობის წინაშე  
შეიგრძნო მოვალეობა.  
თუ გსურს კაცურად დახატო  
შენი ნამუსის სურათი,  
გაითავისე მცნებები,  
ბევრი არ გახლავთ: სულ ათი.  
ეგ სიბრძნე იქაც გიშველის –  
უკან კლდე იყოს, წინ – ხევი,  
სუყველა თუ ვერ შესძელი,  
ხელი ნახევარს მიჰყევი!

### 93. „თავს სინანული სჯობია“

კაცია გონის მომხვეჭი,  
ჭკუის მზირალის ხმობითა,  
მასაც სჭირდება გართობა,  
ჭკუისა დამონებითა.  
ულირსს ხოტბას ნუ აღუვლენ,  
გონჯს ნუ დაუნყებ ქებასა,  
„თავს სინანული სჯობია  
ბოლოჟამს დანანებასა“.

### 94. აკიდო

– სადა ხარ, ძმაო, ამდენ ხანს,  
რა მოუთმენლად გელოდი!  
ორი ძმაკაცის შეხვედრა  
მთავრდება სადღეგრძელოთი.  
– სადა ხარ, ქალო, ამდენ ხანს,  
გინდა ახვარი ამკიდო?  
ორი დაქალის შეხვედრით  
ინყება ჭორის აკიდო!

## 95. ჭორმაისტერი

ხშირად გვიჭირს გამორჩევა  
რაა მრუდე და რა – სწორი,  
პრინციპი თუ სიჯიუტე,  
რა – სიმართლე და რა – ჭორი.  
კი, შენ ჭორი უძახე და  
ბევრი უცებ დაიჯერებს,  
მით უმეტეს, თუ ჰგავს მართალს,  
ველარ ამოძირკვავ მერე.  
თუ მარჯვე ჭორს მოიგონებ,  
მისი დაყრა ადვილია,  
მერე რა, რომ სიმართლისგან  
კოსმოსური მანძილია.  
კაცი მუდამ მას იჯერებს,  
რაიც სულით გულით უნდა,  
ავი ჭორის გავრცელებით  
გულს მოუკლავს მავანს თუნდაც.  
– ხედავ, თურმე, რას აკეთებს,  
ვინ ყოფილა მაი შტერი?!  
მთლად ღლავივით წამოეგო  
ანკესს იმ ჭორმაისტერის.

P.S. ჭორის დაყრა ადვილია,  
მისი გაფანტვაა ძნელი.  
ჭორს ხან სარგებელიც მოაქვს,  
თუ ხარ „იმიჯმაისტერი.“

## 96. სიკეთე-ბოროტების გაგანასება

სიტყვების აზრი და არსი  
თითქოს ყველასთვის ცხადია,  
„სიკეთეც“ ვიცით, „სიავიც;“  
„სიყვარული“ ხომ ნაღდია.  
მაგრამ თითოეულ ამ სიტყვას,  
თუ კარგად ჩაველრმავდებით,  
არ გაგიკვირდეთ, მაგარი  
სირთულის წინაც დავდგებით.  
თქვი, ბოროტება რა არი?!  
დაუსვეს კითხვა ჰოტენტოტს<sup>3</sup>.  
ბოროტებაა, როდესაც,  
რაზედაც ზიხარ, ჭრი იმ ტოტს.  
– ეგ კარგი, კიდევ რა არი?  
კვლავ ჩაეძია მავანი.  
– როცა სხვა არის ძალათი  
ამ ჩემი ცოლის წამყვანი.  
– გვითხარ, სიკეთე რაღაა,  
სიკეთეს რაღას დაარქმევ?  
– სიკეთე გახლავთ, როცა მე  
სხვას ცოლს ძალათი წავართმევ!  
აი, ხომ ხედავთ, ვის როგორ  
ესმის „ავი“ და „კეთილი“ –  
სიკეთისაკენ „სიკეთით“  
გზა არის გადაკეტილი.  
სიყვარულსაც მივუბრუნდეთ,  
აქაც დავსვამ მზაკვარ კითხვას:  
როგორ გინდათ, სიყვარულზე  
მხოლოდ დადებითი ითქვას?

---

<sup>3</sup> ჰოტენტოტს – ველური ტომის წარმომადგენელი.

მე მგონია, აქ პასუხი  
უნდა იყოს ძალზე რთული,  
ხომ არსებობს სხვათა ტანჯვის  
და წამების სიყვარული?  
გაიხსენეთ პლუშკინი და  
გობსეკი და კარაპეტა,  
გაგახსენდათ? ხომ უყვარდათ  
ნაღდი ფული თავზე მეტად?!  
ნუ გგონია ეგ სიქველე,  
როცა მოყვასს „ჭყიპავ“ ფულით,  
სწორედ მაშინ გადიქცევა  
ბოროტებად სიყვარული.

## 97. პატიოსნება

გინდ მიწის მუშა აილე,  
გინდ – თერძი, გინდა-მგოსანი,  
საქმით რა გითხრათ, სიტყვით კი  
ყველაა პატიოსანი.  
თუ გეხერხება დაფარვა  
ავი ზრახვის და ოცნების,  
დასტურ უზნეო ყოფილხარ,  
რა გცხია პატიოსნების.  
თუმცა ბევრმა ფულის ჩანთამ,  
ვინც მოხვეჭას ხელი მიჰყო,  
ვინც ხელმწიფის ნავში ჩაჯდა,  
მის მხარდამხარ მიდიოდა,  
ღანვ-კისერზე მლიქვნელობის  
ოფლი უხვად დასდიოდა,  
წესიერ კაცს, პატიოსანს,  
გულში თვლიდა იდიოტად.

## 98. ზნეობის წესდება

კარგად უნდა დავიხსოვოთ  
ზნეობრივი წესდება:  
უშეცდომო არვინ არის,  
რობოტიც კი შეცდება.  
არის ერთი ნიუანსი  
კაცთა თავისუფლების,  
შეუძლიათ ისარგებლონ  
გასწორების უფლებით.  
მაგრამ მაინც, მომავალში,  
ფუჭად რომ არ იწვალონ,  
სხვათა გადაცდომებზე და  
საკუთარზეც ისწავლონ.

## 99. აზრი და სიბრძნე

ოდითგან არის ამქვეყნად  
ფილოსოფია ორგვარი,  
თუმცა – ერთურთის გამგები,  
ერთიმეორის მაგვარი.  
ერთს მიაჩნია, რომ კაცი  
პრაქტიკულ მულამს ენიოს,  
გვერდში მდგომს რაღაც გამორჩეს,  
წინმავალს წამოეწიოს,  
მერე ორთავეს აჯობოს,  
წარმავალს კიდევ გაასწროს,  
გაფუფუნდეს და გალადდეს,  
არც მოუბრუნდეს არასდროს.

არის ცოტათი სხვაგვარი  
ბრძენკაცის ფილოსოფია:  
სულ გრძნობდე სულის სილადეს  
და შუბლს, აზრებით ოფლიანს.  
აზრის და სიბრძნის გარეშე,  
უნიგნ-უფილოსოფიოდ,  
გადაგვარდება თაობა,  
დაილუპება მსოფლიო.

### **100. შექმენ თავად**

სხვას რომ რამე რჩევა მისცე,  
სულ არ არის ძნელზე ძნელი,  
აჯობებს, რომ დაეხმარო,  
თუკი მიგინვდება ხელი.  
სხვას რომ ფულსა დაესესხო,  
თუკი მოგცემს, ადვილია,  
მაგრამ, თუ ვერ დაუბრუნებ  
მის გვერდით ვერ გაგივლია.  
კრიტიკა და განქიქება  
თქმა არ უნდა, ადვილია,  
თუ ბიჭი ხარ, შექმენ თავად!  
არ სიცრუე, ნამდვილია!



## 101. კომპრომისი

ჩხუბი, ბრძოლა დაუნდობი,  
კბილთაღრჭენა როცა ისმის,  
მაშინ, როცა ომის ველზე  
ნაკადული მოჩქევს სისხლის,  
ადამის ძემ მხეცურ გულში  
დაიოკოს უნდა ვნება,  
გაიხსენოს, რომ არსებობს  
კომპრომისის ხელოვნება.  
ცნობილია, ომის გარდა,  
გონის ხმობის შანსიც არის,  
ყველა კონფლიქტს მოაგვარებს:  
მაგიდასთან საუბარი.

## 102. სტატუსი

გინდ იყავ ქრისტეს მრევლი და  
გინდა ამფსონი ბახუსის,  
კანონს ნუ შეეჭიდები,  
გერჩივნოს მრჩევლის სტატუსი.  
ნუ ილტვი კვარცხლბეკისაკენ,  
ერიდე რევოლუციას,  
დანყნარდი და ის იკმარე,  
რაც უფალს გადმოუცია.  
დააფასე სუფთა მდელო,  
გრილი წყარო, მთაი წმინდა,  
მოფუაროთ საქართველოს,  
სხვა სამოთხე რაღად გვინდა!

### 103. სამშობლო ჩემი გულია

სამშობლო ჩემი გულია,  
ჩემი ფიქრი და სტიქია,  
ღმერთივით გუნდრუკსაკმევი  
მიდიდება, მიქია.  
ჩვენი ქვეყანა, პატარა,  
ამაღლებულა ღმერთამდე,  
ქართული ენით და რწმენით,  
ლაზარეს აღდგინებამდე.  
აღდგება ისევ მამული  
ტკბილმოუბარი ენითა,  
იესოს მაღლის სინმინდით,  
სულით და მამაღმერთითა!

### 104. იდეოლოგია

იდეოლოგიის ქანჩით,  
იდეოლოგიის წნეხით,  
ხელები გვაქვს დაბორკილი,  
გაკოჭილი – ორთავ ფეხი.  
ვითომ ჰუმანურობაა,  
არის ვითომ ნალდი ძმობა,  
ამ ყმობისგან თავდაღწევა  
გახლავთ ნალდი ვაჟკაცობა!

## 105. რობოტების დიქტატურა

მიმოდინ თაობები,  
იცვლებიან უსასრულოდ...  
მაგრამ ერთხელ ადამის ძემ,  
ეს ცვლა უნდა დაასრულოს.  
უნდა გითხრათ, ეს სიტყვები  
წლერდეს თუნდაც უცნაურად:  
არცთუ გვიან, გველოდება  
რობოტების დიქტატურა.  
არ იფიქროთ, ეს იქნება  
საბოლოო ვარიანტი,  
რობოტებსაც დაცვივდებათ  
გენერლების აქსელბანდი.<sup>4</sup>  
ადამის ძე, შესაბრალი,  
მას მოიმკის, რასაც მკიდა –  
დედამინის დამპყრობელი  
მოვა უცხო პლანეტიდან.  
მერმე ყველაფერი ნავა,  
ალბათ, ჩვენთვის უცნობ გზებით,  
თუმც კი, ჰავა შეიცვლება –  
დასტურ, შავი პროგნოზებით.

---

4 აქსელბანდი – ოფიცრის სამხრე ზონარი ოქრომკედის ან სირმისა.

## 106. დაფიქრება გვმართებს

ადამის ძენო, დაფიქრდით,  
ყოფას მულამი გაუგეთ:  
ხელისუფლებას ხალხისთვის  
თავი არასდროს დაუდევს.  
ვის სწამს სიკეთის კანდელი  
ან უწმინდესი სამების,  
პოლიტიკოსებს რა უნდათ?  
რბილი, ფუმფულა სკამები.  
ხომ იცით, მთავრობისათვის  
ხალხი უბრალო ჯოგია,  
დაპირებებს ნუ ენდობით,  
მერწმუნეთ, თქვენთვის ჯობია!

## 107. არჩევანი

ცხადია, ხმას ყველა აძლევს  
მარადიულ განახლებას,  
მაგრამ მაინც არ ეგების  
ყველა ძველის ხელის ხლება.  
ახალი ვერ გაიხარებს,  
ლალად ველარ გაჭენდება,  
თუკი მისი ნაგებობა  
წარსულზე არ აშენდება.  
თუ რაც იყო ფასეული,  
დავუტოვებთ ღია კარსა –  
„არ დავეარგავთ ძველსა გზასა  
და არც ძველსა მეგობარსა“.

## 108. სამართალმა პური ჭამა

ის ქვეყანა არის მძლავრი,  
ის ხალხია ღონიერი,  
სად ლიდერი არის მარდი,  
მოსამართლე – გონიერი.  
ის ქვეყანა აყვავდება,  
აიცილებს მუდამ დრამას,  
როცა ხალხი ასე იტყვის:  
„სამართალმა პური ჭამა!“

## 109. პაპარაცე

ცხოვრებაში დიდი როლი  
აკისრია „მასმედიას“:  
შეუძლია ააგოროს  
ზეიმიც და ტრაგედიაც.  
როგორც იყო ძველისძველად,  
ისეთია იგი დღესაც,  
ახლაც ისევ უწოდებენ  
სულგაყიდულ ყვითელ პრესას.  
ეგ უზნეო „ჟურნალისტი“  
ჯიქურ მიდის, განა ეჭვობს,  
არაფერს არ ერიდება,  
ოღონდ ფული მოიხვეჭოს.  
ტუალეტშიც კი შეჰყვება  
კაცი-ქალებს, ქალი-კაცებს,  
ვერაფერი დააკავებს  
უნამუსო პაპარაცებს.

## 110. ზიურერი

მასა კერპს და ბელადს მისდევს  
ისე, ვით ვაცს – ცხვრების ფარა,  
ყველაფერი სააზროვნო  
ბრბომ ფიურერს ჩააბარა.  
ხვალინდელზე ფიქრი, ბჭობა,  
მიაჩნია ზედმეტ ბარგად,  
ბელადს უმზერს უკანალზე,  
თუ გზაში არ დაეკარგა.

## 111. რაიც უფალმა ინება

ვისაც სწამს იდეალების –  
ცისკენ გაურბის თვალები.  
თუ მხოლოდ კუჭი ანუხებს,  
აზრებს მოუჭერს მარნუხებს.  
მიჰყვება ყოფის დინებას,  
არც არა ეცოდინება,  
ბოლოს ის ბედი ერგება,  
რაიც უფალმა ინება.

## 112. ზეზი

ადამის ძემ რა იღონოს,  
ქაოსი რომ დაამარცხოს?  
იურისტმა კანონი შვას,  
ხაბაზმა კი პური აცხოს,  
დეპუტატმა ხალხის დარდი  
უნდა გაისიგრძეგანოს  
და მთავრობამ ეს ქვეყანა  
სწორი გეზით წაიყვანოს.

## 113. როგორც უნდათ, ისე წერენ

ამბობენ, რომ პოლიტიკა  
სავსე არის სიბინძურით,  
სხვის მაგივრად უბოდიშოდ,  
წაგათრევენ ორთავ ყურით;  
ეგ რა არის, კიდევ, თურმე,  
რეპრესიებს მოგინებენ,  
ოპონენტებს, მთელ პარტიას,  
მთელ თაობებს დაიჭერენ;  
ისტორიას უნამუსოდ,  
როგორც უნდათ, ისე წერენ,  
ადექი და ამის შემდეგ  
ადამის ძეს მოეფერე!

## 114. ზედ-იღბალი თუ გენია

„დღე დღეს ჰგავს და ღამე – ღამეს,  
კაცი-კაცს და რამე-რამეს“,  
ეს ცხოვრება – იმ ცხოვრებას,  
ავი-ავს და რამე-რუმეს,  
ზედ-იღბალი თუ გენია  
როგორც ნარდის კამათელი,  
შენს ცხოვრებას, მათრობელა,  
ვარდის სურნელება ასდის,  
მაშინ დაიკისრე როლი  
სტოპერის და გარემარბის,  
მაგრამ, მახლას, ეს ცხოვრება  
კოსმოსური ტემპით გარბის.  
მერედა რა – არ იდარდო,  
უმკურნალე ნაიარევს,  
შენთვის ნაბოძები ჟამი  
სულ ღიღინით გაიარე.  
მოყვასს მიჰყევ, მოეფერე,  
გინდა საქმით, გინდა ენით,  
თავლირსჰყავი, ამის მერე,  
დაამთავრო ყოფა ღხენით.



## 115. ფათერაკი

თუ გსურს ჟამმა არ წაგშალოს,  
აღვიმართონ ობელისკი,  
წყნარ ცხოვრებას აერიდე,  
გაიხადე წესად რისკი.  
უკვდავების გზა-სავალი  
თავის დროზე ნახე რაკი,  
რანდს, ვაჟკაცს რა ამშვენებს?  
რა თქმა უნდა, ფათერაკი...  
თუნდაც გქონდეს რკინის მკლავი,  
გედგას თუნდაც ლომის გული,  
ყოფა გელის გულსაკლავი,  
თუ არ ძაღვიდს სიყვარული.

## 116. ქნელზე ქნელი

თქვით, რა არის ქნელზე ქნელი?  
შოვნა ქონების და ფულის?  
იქნებ, კარიერა შენი,  
პოვნა წრფელი სიყვარულის?  
იქნებ, განძის აღმოჩენა,  
ღრმად მიწაში დამარხულის,  
ან მიგნება პანორამის,  
მწვერვალიდან დანახულის?  
იქნებ, ომში გამარჯვება,  
მოპოვება ნანატრ ზავის?  
არა: გახლავთ ქნელზე ქნელი  
პოვნა საკუთარი თავის!

თუ მიაგენ შენს ღვიძლ საქმეს,  
აენყობა თავისთავად,  
თუ არა და ეგ ცხოვრება  
მრუდედ, თავუკულმა წავა.  
ამიტომაც შენი „ღვანლი“  
სანანებლად რომ არ გახდეს,  
სიჭაბუკის ჩანაფიქრი  
და ოცნება მართლად ახდეს,  
უნინარეს დაადგინე  
შენი ნიჭი და უნარი,  
რათა, ფეხქვეშ ნიადაგი  
ყოფის გქონდეს მყარზე მყარი,  
მაშინ შეძლებ შეუძლებელს,  
შექმნა მანამ არყოფილი,  
შენ გახდები ბედნიერი  
და მამულიც – კმაყოფილი.

### 117. ოქროს გალია

წუთისოფელი როდია  
ლამაზი ოქროს გალია,  
ეს კარგად იცის, რომელმაც  
იგი ბოლომდე გალია,  
იმქვეყნად გადაბარგდება  
გინდ კაცი, გინდა ქალია,  
კვალი დატოვოს ამქვეყნად  
ყველა ჩვენგანის ვალია.

## 118. კასრში ცხოვრება

მტერი ჯობია ჭკვიანი,  
სულელს ვერაფერს გაუგებ,  
საიდან მოვა, არ იცი,  
მოკვდება – წესს ვერ აუგებ.  
არ იცი, როდის დატკბება,  
როდის დაგინწყებს ბრძოლასა,  
კასრში ცხოვრება ჯობია  
გიჟი მეზობლის ყოლასა.

## 119. სკეპსისი

რას იტყვით, რა ვქნათ, ურწმუნოს  
გამოვუცხადოთ შენდობა?  
ცოდოა კაცი, რომელიც  
საკუთარ ჩრდილს არ ენდობა.  
ნამდვილად არ ღირს ცხოვრების  
უნდობლობაზე აგება,  
მთავარი არის მოყვასთან  
სრული ურთიერთგაგება.  
რომ მისი გული მოვიგოთ,  
სკეპსისმა<sup>5</sup> თუ არ დაფლითა,  
იმედიანი გავხადოთ  
მრავალი კარგი საქმითა.  
რომ მისი სული, სათუთი,  
მადლიერებით აივსოს,  
და უნდობლობის გზა-შარა,  
გადაიკეტოს, დაიხშოს.

---

5 სკეპსისი – უიმედობა, ეჭვი.

## 120. არაკი პროზად

ადრე ვთქვით, რომ ეს ცხოვრება  
პროზაა და არაკია,  
დიდი ბრძოლა, დიდი ვნება,  
ფრიად რთული ჭადრაკია.  
ახლა მინდა ჩვენი ყოფა  
ბანქოს თამაშს შევადარო,  
როცა ძალგვიძს მეტოქესთან  
გამარჯვება სანეტარო.  
მაგრამ მუდამ არ გერგება  
მოგებათა მადლის ცხება,  
იმთავითვე შეეგუე  
მოსალოდნელ დამარცხებას.  
მაგრამ ყოველ მარცხის მერე  
გამოფხიზლდი, ნუ შედრკები,  
იფიქრე და გამოძებნე  
კვლავაც გზები გამარჯვების.  
მაგრამ, თუკი ინებივრე  
ჩრდილში გაბმულ ჰამაკშია,  
სხვა მოიგებს, შენ წააგებ,  
საქმე სწორედ ამაშია.  
მანდ ილბალიც მიდი-მოდის,  
არ უმართლებს ვის და ვის – კი,  
მაგრამ უკან ნუ დაიხევ –  
მუდამ ახლავს თამაშს რისკი.  
პატივი ვცეთ რისკის ფაქტორს,  
რაც ცხოვრების არის წესი,  
სხვანაირად არსებობას  
არ ექნება ინტერესი.

კი, ბატონო, თამაშს ხშირად  
მოსდევს საშინელი სტრესი,  
მაგრამ ნების გამოცდისთვის  
სხვა რა არის უმჯობესი?  
ბანქოს გაშლა მავანისთვის  
ხან დრამაა, ხან – გართობა,  
მაგრამ კაცის ხასიათის  
ფოლადივით არის წრთობა.  
ერთი სიტყვით, ადამის ძევ,  
ყურს ნუ უგდებ მლიქვნელ ტაშებს,  
საქმეს თვალს ნუ აარიდებ,  
მაგრამ ბანქოც ითამაშე!

## 121. ანტიგენი

ზოგი გენით იბადება,  
ზოგიერთი – ანტიგენით,  
ზოგი კურდღლად გვევლინება,  
ზოგიერთი – მგლური ღრენით.  
ზოგი ცხოვრობს მომავლისთვის,  
ზოგი ანმყოს ეფერება,  
ზოგი ადრე მიდის „იქით“,  
ზოგი ზეცას ეკერება.  
ზოგი დედა, შვილებუხვი,  
მეჩვიდმეტე აკვანს არწევს.  
ზოგიერთი ქუჩის ბოზი  
მეორასე ხვადს ზედ აწევს.

ზოგი წმინდა ექვთიმეა,  
ზოგი – ბნელი კრიმინალი,  
ზოგი მზერით გეფერება,  
შუბლს გაგიხვრეტს ზოგის თვალი.  
უნდა დარჩე მაინც კაცად  
წუთისოფლის სიჭრელეში  
და ბოლომდე ღირსეულად  
გაათრიო შენი ლეში.

## 122. ხიშტი-ბიშტი

ამ ცხოვრების გზებზე დავალთ,  
„იქით“ გზები უვალია,  
მაგრამ ვიციტ, გამგზავრება,  
მაინც გარდაუვალია.  
ის გაქრება, რაიც ჩნდება,  
დგება ბოლოს აგონია,  
კვდება, ვინც კი იბადება.  
ამ სამყაროს კანონია!  
ამიტომაც, როცა ვიგრძნობთ  
ჩხვლეტას გაბრიელის ხიშტის,  
მოდით, ერთად გავიცინოთ  
და ვაჩვენოთ მიქელს „ბიშტი“.

### 123. ტოტის სერსვა

ცხოვრებაა მოთმინება,  
მან მოიგო, ვინც ითმინა,  
ვინც ამ ყოფის ვერაგობა  
დროზე გაითვალისწინა.  
ადამის ძემ იმთავითვე,  
უამრავი სისხლი ღვარა,  
მიაყოლა ბლომად ოფლი,  
თუმცა ვერ კი გაიხარა.  
სხვა რა უნდა ცოდვის შვილებს:  
სხივნათელი, წყნარი დილა,  
მაძღარ კუჭზე ძილი, როცა  
ზამთარ თბილა, ზაფხულ გრილა,  
მცირე თანხა სანებვიროდ,  
მწირ ბიზნესში თავის წილად,  
ვინძლო თავი კაცად იგრძნოს,  
არა – ეშმას განწილად.  
მერმე რაო? ფაქტობრივად,  
დაიჭირა საქმე ქაჯთან,  
ვინაც ის დღე აწყველინა,  
რა დღესაც ამქვეყნად გაჩნდა.  
გამოფხიზლდი, ცოდვის შვილო,  
მიხვდი, ჩალად რომ არ ღირხარ,  
შენ ხომ მუდამ იმ ტოტს ხერხავ,  
ოდითგანვე რაზეც ზიხარ?!

## 124. თაოზაპი

რას ვუტოვებთ ერს და მამულს,  
ხშირად თვითონაც არ ვიცით,  
თუმცა მკვიდრად შეკრულნი ვართ  
სიყვარულის წმინდა ფიცით.  
მაგრამ მაინც მთავარია,  
თაობას არ აუხირდე,  
შენი ღვანლის შეფასება  
ნაშიერს არ გაუჭირდეს.

## 125. უსაქმური

ადამის ძევ, გამიგონე:  
ამქვეყნიურ ყოფის ბოლოს  
ყველა ვალი ჩაასესხე,  
არაფერი გაიყოლო!  
ვთქვათ, შენს ერს ვერ გამოადექ,  
ვერც ქვეყანას არგე რამე,  
არც კაცურად იყენებდი  
წლებს და თვეებს, წუთს და წამებს,  
არც ხატავდი, არც ლექსს თხზავდი,  
არც სპორტულად ჩაუქობდი,  
ის კი არა, ენთუზიაზმს  
სხვას გულგრილად ჩაუქრობდი.  
ქვა ქვაზეც რომ არ დაგიდევეს,  
ერთი ნერგიც არ დაგიღრგავს,  
არ გენყინოს, ეს სიფათი  
სულგაცინულ ნიღაბს გიგავს,  
შენს ხელში არ დამინახავს  
რამე წიგნი, გადაშლილი...



მაგ ყველაფერს მოგიტევებ,  
თუკი ქვეყნად დაგრჩა შვილი.  
მაგრამ არა, ეგაც ვიცი,  
საბოლოოდ, წილად შენდა,  
ნაშეირიც არ დატოვე,  
შვილიც კი არ გაგახსენდა.

## 126. ერთგულება

რაც უნდა დიდი აშენო  
სრა-სასახლე და ტაძარი,  
გინდ ზღვაზე ხიდი გასდე და  
მთა ადგილიდან დაძარი,  
რაც უნდა თავი მოგქონდეს,  
რომ გქვია ადამიანი,  
ერთი რამ გაითავისე,  
სანამ არ არის გვიანი:  
მზეც კი რომ ამოჩახჩახდეს  
მაგ შენი განკარგულებით,  
ძალღს მაინც ვერ შეედრები  
სითბოთი და ერთგულებით.  
აზროვნებაზე უმეტეს  
დასაფასები გულია,  
ნაერთგულები შენია,  
სხვა ყველა დაკარგულია.

## 127. მიქალგაბრიელი

დააკვირდით, ჩვენს ყოფაში  
არაფერი იცვლება,  
მოთმინების ფიალები  
ივსება, არ იცვლება.  
რაც არ უნდა ოფლი ღვარო,  
ზურგნახრილი იშრომო,  
და რაც გინდა დიდი ფული  
და ქონება იშოვნო,  
გინდა ალაჰს სცემდე თაყვანს,  
გინდა წმინდა სამებას,  
ერთი არის ყველასათვის  
ყოფის ტანჯვა-წამება.  
ერთი გახლავთ განგებისგან  
მტკიცედ გადაწყვეტილი:  
ყველას ერთგან დაესმება  
საბოლოო წერტილი.  
მოვა მიქელ, არ დაგვაცლის  
სულ ბოლო დანაყრებას,  
და ნაგვლალავს იმ ქვეყანას  
საიქიოს მაყრებად.  
ეს ასეა, მაგრამ მაინც,  
თვით სიკვდილის წინააღმდეგ  
პატივი ეც კაცურ ნამუსს  
და სიცოცხლის სილალეს!

## 128. თუ გინახავთ?

ცხოვრებაში გაგიმართლებს  
და მოიმიკი ბლომად ნაყოფს,  
თუკი ცოლი შენს საქმეში  
უდიერად ცხვირს არ ჩაყოფს.  
თუკი ყურს არ გაგიჭედავს  
დღენიადაგ ლაპარაკით,  
თუკი ჭკუას არ გასწავლის  
და არ გკვებავს უჟმურ ხრაკით.  
ამის გარდა, უნდა გითხრათ,  
არის დიდი გამართლება,  
როცა შვილებს უშენოდ ზრდის,  
აძლევს კიდევ განათლებას,  
თუ ამასთან ფულსაც არ გთხოვს,  
არის დიდზე დიდი საქმე,  
მაგრამ ცოლი ამდაგვარი  
თუ გინახავთ, ნეტავ, სადმე?!

## 129. „ძალლი პატრონს ველარა ცნობს“

არც იმდენად ომის ცეცხლში,  
ცუნამის და მეხთატეხის,  
არის ყოფა რთულზე რთული  
პერიოდი გარდატეხის,  
დანგრეულა უკვე ძველი,  
ახალი კი ცდილობს, ანცობს,  
ქაოსია საშინელი,  
ძალლი პატრონს ველარა ცნობს.  
დაანარცხეს ძველი კერპი  
ახალ კერპის სადიდებლად,

პოლიტიკანს მძლავრი ტაში,  
შემოქმედს კი – ზურგზე წკეპლა.  
წიგნს უარი, ფუნჯს უარი,  
ნაღდი აზრი ჩაწიხლული,  
მღვრიე წყალში ქერა თევზის,  
რის ნამუსი, რის მამული.  
გაიოლდა ძარცვა-გლეჯა,  
გაიაფდა კაცის სისხლი,  
ჩაგვისახლდა სულში ეშმა,<sup>6</sup>  
დაგვიმონა ყოველ მისხლით.  
ალარ გვინდა აქციები,  
პური მომეც, სტაფილო და  
წყალი მასვი, ღვინო ყანნით,  
და მალირსე სტაბილობა.

### 130. სიტყვა სთქვი მამაპაპური

მიჰყევ ცხოვრების მდინარეს:  
ხან მჭადი ჭამე, ხან – პური,  
ხან სავსე ყანნი აწიე –  
სიტყვა სთქვი მამაპაპური!  
თან ამას ნუ დაივინყებ:  
მოვლენილნი ვართ დროებით,  
ჰოდა, აგრძელე ჯილაგი  
სიცოცხლის კვლავწარმოებით!

---

6 ეშმა – ავსული, ქაჯი, დევი.

### 131. ეტაკეპი

მოუთელავად ყველამ იცის,  
ცხოვრებას ვერ ეტაკეპი,  
ხამს გულდაგულ გაიხარო  
სათანადო ეტაკეპით.  
საფუძველი რომ შეუქმნა  
საბოლოო გამარჯვებას,  
ადრე ხტუნვას ნუ ეცდები,  
დაუცადე დამაჭრებას.  
ამის შემდგომ ეს იცოდე,  
თავი რომ არ გაჰყო ჭირში  
დამაჭრებას სულ კვალდაკვალ  
დაღვინება უდგას რიგში.  
ამის შემდგომ თავიდან რომ  
აიცილო დამარება,  
დაღვინების ექსპერტისგან  
დაგჭირდება დანმარება.  
ადამის ძევ, ეტაკეპი  
თუ ღირსებით გაიარე –  
მოყვასს შემწედ დაუდგები,  
მოუშუშებ ნაიარევს.  
ახლა მოგცემ რჩევას ძვირფას:  
ყოფისგან რომ ძღვენი გერგოს:  
დროის მორგებას ნუ ცდილობ,  
უნდა თავად დროს მოერგო!

### 132. მაყო

ბიზნესში რომ თავი გაყო,  
სადაც გინდა, იქ რომ შაჰყო,  
თან შენით რომ იამაყონ –  
უნდა გქონდეს ჩეჩქად „მაყო“.  
რომ გჯეროდეს შენი თავის  
მარად მაყო უნდა გქონდეს,  
უნდა ფლობდე შენის განსჯით,  
და უდრტვინველად იღვწოდე.

### 133. რა საჭიროა

იყო ყოველთვის მართალი  
ასე საძნელო როაო,  
მითხარით, იქნებ, ამიხსნათ,  
ნეტავი რა საჭიროა?!  
რა საჭიროა სიმართლე,  
რაშილა გვჭირდება ფული,  
თუკი ამქვეყნად მიმოსვლა  
არის მცდელობისეული?

### 134. მორიგი აზრები

„ათასად კაცი დაფასდა  
ათიათასად – ზრდილობა“.  
სიძუნუნე დასაგმობია,  
საქები – ხელგაშლილობა.  
ქვეყნად სიმშვიდე კარგია,  
არ ვარგა შინაშლილობა,  
ბერბიჭაობა ცუდია,  
კარგია მრავალშვილობა.  
უაზროდ ფანტვა ცუდია,  
კარგია მომჭირნეობა;  
ფულს ანგარიში უხდება –  
აი, ნამდვილი ზნეობა!

### 135. უაზრო სიჯიუტა

თუ თეთრზე შავი იძახე,  
შექმენი დაძაბულობა –  
უაზრო სიჯიუტა  
და არა – პრინციპულობა.  
პრინციპულობა კარგია,  
თუ გასავალი ექნება,  
პრინციპულობას სჭირდება,  
სულის და გულის შევსება.

### 136. „ჩმორიკი“

ესე ამბავი, მორიგი,  
ბრძენთაგან დანაბარია:  
ხელჩაქნეული „ჩმორიკი“  
სიცოცხლეშივე მკვდარია!

### 137. წუთისოფლის ანბანი

ამ წუთისოფლის ანბანი  
ვინაც ვერ გაითავისა –  
„გულგატეხილი ყოველი  
მოლაღატეა თავისა“.  
თავის ღალატი არ გვარგებს,  
გონი ვერ შეეგუება,  
სიცოცხლის ცნობის ანბანი,  
ყველას არ მოეპოვება.

### 138. ყოფის ჯუნგლები

თუ ყოფის ჯუნგლებს გაივლი  
რიხით და ლანალუნითა,  
თოფ-იარაღის გარეშე,  
ხელით და ფეხით – ლუნითა  
გვირაბის ბოლოს სინათლეს,  
იხილავ გულით, მართლითა  
და ივლი განათებული  
იმ ღვთაებრივი ნათლითა!



### 139. ყირამალა

როცა ყვაავი ამღერდება,  
ძროხა დოღში გაჭენდება –  
ის ქვეყანა უსათუოდ  
ყირამალა აშენდება.

### 140. კიღით კიღე

როცა ფული ბანკში გიდევეს,  
კარგი გზურავს და გაცვია,  
ყველა შენი ამფსონია,  
ყველა შენი ძმაკაცია.  
ვთქვათ, გაკოტრდი, გალატაკდი,  
ბანკში ფული აღარ დაგრჩა,  
მაშინ შენი „ძმაკაცები“  
საძებნია კიღით-კიღე!

### 141. სულ სხვა არის

ცრემლს სიყალბე არ უხდება,  
თვალის ჩაკვრა სულ სხვა არი;  
ვნებას ბინი არ უხდება,  
ნაღდი სექსი სულ სხვა არი;  
გულს სიჩქარე არ უხდება,  
მოფერება სულ სხვა არი;  
ყურს ჩამოყრა არ უხდება,  
ტკბილი ჰანგი სულ სხვა არი;  
სულს შთაბერვა ხომ უხდება,  
მისი ყოფა სულ სხვა არი;  
„ნურვინ გარევთ ერთმანეთსა,  
გესმათ ჩემი ნაუბარი!“

## 142. სიამოვნება

ზოგს თავის ბიბლიოთეკა  
ჩეჩმაში უდევს, თაროზე,  
წიგნს ჩაჰკირკიტებს, თანაც ზის,  
რომ მოინელოს ჩაროზი.  
ამ დროს თანაბრად მუშაობს  
კუჭ-ნაწლავი და გონება,  
რათა ორივემ თანაბრად  
მიიღოს სიამოვნება.

## 143. ზიოგრაფია

ჟამი და წუთისოფელი  
რაკეტასავით სწრაფია,  
უნდა ეცადო, დროულად  
შეიქმნა ბიოგრაფია!  
ცოცხალ-მკვდრად ყოფნა ვის უნდა?  
არც შენ, ძმობილო, ხომ არა?  
ხომ არ გსურს ფშუტე დაგარქვან  
და ცარიელი ტომარა?

## 144. ეროტიკა

ორი სიტყვა მინდა ვუძღვნა  
ფოტო-ტელე-ეროტიკას,  
როცა ვუმზერ შიშველ ნიკოლს  
ან ჩვენებურს, თუნდაც თინკას,

მაშინ, ჩემდაუნებურად,  
ნერვ-ძარღვები მენენება,  
თანაც ნდომის ოფლისაგან  
თმა კეფაზე მენებება.  
მხოლოდ მზერით რას მოიგებ,  
მთავარია ხელის ხლება,  
ეროტიკა გვაქცევს ბოლოს  
გამნარებულ მშიერ მგლებად.

### 145. გუზეპი

ისა სჯობს, ლუარსაბივით  
ჭერზე არ თვალო ბუზები,  
აილო ფუნჯი, მოლბერტზე  
ჩამომნკრივო მუზები.  
ვთქვათ, ხელოვანი არა ხარ,  
მუზის ენას ხომ გაიგებ,  
უმაღლეს სიამოვნებას  
„იქითაც“ ჭარბად ნაიღებ.

### 146. „ჯორი ჭორი“

ჯორი რა დასაჭერია,  
ჭორი რა დასაჯერია?  
როდესაც ჯორებს იჭერენ,  
მაშინ ჭორებსაც ვიჯერებთ.

### 147. ჩვენი სვედრი

ერთ ადგილას მახათის ყრა,  
ბევრს სჩვევია, უნდა გითხრათ,  
უყვართ მახათთან თამაში,  
ცუდს ვერ ხედავენ ამაში,  
და, თუკი დააყვედრიან,  
პასუხი: – ჩვენი სვედრია!

### 148. ჭამის მადა

ცოტა ჭამა მკურნალია,  
დიდი ძლომა – ბოროტება,  
მოძრაობა სიცოცხლეა,  
მკლავზე წოლა – დიდი ვნება.  
განა სმით და განა ჭამით,  
არც ქონებით და არც ფულით,  
ადამის ძე იკურნება  
შიმშილობის სასწაულით.  
ქართველი კაცის ნათქვამი  
საუკუნეებს მოიარს:  
„მუცელს აქორებ – ქორია,  
თუკი აღორებ – ღორია!“

### 149. თრილერაჰი

მრავალ სიყვარულს ვეტრფოდი,  
მრავალმაც დამანელაო,  
მაგ სამიჯნურო თრილერებს  
მოვეშვი ნელა-ნელაო.  
მოშვება წლების ბრალია,  
ის ხან გვღალატობს, ორჭოფობს,  
ასაკის მოჭარბებისას,  
საცდუნო ქალებს ვერა ვცნობთ.

### 150. მეტისმეტი

თუკი იცი ანა-ბანა,  
მოხმარება ინტერნეტის,  
წიგნი, ცოდნა რაღად გინდა,  
ეგ იქნება მეტისმეტი.  
ინტერნეტიც აღარ გვინდა,  
ლეპტოპია შემოსული,  
ამ სიახლის ჭკუით განსჯას,  
აღარ უნდა არაფერი.

### 151. საცხა, რაცხა

თუ იღბალი ზურგს გიმაგრებს  
და ოცნებაც აღმა ფარცხავს,  
წარმატება მოუთმენლად  
გველოდება „საცხა რაცხა“<sup>7</sup>...

---

7 „საცხა-რაცხა“ – სადღაც რაღაც (გურული დიალექტი).

## 152. სიტყვასაც არ გათქმევინებს

მავანი გვეკითხავს: როგორ ხარ?  
იქნებ, მიამბო რა გიჭირს!  
ცხადია, გაგიხარდება  
შენკენ მოყვასის ნაბიჯი.  
სამაგიეროდ ნაბიჯებს  
შენ არ გადაგადგმევინებს,  
სულ თავზე ილაპარაკებს,  
სიტყვასაც არ გათქმევინებს.

## 153. მონანიება

ზოგიერთი „უცოდველი“  
გულზე იბნევს ცისფერ იებს,  
მიუტევენს ღმერთი ცოდვებს,  
თუ გულწრფელად ინანიებს.

## 154. „გასხანებანი“

გალაღებული ბერბიჭა  
დაღონებულიც მინახავს...  
მითხარი, რა ოჯახი გაქვს  
და მაშინ გეტყვი, ვინა ხარ!  
ეტყობა, გასახსენებლად,  
ასაკის მოჭარბებისას  
ფალოსის გონით სიარულს  
არც არაფერი სჯობნისა.

მეუბნებიან: სახელის  
ავან-ჩავანი ახსენო!  
იცით, მტვრად ნაშლას მაინც ჯობს,  
დედის გინებით გახსენონ!

### 155. ზიქრი

ფიქრს უზადო მწვერვალს ვუგებთ,  
სიმაღლეებს ვიპყრობთ ფიქრით...  
ფიქრს შეტევა არ სჭირდება,  
ზოგჯერ ზურგსაც გვაქცევს ფიქრი...  
ფიქრში დავეძებთ ხატებას,  
განგება დაგვეყურებს ფიქრით,  
ფიქრს თავთან ჭიდილი მოსწონს,  
განსჯას აღარ მოსწონს ფიქრი.  
ფიქრს ვერსად დავემალებით,  
ის არ გვაპატიებს გაყრას,  
ფიქრი მათრახსაც მოითხოვს,  
თუ მას დასჭირდება, დაგკრავს...  
ფიქრს თუ გრძნობა ეუფლება,  
ის შინაურებსაც აბამს,  
ფიქრს თავის გამოჩენა სურს,  
რადგან სიყვარული ახლავს.  
ფიქრს ნუ გავაცდენთ ოცნებით,  
მასაც სჭირდება მოსმენა,  
ფიქრში სულია მთავარი,  
მასაც მუხრუჭები ახლავს...

ფიქრი ცაში დანავარდობს  
და აქ ვიმკით ვარსკვლავთცვენას,  
ფიქრი „მეს“ ნალკოტად აქცევს,  
თუკი ის ოცნებით ლელავს...  
ფიქრი გულს გვითბობს ხალისით,  
ისიც ჩვენს ნებასა ჰყვება,  
ფიქრიც დროსტარებას ცდილობს  
და ისიც სიამით დნება...  
ფიქრი განსჯაზე ხელს იღებს,  
ის თავისი მეობით ჭრის,  
ფიქრს მოთმენა არ სჭირდება,  
ის მუდამ ოცნებით იღვწის.  
ფიქრის კლანჭები გვანამებს,  
ის გონის ოცნებით ცხოვრობს,  
ფიქრი მარად მისთვის იღვწის,  
ის მარად უხდენელს იხდენს.  
ფიქრი გვატკობს, ხან გვანამებს,  
ისიც თავის ქეიფზეა,  
ფიქრსაც მივსდევთ ვაი-ვიმით,  
განგებასთან შებმის შიშით.  
ფიქრის მეს წარსულის თრევა  
ნელ-ნელა გვიხდება ყველას,  
ფიქრთან უაზროდ ჭიდილმა  
მაინც ვერ გვარგუნა შვება.



## 156. ვირის ხურმა

უსირცხვილოდ ვუძღვნით ხოტბას,  
ვინც რომ გაძლომას გვპირდება,  
სირცხვილსაც აქვს „ვირის ხურმა“,  
და ხურდად დაგვიბრუნდება.  
დამოდღვრა ჭემმარიტებით,  
ვირისთვის ხურმა ხილია,  
თავის განძრევა და შრომა,  
მისთვის უცხო და ძვირია!  
ვირსაც სჭირდება თანდგომა,  
გონისა მოსაოხებლად,  
შრომისა დასაფასებლად,  
გონისა მოსაოხებლად.

## 157. ჭორის ფენომენი

ჭორს სიამით იჯერებენ,  
თუ რომ სულს ეთათბირება,  
მასაც შერჩევა სჭირდება,  
რომ იგრძნოს სულმა დიდება.  
ჭორი ის ფენომენია,  
რასაც ხალისით იჯერებთ,  
ჭორი იმაზე მეტი ღირს,  
რასაც თავისთვის იფერებთ.  
ჭორის დავლურს, დიპლიპიტოს,  
თურმე, აქესო მარად ფასი,  
ჭორაობით ერთობიან  
ქალია თუ მამაკაცი.

ჭორაობა ადამიანს  
საქმეს უჩენს, ათბობს, ართობს,  
ამიტომაც ეს სამყარო  
ჭორაობით მარად ლაღობს.

P.S. ჭორის დაყრა ადვილია,  
მისი გაფანტვაა ძნელი,  
ჭორს ხან სარგებელიც მოაქვს  
თუ არს „იმიჯმანისტერი“.

### 158. „საქსგიგანტი“

ბიჭიკიას ცოლი მომცა,  
ჭიჭიკიას ფალოსია,  
მაშინ ნახეთ ვაჟკაცობა  
„სექსგიგანტი“ ვანოსია.  
ასე ფიქრობს ყველა „ჩმორი“,  
როცა ჭკუას მუქთად გვჩუქნის,  
მარად სხვათა იმედზეა  
თავის „პერპენტუმ-მობილით.

### 159. ამომრჩეველი

როდესაც მასა ირყვნება,  
კაცობა დევალვირდება,  
კაცი ადამად რომ დარჩეს,  
გონის მოხმობა სჭირდება.  
ხალხისა ბედნიერება,  
ხელისუფალის ნიჭზეა,  
რადგანაც ამომრჩეველი,  
უნიჭოა და ფლიდია.

## 160. იმელი

მუზა ფორტუნის შვილია,  
მის სათაყვანოდ მოვედით,  
ჩვენი მცდელობის სანაცვლოდ  
ნურც გვიღალატებს იმედი!  
იმედით ვეთაყვანებით,  
როგორც ამიერს-იმიერს,  
მუზათა შესაძლებლობა,  
ალარ გვიცრუებს იმედებს!

## 161. სიბლი

ფილოსოფია კარგია  
პერსპექტივით და სიბლითა,  
ცხოვრების მაღლის შეცნობით  
და ყოფის ალგორითმითა.  
ფილოსოფია ჯოჯოხეთს  
გვწამს, რომ ანათებს იმქვეყნად,  
მანამდის ყოფნა გვინდება,  
ჭკვაც თოხარიკობს სიბლითა.  
ჯოჯოხეთს თავის ხედვა აქვს,  
სამოთხეს სუფევს ხალისით,  
„სიცოცხლეს კაცი მიათრევს,  
სიკვდილი დადის თავისით“.

## 162. რა შეედრება

თვალებით გატიტვლებულ ქალს  
რა შეედრება, რა!  
გულმკერდ ამოღერებული,  
რა ლამაზია, რა!  
დუნდულბუთქუნა ტაკუნა  
საოცარია, რა!  
და მისი გრძელი ფეხები,  
საოცნებოა, რა!

## 163. ჭკუის ქექვა

ამ მთავრობის დედაც ტირის,  
იმ მთავრობის – ავი ჭალაც,  
ვითომ ბედი გაგვეჭედა,  
ვითომ ბედმა გვიღალატა.  
იმ მთავრობას რა ვუთხარი,  
ეს მთავრობა მოგვწონს ახლა?!  
ჩვენს წარსულს რომ ფუძეს უთხრის,  
მომავალს რომ ველარ ქაჩავს.  
ჩვენი ხალხის დედაც ტირის,  
წინაპართა ავი ჭალაც,  
რომ ამდენი სისულელე  
ერთი მოსმით დაგვაჭავლა.  
ხალხი კივის, მასა ყივის,  
რას გავხდებით მათთან ახლა,  
ყურის გდება, ჭკუის ქექვა  
ღმერთმა თუ არ დაგვანათლა.

ამ ჩვენს მტრებსა რა ვუთხარი,  
სხვა ერების ავსა ჭაღას...  
უსათუოდ დაგვერხევა,  
თუ მშვიდობა არ დამყარდა.  
ჩვენი მტრების უგნურობას  
ალარა აქვს ზღვარი, მადა,  
და თუ ჩვენ დღეს ფეხს მოგვტეხენ,  
ხვალ ხომ ჯერი მივა მათთან.

P.S. მოსდებია სავალს შარი,  
გზა ძნელია, ღმერთო, ქველო  
შენ „მოყვრები“ მოაშორე,  
მტერს მოუვლის საქართველო!

#### 164. სიკეთის თესვა

კაცად მაშინ ვგრძნობთ თავსაო,  
როცა სიკეთეს ვთესავთო,  
ღმერთს მაშინ ვებაასებით,  
როცა სიკეთეს ვხედავთო.  
სიყვარულს მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ,  
როდესაც გულით ვჭედავთო,  
ოჯახსაც მაშინ ვუნდივართ,  
თუ სახელს ვიმკით, ვთესავთო.

## 165. ოცნების გაფრენა

ჩვენი ოცნებით გაფრენას  
გამართლება აქვს ერთი,  
ჭკუას გვიბოძებს განგება,  
რომ მოვიკიდოთ ფეხი.  
ოცნების ორომტრიალში,  
გონის მოხმობა ძნელია,  
გული ხომ ჩუმად ყელყაობს,  
რომელიც მარად ჩვენია.

## 166. კითხვაჰი

საეჭვო გამოცხადებას  
მუდამ თან ახლავს კითხვები,  
ეს გონის ნაფიქრალია,  
თუ დაფიქრდები, მიხვდები!  
მიხვედრა რა ბედენაა,  
პასუხი თუ არ გავეცით,  
კითხვები კითხვად დარჩება,  
გადაუჭრელი კითხვებით.

## 167. ვახვანი

უბედობასთან ჭიდილსა  
ყველა გაურბის ვახ-ვახით,  
რადგან გმირია საჭირო  
და არა ბლაგვი – მახათი.

## 168. ვულკანსაც ვუმეგობრდებით

ვულკანსაც ვუმეგობრდებით  
ჭკუის მოხმობის ჭიდილით,  
სიყვარულს დავემონებით,  
ხან ვტირით, ხანაც ვიცინით.  
ვულკანის ამოფრქვევასაც,  
გონთან ჭიდილი სჭირდება,  
ვნებისა წარმოჩენასაც,  
შეხლა-შემოხლა სჭირდება.

## 169. ქალს ქალობა ემატება

ქალს ქალობა ემატება  
გამოცდილების შეძენით,  
გაიჩითება, გაჩნდება  
ვნების მორევში ჩაშვებით,  
ყველა ქალი საცნობია,  
აქვთ მიზიდულობის ძალაც,  
ის ენერგიით კაცს ათრობს,  
თუ ქალად დარჩება კვლავაც.

## 170. თვითღაჯერება

თავდაჯერებით ვამაყობთ,  
რაიც იმედებს გვისახავს,  
ქალი ერთთავად აღგვაგზნებს  
და თავისუფლებას ვკარგავთ.  
წყალნი წავლენ და წამოვლენ,  
ქალი იმატებს მშვენებას,  
თუ დროზე ჭკუით არ დახვდი,  
მოგიტანს გადაშენებას.

## 171. ველადავებით

ტრფობის ალს ქალი გვიღვიძებს,  
მის ნებას არ ვედავებით,  
სახეიროს რას მივიღებთ,  
არ ვიცით, ველადავებით.  
ველადავებით ცხოვრებას,  
გონის მოხმობის წადილით,  
გულს შეჯერება სჭირდება,  
სულის მოხმობის სურვილით.



## 172. ენაზე კბილის დაჭერა

სიტყვას ვამბობთ, სიტყვა გვართობს,  
სიტყვა ფრთებს გვასხამს ლოდინით,  
სიტყვას ფასი უნდა ედოს,  
არ უნდა გვედოს ლოდივით.  
სიტყვის მაღლსა თავს დავნატრით,  
სიტყვა გვიმატებს შეძლებას,  
სიტყვა მიდის, სიტყვა მოდის,  
ფასის დადება ძნელდება.  
სიტყვა გარბის, სიტყვა მორბის,  
მას ფასსა ვადებთ ავანსად,  
სიტყვის ყოფნა კბილების ქვეშ  
ყველას უჯოკრავს ნალდადა.

## 173. მის წარმოჩენა

სიმართლე მოსმენას ითხოვს,  
ჭეშმარიტება თანადგომას,  
ადამის ბუნება იღვწის  
თავის მეს წარმოსაჩენად.  
სიმართლე ბედის გიდია,  
ჭეშმარიტების მოხმობით,  
სიმართლეს ბრძოლა სჭირდება,  
თავის მეობის გაგებით.

## 174. სილაღე

გონს მოუხმობთ – არ მოუხმობთ,  
ის უნდა ლაღობდეს მარად,  
ტვინი უნდა ჩალიჩობდეს,  
რომ ასაზრდოოს აზრმა.  
აზრსაც გამოკვება უნდა,  
რომ საქმე გონით აანყოს,  
აზრსაც გვერდში დგომა უნდა,  
რომ სიხარულით გაგვაძლოს.

## 175. ლამაზი

ლამაზს რად უნდა კონტროლი,  
მას არ სჭირდება გამოცდა,  
მიუშვით თავის ნებაზე,  
ეს არის მისი გამოცდა.  
ლამაზის იდუმალება,  
სულს ეფინება მარადა,  
მასაც სჭირდება შემეკობა,  
რომ თავი იგრძნოს ლაღადა.

## 176. ბედი მისი

ჩიტუნის იქ აბამენ,  
სადაც არი, ბედი მისი,  
ურჩობა და კინკლაობა  
არ გამოდის არას გზისით.  
ჩიტუნია გულს გვიღონებს,  
თავის გაუბედაობით,  
ჩიტუნია გონზე მოდის  
ნელა, თანდათანობით.

## 177. განსასჯელია

ამქვეყნად ბედის ტრიალი  
იმქვეყნად დასასჯელია,  
ჭკუა-გონების გრიალი  
განუსჯელ-განსასჯელია.  
ჭკუა ამქვეყნად ვინ მოგვცა,  
ის გონითაა სახმობი,  
ბედის ტრიალით ჩალიჩი,  
გონის მოხმობის წესია.

## 178. ტრფობის მახეში

ტრფობის მახეში გაბმული  
გული ვერ ამჩნევს „ანგელოზს“,  
ვინ არის ჩვენი ქალღმერთი,  
თავიცი ხომ უნდა გვაჩვენოს?

### **179. კუთვნილი აგვიხდებოდეს**

ნატვრას ვინ ჩივის, ნეტავი,  
კუთვნილი აგვიხდებოდეს,  
გონიერების შექმნილი  
ნაღდად რომ შემოგვრჩებოდეს.

### **180. არც ისე რიგზეა**

ღამე თუ დღეს ჰგავს, დღე ღამეს,  
საქმე არც ისე რიგზეა,  
არ ვიცი თუ ესე ცხოვრება,  
იგრეკია თი იქსია?

### **181. იღბალი**

თუ იღბალი ზურგს გვიმაგრებს  
და ოცნებას აღმა ფარცხავს,  
დარდი აღარ გავიკაროთ,  
თუ სულს არ სურს ჩვენი განსჯა.

### **182. ოღრამობა**

ოღრამობის პროფესიაც  
ბიზნესსა ეარშიყება,  
ტურიზმსაც და მარკეტინგსაც  
ეს ჩლუნგი ეჩალიჩება.

### **183. ანა-ბანა**

ავითვისეთ წერა-კითხვა,  
შევისწავლეთ ანა-ბანა,  
დრო მოვიდა ლეპტოპების –  
ინტერნეტის განდაგანას.

### **184. წყალობა**

ბედი ყველას არა სწყალობს  
და ის არც ყველას ხვედრია,  
მაგრამ რა ვუყოთ სიყვარულს,  
თუ მასზედ გვიოცნებია.  
ოცნებას არვინ დაგვიშლის,  
რომ არ ჩაიჭრე, ძნელია,  
იმას უხმით, მთავარია,  
რაც ოცნების ალზე იწვის.

### **185. დღის დადგომა**

ყოველი დღისა დადგომას  
იმედისა გრძნობით ველით,  
თუ ყისმათი ჩვენთანაა,  
ფეხებსაც ვერ მოგვჭამს გენი.

### 186. გონის მოხმოვა

დარდს მუშტის ნახვა სჭირდება,  
ალერსს კი – თვალის შევლება,  
სიტყვას მოქარგვა სჭირდება,  
ნაღვანს კი – გონის შეჩვენვა.

### 187. ძაღლის ძვალი

ყოფნა-არ ყოფნის „ძაღლის ძვალს“,  
ფორტუნა გვიგორებს მარად,  
თუმცა როგორღაც ვახერხებთ  
მასთან შეჯერებას – გაყრას.

### 188. შიქლება

ჩვენი ცხოვრების მიზანი  
ყოველთვის იყო შეძლება,  
მაგრამ თუ სინდისს ავიგდებთ,  
მაშინ რად გვინდა ქონება.

### 189. ვიცით

ვიცით ცხოვრების ბაიათს,  
ვინ როგორ განაგებს, ვიცით?!  
თუ ვიცით, ესეც საქმეა,  
თავს არ შევიწუხებთ, ვიცით.

## 190. დარდი

მარად თანა გვდევს დარდიო,  
რას შემოგვიჩნდა, არ ვიცით,  
თითქოს ვილაცა გვამონმებს,  
თავის გატანა თუ ვიცით.  
თავის გატანას კი ვცდილობთ,  
ჭკუის მოხმობის მცდელობით,  
ჩვენი ცხოვრების რაობით,  
გონის ხმობით და მსჯელობით.

## 191. ნიგნის ჩუქება

ნიგნს არ ვჩუქნი არავის,  
პატივს არ მივაგებ სხვას,  
არ მიყვარს მუქთა მთხოვნელი,  
სადაც არ აფასებენ აზრს.  
აზრსა ჩუქურთმა სჭირდება,  
თავისი ხაბახუბითა,  
აზრს დაფასება სჭირდება,  
მხარის აბმით და ფულითა.

## 192. პოეზია და ლექსები

ხაბა-ხუბა და ლექსები,  
უპრეტენზიო ლექსები,  
ჭკვიანი კაცის ლექსები,  
სულის საპოხი ლექსები,  
გულის გამხსნელი ლექსები,  
ტვინის საღრძობი ლექსები,  
უცნობი მასტის ლექსები,  
პოეზია და ლექსები.

## 193. სიყვარული გვათრობს

სიყვარულია, რომ გვათრობს,  
სიყვარულია, რომ გვანრობს,  
სიყვარულია, რომ გვახმობს,  
სიყვარულია, რომ გვახსოვს.  
სიყვარულია, რომ გვერჩის,  
სიყვარულია, რომ გვებრძვის,  
სიყვარულია, რომ გვბოჭავს,  
სიყვარულია, რომ გვმოდღვრავს.



### 194. დროის საოცრება

ცას, ვარსკვლავებით მოჭედილს,  
ნამგალა მთვარეცა ცელავს,  
დედამინა კი მინდობით  
დროის საოცრებას ხედავს.  
ეს საოცრება კარგია,  
ხედვის უნარის ქონით,  
ვარსკულავთ აღმრიცხველობით,  
და გონიერების ხმობით.

### 195. ყბედი ხალხი

მე არ მიყვარს ყბედი ხალხი,  
არც უმიზნოდ რქებით რქენა,  
საქმისაც შეჯერება სჯობს,  
თუკი ჭკუამ დაგიჯერა.

### 196. ნანატრსა ტრფობასა

სულით ნანატრსა ტრფობასა  
გული არ შეულონდების,  
რასაც თვალს მოჰკრავს, მოხვეტავს,  
სული არ აუქროლდების...  
სულის შეცნობა ძნელია,  
გულისა ხმობის გარეშე,  
გონსაც მოხმობა სჭირდება,  
რომ ჭკუა გავიხაზიროთ.<sup>8</sup>

---

8 გავახაზიროთ – გავამზადოთ (გურული დიალექტი).

## 197. გრძნობათა გამოქანული

ვეტრფით ყველას; ამას, იმას,  
ვეტრფით გულის გამოძახილს,  
სიყვარულსა ხელს ვერ ვკიდებ,  
სხვა გრძნობებით გამოძახილს.  
ტრფობა რომ კარგი გრძნობაა,  
ამას არ უნდა ჭივ-ჭავი,<sup>9</sup>  
მთავარი გრძნობის შებმაა,  
გამოძახილთან ჭიდილში.

## 198. გონით გაგაქლარი

მრავალი სტროფი ავკრიფე,  
მათ შორის მაჩანჩალაცო,  
მრავალჯერ გადამიარა  
გონითა გამაძლარმაო.  
გამაძლრობა არ შევლის,  
ჭკუისა ხმოვის მცდელობას,  
მთავარი სტროფის მაღლია,  
რომ გულით იჟივჟივოსა.<sup>10</sup>

---

9 ჭივჭავი – პატარა ფრინველი და მისი ხმიერება.

10 იჟივჟივოსა – ფრინველის ჟრიაშული.

## 199. ტრაკის თამაში

ტრაკს იქ ათამაშება,  
სადაც საჭირო არ არის,  
ბევრ უგნურებასა გვჩუქნის  
უაზრობისა მარაგით.  
უტრაკო ყარაჩოხლობა  
გონის მოხმობის გარეშე,  
დიდი ვნებაა ქვეყნისთვის  
პასუხისგების გარეშე.  
რეალობასთან ჭიდილი  
აღლოს აღებას მოითხოვს,  
გამოცდილების არფლობას  
დროის ყვილიც ხელს უწყობს.

## 200. ლაჟვარდი ცა

ლაჟვარდი ცისა დანახვას  
გულის შეთბობაც სჭირდება,  
მზისათვის თვალის შევლებას  
სული არ შეუშინდება.  
გონიერების ცის თვალი,  
ამ ჩვენსა ყოფას სჭირდება,  
მისთვის მთავარი გულია,  
რომელიც არ იყიდება.

## 201. უცნაური ქვეყანა

უცნაური ქვეყანა ვართ  
უცნაური შვილებით,  
უცნაური აზრები გვაქვს,  
უცნაური ფიქრები.  
უცნაური გონება გვაქვს,  
უცნაური ზრახვებით,  
უცნაური ქცევა მოგვწონს,  
უცნაური გაგებით.

## 202. ხონი

ამირან დარეჯანის ძე  
მოსეს უქია ხონელსა,  
სიტყვას ბაჯალლოდ ასალებს  
და ხონიც „ბედაურობსა“.  
ხონიც ზურმუხტი მხარეა,  
ვანს ეჯიბრება ხმობითა,  
ხონურ-ვანურს ვარიანტს,  
ვეხვევით, ვეხუნტულებით<sup>11</sup>.

## 203. ტლიკინი

ტლიკინ-ყბედობით ქვეყანა  
არავის უშენებია,  
არც ხტუნვა-ხტუნვით გზის კვლევა,  
არავის უნებებია.

---

11 ვეხუნტულებით – ჩავეხუნტებით, მივეალერსებით.

## 204. ქველი

ძველს მოფერება სჭირდება,  
ძველს გახსენება სჭირდება,  
ძველს დაფასება სჭირდება,  
კვლავ ანმყოთი დაფასებით.  
ანმყოში ყოფნა ნიჭია,  
გონის მოხმობის ფიქრითა,  
თუ ანმყოს ეს უკვდავება,  
ძეგლთა შენებას გვპირდება.

## 205. გულახდილობა

გულახდილობა ნიჭია  
თუმც ფასი ადევს სათუო,  
გულახდილობის ბუნება  
აუგად არ უნდა ვახსენოთ.  
აუგად ყოფნა ამქვეყნად,  
გულახდილობის ბრალია,  
გულახდილობით ნათქვამი,  
მიზანს არ ხედება ძამია.

## 206. სიტყვის გეგვა

კითხვა-პასუხის საღამო  
გაგიმართიათ დღესაც,  
კი მაგრამ, აღარ მოგბეზრდათ,  
სიტყვის მაგვარის ბეგვა.

## 207. სულის კუნჭული

ჩვენი ოცნების გაფრენას  
გამართლება აქვს ერთი,  
ჭკუას შეგაფრქვევს განგება,  
თუ მოვიკიდეთ ფეხი.  
აღბათ მეცა ვარ რალაც,  
აღბათ მეცნობა ხალხი,  
გულის გადაშლა გაჭირდა  
სულის კუნჭულის გახსნით.

## 208. განსაზღვრულია

სიცოცხლე ნაკადულია,  
იმედი დახატულია,  
სიცოცხლე დაფანტულია,  
იმედი გაძარცვულია.  
მიუხედავად ამისა,  
სიცოცხლე გახარჯულია,  
ხოლო ამქვეყნად ყოფნა კი,  
განუმეორებელია, –  
ყოველთვის განსაზღვრულია.

## 209. ჭირი

ჭირის შემყურე ბევრია,  
ნებართვის თხოვნის გარეშე,  
სიკეთის მქნელი ბოდიშობს,  
რატომღაც ნებართვას ითხოვს.  
ჭირს მკურნალობა სჭირდება,  
რადგან ფიქრები არ შველის,  
გონსა მოხმობა სჭირდება,  
მაგრამ არავის სჭირდება.

## 210. ვეშვილობა

ხან სიბრძნეს ველადავებით,  
ხანაც ქალს ვეარშიყებით,  
დრო კი ულმობლად გაგვირბის  
და ჩვენ მას ვემშვიდობებით.

## 211. ნისქვილია ეს ცხოვრება

ნისქვილია ეს ცხოვრება  
დოლაბების ტრიალით,  
ზოგჯერ ფქვილი, ზოგჯერ ქატო...  
დოლარების ფრიალი...

## 212. გონსა არ ეჩოთირება

ვიმკით სითბოს, ვლამობთ განსჯას  
და მოყვასის მიმხრობასა,  
რა მოჰყვება ასეთ გარჯას...  
იმ შრომისა და გარჯის ფასად?!  
გონსა არ ემორჩილება.

## 213. სადღაც ცდება

მეც ქალს ვეტრფი, სიტყვებს ვესვრი,  
მიხარია მისი ცქერა,  
მეც ჩემს სურვილს „დავანყნარებ“,  
ის კი – თავის ვნების ღელვას.

ქალს ბუნება აიძულებს,  
რომ ალალი წარსდგეს ყველგან,  
დანაშაულს ის არ სჩადის,  
ის უბრალოდ სადღაც ცდება.



## 214. შენ ვის რა უნდა ასწავლო

სულით ღარიბო, მითხარი,  
ენას რას აქნევ, რას წვალობ?  
ამაოდ რატომ ირჯები –  
შენ ვის რა უნდა ასწავლო?!

გონით ურწმუნოვ, მითხარი,  
რას ყბედობ, რასა ღადაობ,  
უგნურად რატომ იქცევი,  
თავი რად გინდა გადავლო?!

## 215. მეობას რა სჭირს

მაყრად მყავს მარად ოცნება  
გონის მოხმობის დრო არი,  
გულს რაღა ჯანდაბა მოსდის,  
ან ჩვენს მეობას რაღა სჭირს?!

მეს სიყვარული სჭირდება,  
გონისა ხმოვით ვნებისთვის,  
არასდროს დაგვიფასდება,  
ტრფობის შაჰინშა<sup>12</sup> რო არი?!

---

12 შაჰინშა – მეფეთ მეფე (სპარსული წოდება).

## 216. ტანგა<sup>13</sup>

ქალი ვნახე მკერდშიშველი,  
მოგოგმანე „ტანგათია“,  
კახპაა თუ ანგელოზი,  
ახლაც ამის რკვევაში ვარ...

ქალი ვნახე ტრაკშიშველი,  
რითაც ის „ტანგას“ მალავდა,  
ნაკლავ თუ ანგელოზი –  
ახლაც ამის რკვევაში ვარ.

ქალი ვნახე მთლადშიშველი  
ნუდისტების „პლიაჟზედა“,  
ქალწულია, მითხრა გულმა,  
ჩაცმულ ქალთა ჯინაზედა.

## 217. მრავალჯერ

მრავალსა ქალსა ვეტროფოდი,  
მრავალმა დამანელო,  
მრავალჯერ ვნებით ვიღვანე,  
პენისმაც<sup>14</sup> მასახელო.

---

13 ტანგა – ძალზედ მოკლე ქალის ქვედა საცვალი.

14 პენისი – მამაკაცის სასქესო ორგანო, ფალოსი.

## 218. ნიჭი არის კამათელი

კი, გაერთე, დრო ატარე,  
მაგრამ, დროსტარების გარდა,  
საქმეს დროზე სჭიდე ხელი,  
სანამდის ხარ ახალგაზრდა!  
რას მოგიტანს სიოს მადლი,  
ტყვილად უცდი ზეცის გრანტებს,  
იყავ პროფესიონალი,  
ნუ აჰყვები დილეთანტებს!  
გინდ რიჟრაჟზე, გინდ შუადლით  
ან დღე-ღამის გასაყარზე,  
მოიხელთე მუზა ბადით,  
ჩამოისვი ყურთან, მხარზე,  
როგორც ალლო მონადირის,  
ნიჭი არის კამათელი,  
მუზა არის გარჯა ვირის,  
ღამე თეთრად განათევი.  
თუ პოეტობ, სხვა რა გზა გაქვს –  
მუზას თავი მოუქონე,  
არც ერთი დღე უმაგიდოდ,  
არც საათი – უსტრიქონოდ!

## 219. რა სჭირდება ახალგაზრდას

რა სჭირდება ახალგაზრდას?  
ბერიკაცის ბრძნული სიტყვა!  
ეს ამბავი, სწორზე სწორი,  
მე არ მითქვამს, უკვე ითქვა.  
ბრძენ ბერიკაცს რაღა უნდა?  
ენერგია ჯველური,  
ყმანვილისგან ამოივსოს,  
როგორც ზედნაშენი ჭური.  
ყმანვილკაცო, არ გეგონოს,  
ეგ მცხოვანი ყავლგასული,  
შეუცვლელი მოძღვარია,  
სანამ პირში უდგას სული.

## 220. ზღაპრის ეხსი

ყველა კაცი სიმნიფეში  
ბავშვობიდან მოდის,  
ბავშვობა კი იშიფრება  
მხოლოდ ზღაპრის კოდით.  
ყმანვილი რომ იმ ზღაპრებში  
და ზღაპრებით სუნთქავს,  
თუ რამე არ მოენონა,  
ოცნებას ჩაურთავს.  
ზოგჯერ კომბალს მოიმარჯვებს,  
ხანაც ნაცრის გუდას,  
ხან ქვის ნაცვლად წვენს გაადენს  
ყველის მომცრო გუნდას,  
ხან წიქარას მოაჯდება,  
ხარს, ძმასავით ერთგულს,

კლდეს და უღრანს აღუმართავს  
ურჩხულს, დადევნებულს,  
ზოგჯერ მიწყვიტა გადაუფრენს  
მთებს, ზღვასა და ხმელეთს,  
ფორიაქით ჩაუტკბება  
ზღაპრის ელეთ-მელეთს.  
ბავშვის რა ვთქვა, როცა ახლაც  
ჭარმაგ-დიდობაში,  
გულისძგერით ვიჭყიტებით  
ზღაპრის კიდობანში.  
შვილისშვილს რომ საფერებლად  
დაუფდები ოდეს,  
ზღაპრის ჯადო, ზღაპრის ეშხი,  
არც როდის მოგშლოდეს!

## 221. სიჭაბუკის შებრძნება

თუ სიჭაბუკის თავ-ქარი  
არ შეგიგრძნია არასდროს,  
მაშინ ცხოვრების რუტინა  
თავის ნებაზე „გკამანდრობს“.  
თუ გემო ვერ გაუსინჯე  
ყამწვილკაცობას, დიდებულს,  
ვერასდროს ვერ მოიმარჯვებ  
ქნარს, ალალ მკერდზე მინადებს.

## 222. დაუვინყაბელი

რა უძიროა ლაჟვარდი,  
როცა დილა მზით თენდება,  
გული სივრცისკენ მიიწევს,  
ჯეელს ვნებები ეშლება.  
ო, რა კარგია ზღვისპირი,  
გადაჭედული „ნაშებით“,  
გამოფენაა გავების  
და დაკიდული ფაშვების.  
ახალგაზრდობის ხვედრია  
საპლაჟე ლალი ცხოვრება,  
რა დაგავინყებს იმ ხანას –  
ბოლომდე გემახსოვრება  
რასაც მთელი ხმით მღეროდი,  
ასაკში გულით იმღერებ,  
ამ დღეთა მძაფრი ხატება  
გაგილამაზებს სიბერეს.

## 223. მარტივი ჭეშმარიტება

ახალგაზრდობას – გზა ფართო,  
ასაკოვანს კი – პატივი —  
გულდაგულ გავითავისოთ  
ჭეშმარიტება მარტივი!  
არაფრით არ გამოგვივა  
სიბერის პატივისცემა,  
თუ მიავინყდა მხცოვანებს  
ნორჩთათვის გეზის მიცემა.

ორთავ თაობამ ერთმანეთს  
თვალეებში უნდა უმზიროს,  
ისწავლოს, მხარში დგომა და  
სიყვარული კი უძირო!

## 224. ფაქიზი სული

აღზრდა სიფრთხილეს მოითხოვს,  
ბავშვს ხომ სული აქვს ფაქიზი,  
ზოგჯერ მათრახიც არ აწყენს,  
სწავლას რომ მიჰყვეს ხალისით.  
ზოგის ტალანტი ანათებს,  
ზოგიერთისა – მდარეა,  
თუმცა ორივესთვის თანაბრად  
სწავლის სანყისი მწარეა.  
სამაგიეროდ, ბოლოში,  
დილა მზიანი თენდება,  
მძიმე დღეები ბრუნდება  
ათასმაგ დივიდენდებად.  
„ისმინე, სწავლის მძებნელო,  
მოჰყე დავითის მცნებასა,  
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ – ტკბილი,  
თუ ეძებ გემოვნებასა!“

## 225. დამოქვრა

ზოგი, ვისაც გაუმართლა,  
ყოყოჩობს და მაგრად ხამობს,  
იმის ნაცვლად, შრომის მაღლი  
დროსტარებას შეუხამოს.  
კი, გაერთე, ადამის ძევ,  
მაგრამ ჩემს მტერს სულ გართობა!  
თუკი არაფერი შექმენ,  
არ შეგრჩება ჭამა-თრობა.  
შიგადაშიგ მაინც, ძმაო,  
შეარხიე ტვინის ღარი,  
რომ კაცურად აიცილო  
მცონარობა საზიზღარი,  
შენი ყოფის შავი ბოლო,  
სამარცხვინო დასასრული,  
რომ „იქით“ არ გაიყოლო  
ფიასკო და კრახი სრული.

## 226. „მარიფათი“

იყავ მუდამ უშიშარი,  
უნდა გწამდეს შენ ყისმათის,  
უნდა გქონდეს მოხერხება,  
უნდა გქონდეს მარიფათი!



## 227. ცივილიზაცია

ცივილიზაცია გემოდღვრავს,  
გვაკვირვებს თავისი მეთი,  
ცივილიზაცია ბორგავს,  
რომ დაიპყროს ცისქვეშეთი.

## 228. არცა ჭკუაა საჭირო

რად გვინდა, ვიყოთ ჭკვიანნი,  
თუ ვერ ვერგებით დროს,  
არცა ჭკუაა საჭირო,  
თუ ვერას ვარგებთ დროს.  
დრო ჩვენი ყოფის მახეა,  
მასა მორჩილებს ყოველი,  
დროსთან ჭიდილი არ ღირს,  
დროს ვერ უჯოკრავს ჯოკერიც.

## 229. ბალიში

ძილსაც ბალიში სჭირდება,  
ლამით რომ აზრი დახატოს,  
უსასთუმალო სიზმარი  
საშინელებას გვთავაზობს.  
სიზმარი ჩვენი ჰობია,<sup>15</sup>  
თავისი ახსნის მცდელობით,  
უსიზმროდ თავის დადებას,  
ბალიშიც ველარ აიტანს.

---

15 ჰობი – სასურველ-სასიყვარულო რამ წესი.

### 230. განსჯა

ხანში ჭრაჭუნი ცელქობით  
აზრთა ჭრაჭუნში გადადის,  
ასაკში გონივ თავხედობს,  
მაგრამ არავინ არ განსჯის.

### 231. ღვინო გონებას ათბობს

ღვინო გონებას ათბობს,  
არაყი ჭკუას ანრთობს,  
წყალი მათ ნახელავს რეცხავს  
და დაბინდულ გონსა აკრთობს.  
გონსა სიფხიზლე სჭირდება,  
ჭკუისა დაუთოებით,  
სასმელს კურთხევა სჭირდება,  
„პახმელიაზედ“ გამოსვლით.

### 232. ყველაზე უკეთესია

ფულის მოხმარა ცოდნაა,  
სესხება, ჩასესხებითა,  
ურთიერთ გადამონმებით,  
და საქმეში შემონმებით...  
ამიტომ ფულის მოხმარას  
ცოდნა სჭირდება ზედმეტი,  
რათა არ იყოს სადაო  
ვინ ვის გაუკეთა მეტი.

### 233. უქალღმონია

ორი სიტყვა მინდა გითხრათ  
არა პოლიტპარტიაზე,  
არც ძალოვან სტრუქტურებზე –  
ჩვენს ბიუროკრატიაზე.  
ეგ ხომ ოდითგანვე დაგვსდევს,  
როგორც მოძრავს ბნელი ჩრდილი,  
ჩვენ გვკლავს, თავად უკვდავია,  
მუდმივად გვხრავს როგორც ჩრჩილი.  
ვიცით, მისი გზასავალი  
თუ ვით გადასაკეტია,  
რომ მისგან გვჭირს ყველა ჭირი –  
ინფარქტი და ტრაგედია.  
მისგან გახდა ბევრი მშვიდი  
უიმედო მანიაკი,  
იყოს სახელმწიფო, მაგრამ  
უქალღმონიათი.

## IX. ცხრამარცვლიანი ლექსები

### 234. შარში

ქალი ლამაზი, ულამაზო  
უნდა გვიპყრობდეს შარმით, მაღლით  
კაცი ამაყი თუ უამაყო,  
ყველგან უნდა კაცობდეს თავით.

### 235. გატრაკება

ყველა ტრაკი ჭკუას გვარიგებს,  
ყველა ტრაკი უგონოდ გვმოდღვრავს,  
ყველა ტრაკი „ტალეირანობს“,  
გატრაკებაა მეორედ მოსვლა!?

### 236. მარად განვაპრცობთ

პოეზია მაშინა შლის ფრთებს,  
თუ ის ლექსით აღებს ყველა ხვრელს,  
პოეზია იღვწის, ნავარდობს,  
სიყვარულს თუ მარად განვაპრცობთ.

### 237. სიზლი ქრება

ყვავილისთვის ფასის დადგენას  
სული შეცნობის მეთი ხდება,  
მავანნი მოდას ჰყვებიან,  
და შედეგად სიბლიცა ქრება.

### 238. არ უხდება...

ცრემლს თვალთმქაცობა არ უხდება,  
თვალის ჩაკვრისაგან განსხვავებით,  
ვნებას გაფხორვა არ უხდება,  
მადლობის თქმისგან განსხვავებით,  
გულს აჩქარება არ უხდება,  
მოფერებისგან განსხვავებით,  
ყურებს ჩამოყრა არ უხდება,  
სმენადობისგან განსხვავებით.

### 239. სუსტი არსება

ადამს, როგორც სუსტსა არსებას,  
მორალს ნუ გადავაყოლებთ,  
ადამს, როგორც ვნებისა მორჩილს,  
გრძნობებს ნუ გადავაყოლებთ.  
ადამს, როგორც გულისა მომხმობს  
განცდებს ნულარ შევახსენებთ,  
ადამს, როგორც სულით მოვაჭრეს  
განსჯას ნუ გადავაყოლებთ,

ის თუ თავს ეჭიდავება  
მას ჭკუა სჭირდება დროზე.  
რა ვუყოთ, ისიც ადამია,  
თავსაც ნუ გადავაყოლებთ!

## 240. ოცნება

ჩვენი ოცნება სულ მარტივია,  
თუ ბედმა არ გვიმუხლთა ერთხანს,  
გულს ვაახლოთ სიყვარული და  
ვიყოთ ჩვენი მეობით ერთხანს.

## 241. დროს არ მოქლვრავე

დრო, ყოველთვის ყრუ და მუნჯია  
სანამ გამოფხიზლდება გონით,  
ადამი ტლუა, ჯიუტია  
სანამ არ გამოჩორკნით დროით,  
დროს არ მოძღვრავენ, აცდუნებენ,  
გონს არ აქეზებენ, უხმობენ,  
ფულს არ ფლანგავენ, აბანდებენ,  
გულს არ ვნებენ, ეფერებიან.

## 242. განცდა

სულს კითხვა-პასუხი აწვალებს,  
ჭკუას – მარად შედეგის განსჯა,  
გულს კი ყოველივე აღელვებს,  
მის განცდათა მიუხედავად.

## **X. ათმარცვლიანი ლექსები**

### **243. სიავე**

ძუძუმწოვართა შორის ყველაზე  
ადამიანი გახლავთ საშიში,  
ხელენიფება ტვინის დაბინდვა  
ჰეროინებით, მორფით, ჰაშიშით.  
მე შეგახსენებთ, თუმც უჩემოდაც,  
არახალია, გაგეგონებათ:  
ყველა სიავის თავი და თავი  
ემმაკეული გახლავთ გონება.  
აზრისეული ხრიკი ცდუნებას  
მიგვაახლოებს სატანის ბუდეს,  
ისე, რომ არც კი გვეცოდინება,  
ღვთისაგან ნაჩვენებ გზას გაგვიმრუდებს.  
სად რა იშოვოს, ვის რა ნაჰგლიჯოს –  
ეს ლტოლვები აქვს ღამეც და დღესაც,  
ადამის მოდგმის ცოდვიან საქმით,  
ღედა-პლანეტა მტრად გადაგვექცა.

### **244. ჭირის დამთმენი**

ადამიანი რითი ფასდება?  
თუ კაცად რჩება, არ გახასდება,  
თუ ტვინს დალლამდე აამუშავებს,  
არც რას არავის არ დაუშავებს,  
რამდენად არის ჭირის დამთმენი...  
რა სასიკეთო დარჩა საქმენი  
და არა ორთავ მუშტის ძალათი,  
არა მოხვეჭით, ოქროს კალათით,  
არა ვენდეტით, შურისძიებით –  
ო, სიყვარულით მიძღვნილ იებით!

## 245. გიყვარდეს მტერი შენი

ღმერთმა შექმნა თუ გაჩნდა თევზისგან  
ადამიანი, ფაქტზე ფაქტია:  
თუ რისთვის გაჩნდა, არ საეჭვოა:  
სიყვარულისთვის – ნაღვზე ნაღვია!  
ცხოვრებაში კი, ნახეთ, რა ხდება:  
ერთმანეთს კბენენ, ჭამენ, ხოცავენ!..  
და ვისლა ახსოვს უფლის მცნებანი:  
„გიყუარდეთ, შვილნო, მტერნი თქვენი!“

## 246. ჟამი განკითხვის

კი, სწორსა ბრძანებთ: ძლიერ რთულია  
ადამიანთა ნდობის საკითხი,  
თუ გიღალატა, დადგება შენთვის  
უსასტიკესი ჟამი განკითხვის.

## 247. სულს ნუ შეირყვნი

ადამიანო, გსურს იამაყო  
შენი კაცობით, შენი მეობით?  
მაშ, ყური მიგდე: სულს ნუ შეირყვნი  
სიცრუითა და მექრთამეობით!  
თუმც ალალ გრძნობით მავან ბანოვანს  
მიართმევ ახლად დაკრეფილ ვარდებს,  
არ შეიძლება, ყველა მოგწონდეს,  
არ შეიძლება, ყველა გიყვარდეს!



## 248. აბრამის ბატკანი

ადამიანი – ფარისეველი  
„მუშაობს“ თავის წარმოსაჩენად,  
თუმც თავი მოაქვს აბრამის ბატკნად –  
ნაიდაგ იღვწის გამორჩენაზე.  
ადამიანო, ერთს გეტყვი კიდევ:  
სხვისი სიკეთე ნუ შეგშურდება,  
შურისძება ავი სისინით  
ბუმერანგივით დაგიბრუნდება!

## 249. „ჰომო საპიენს“

ადამისა და ევას ნაშიერს  
წინაპრის ცოდვა არ აპატიეს.  
ნეტაი, რად არ გავჩნდით ცხოველად,  
ნეტა, რად გავხდით „ჰომო საპიენს“?!

## 250. იმედი ხვალის

თაიგულია უნიკალური  
სიმშვენიერის, სისხარტის, ძალის,  
სიახლის, წინსვლის, ცოცხალ გონების,  
ახალგაზრდობა – იმედი ხვალის.  
იყოს ხეშეში, გაურანდავი,  
დაულვინები თუნდაც სრულიად,  
დე, ჩუხჩუხებდეს როგორც მაჭარი –  
ეგ ხომ რუტინის დასასრულია.

რაც მიფიქრია ამ სიბერეში,  
იმ ხვაშიადის მინდა განდობა:  
გამგები თვალით შეხედე ჯეელს,  
ცხვირს ნუ უბზუებ ახალგაზრდობას!  
შენც ხომ დაჰქროდი, ვერ ისვენებდი  
და დაძაბული გქონდა მყესები,  
თუმცა ზნეობას არ ლალატობდი,  
ფეხზე გეკიდა ნორმა-წესები.  
სამაგიეროდ, წინ მოგიძლოდა  
შენი ცხოვრების ლაიტმოტივი:  
გაფურჩქნო ნიჭი, ქვეყანას არგო,  
და იყო წინსვლის ლოკომოტივი!

## **251. გენიოსს თუ ვერ გაუგა**

თუ მომავალზე ფიქრი განუხებს,  
ნიჭიერს აკვანს ვინ არ დაურწევს,  
ვინ არ დაუკრავს ტაშს გენიოსებს,  
ერის კულტურის მწვერვალზე ამყვანთ.  
მაგრამ გენიოსს თუ ვერ გაუგეს,  
ძეგლს ვინდა ჩივის, ქობს არ აუგებს,  
არად ჩააგდებს მის სიჩაუქეს,  
ხოტბის სანაცვლოდ იტყვის აუგებს.

## 252. მოლანდება

სანამ ცის თალი მზერას მოგტაცებს,  
ფრთხილად იარე ნოხზე ველების,  
სდიე პეპელას, ჩაცმულს მოდაზე,  
დასტკები ყაყაჩოს საკვირველებით.  
ყური მიუგდე ფუტკრის რე-მინორს,  
ეგ სიმღერაა ნეოლითისა,  
ზღვის ტალღამ უნდა მოგასმენინოს  
უცხო ამბები ძველი მითისა,  
მოგელანდება არგონავტები,  
მოგხიბლავს ეშხი ამორძალების,  
შენ ამღერდები სირინოზივით  
და მერე ლექსსაც მიეძალები.

## 253. მოეშვი პოზას

ო, ადამის ძის გენო და ნიჭო,  
შენ ხარ ვენახი, მტევნებად სხმული,  
სილატაკეში ცხოვრება გიჯობს,  
თუ ზენაარით ხარ ხელდასხმული.  
მინის წიაღში განძებს ნუ ეძებ,  
ზეცის ლაჟვარდში გაინავარდე,  
იქ მოიძიე ჯერ არყოფილი  
გულის სამოთხე, სულის სავარდე,  
კერპად ნუ გახდი ცხოვრების პროზას,  
ხარკი მიაგე სულიერებას,  
ამპარტავნების მოეშვი პოზას  
და ის იმღერე, რაც გემღერება!

## 254. „ჩირთი-ფირთი“

ნიჭი, ტალანტი, თუ მოიხმარე,  
რალა თქმა უნდა, მძიმე ტვირთია,  
თუ შრომის ოფლი არ ჩააქციე,  
სულ ფუჭადფუჭი „ჩირთი-ფირთია“.  
ნიჭი „ზემოდან“ მიტომ გექლევა,  
ტალანტი ღმერთმა იმიტომ განდო,  
რომ სიზარმაცის შეძლო დაძლევა,  
მოდმისთვის განძი რომ დააბანდო.  
ეს ღვთის ნყალობა იმისთვის გინდა,  
ერის მუხტი რომ გააძლიერო,  
მერე მიიღო ზღვა სიხარული  
ისე, ვით ჯილდო სამაგიერო.  
აბა, რა არის უფრო ალალი,  
ვიდრე ხალასი შემოქმედება,  
ეგ უებარი სულის ნამალი  
შენს შთამომავალს დაუბრუნდება.

## 255. ჯოგური პრინციპი

ადამის მოდგმა ჯოგურ პრინციპით,  
ცხოვრობს ტომებად, ერთად, გუნდებად,  
მისტირის მუდამ ნამყოს, გარდასულს,  
რაც არასოდეს დაუბრუნდება.  
კაცი ხომ ასე დააპროგრამეს:  
რაც არ ერგება, ის მოუნდება,  
თუ დრომ უდროოდ გაინაპირა,  
მთელი ცხოვრება აებურდება.

## 256. ვირტუალობა

მოდას კაცები ქალებს უქმნიან,  
მერე თავადვე უფინანსებენ,  
სამაგიეროდ, ბანოვანები  
ასაჩუქრებენ, ვნებით ავსებენ.  
როცა იღევა კაცთა რესურსი,  
ხვადნი სიზმარში მაშინ სახლობენ,  
როცა იქაც ვერ აქტიურობენ,  
ვირტუალურად ვითომ ნაწლობენ.  
სექსის ნაკვალევს ვერავინ ნაშლის,  
მას უტრიალებს ისევ გონება,  
რომ რამე იყოს, ქალების დიქტატს  
კვლავაც უსიტყვოდ დაემონება.

## 257. ამაყად, მდიდრად

შეეშვი ღრუბლებს, ფუჭ ილუზიებს,  
მინას დაეყრდენ ტერფებით მკვიდრად,  
რეალობასთან იყავ მართალი,  
შეიგრძენ თავი ამაყად, მდიდრად!  
„ტყუილუბრალოდ რომ არ იწოდე,  
რალაცა მაინც უნდა იცოდე...“  
ვინც უგუნურად განვლო ცხოვრება,  
არსთა გამრიგე არ შეიცოდებს.

## 258. „ნუ დახარბდები“

ზეცით ფრთოსანი ხშირად დაგვცახის:  
„ნუ დახარბდები! ნუ დახარბდები!“  
რაში გარგია ოქრო მინაში,  
ფული ლეიბქვემ ამონადები?  
თუკი მოიხვეჭ, მოყვასს უნილე,  
შეუმსუბუქე გულის დარდები,  
შეუყვარდები თავზე უმეტეს,  
უფალსაც უფრო შეუყვარდები!

## 259. კანონიც არაფერია

ეს ერთი ფიქრი მხიბლავს ძალიან,  
თუმც გამიჭირდა მისი მიგნება:  
ფასი არა აქვს მონწესრიგებას,  
უნწესრიგობა თუ არ იქნება.  
თავისუფლება მაშინ გვალალებს,  
დაგვმუქრებია თუკი მონობა,  
ჰოდა, კანონიც არაფერია,  
თუ არ არსებობს უკანონობა.

## 260. სურვილი

ნუ ჩამეთვლება ნორმის დარღვევად,  
უცნაურობად ანდა ანცობად,  
მსურს მივიჩნიო ყოველი კაცი,  
ჩემს ულალატო, კეთილ ნაცნობად.  
მერე რაა, რომ შეხვედრა დღეის,  
შემთხვევითია, არის პირველი,  
რომ მოვიკითხოთ, მივესალამოთ,  
რად უნდა იყოს გასაკვირველი.  
გამოვიკითხავ, თუ რა აწუხებს,  
დარი უმძიმს თუ უამინდობა...  
ასე თუ ვიზამთ, ომს დავამარცხებთ  
და დამყარდება ქვეყნად მშვიდობა.

## 261. წარსულის გახსენება

თუ არ მოტვინე პლიუს-მინუსი,  
გამოცდილების, ისტორიულის,  
მაშინ წარსული თავად დაგვცინებს,  
მძაფრი სიცილით, ისტერიულით.  
უნდა იცოდე, მამა-პაპათა  
როგორი წესით ზარდეს შვილები,  
როგორ იშრომეს, როგორ იომეს –  
აი, ძვირფასი გაკვეთილები.  
ვინ ულალატა ხალხს და ქვეყანას,  
ვინ ჩაიდინა საქმე საგმირო,  
უნდა იცოდე, ვინ აღამაღლო,  
ვინ სამუდამოდ გაინაპირო.

ვინ თავი დადო მამულისათვის  
და ერის გულში ჰოვა ადგილი,  
ვინ მდედრმა ხელში აიღო ხმალი,  
მოიხსნა დროით დედის მანდილი.  
ასეა, ძმაო, თუ არ მოტვინე  
გამოცდილება ისტორიული,  
არ გაიოცო, მან რომ დაგცინოს  
მძაფრი სიცილით, ისტერიულით.

## 262. ყოფის ფასი

თუ არ წასულხარ ერთხელ მარილზე,  
თუ არ შეგიკრავს ტივი სატივეს,  
თუ ტახტზე გორვით განვლე ცხოვრება,  
შთამომავლობა არ გაპატიებს.  
თუ ერთხელ მაინც არ შეფუცხუნდი,  
არ მოგანრუპეს სამსალის თასი,  
თუ შეჭირვება არ გამოსცადე,  
ნულზე ნულია მაგ ყოფის ფასი!

## 263. სიცოცხლის ჟამი

ნუ განუდგები ცხოვრების ფერხულს,  
ეცადე, ჩასწვდე ალგორითმს ყოფის,  
თუმც კი ამისთვის, ეგ კარგად ვიცით,  
სიცოცხლის ჟამი არავის ჰყოფნის.



## 264. პარაზიტი

ზოგი მარადი პარაზიტია,  
მუქთის ძებნაში დაძრწის, ბერდება,  
დავინწყებია ბრძენთა ნათქვამი:  
რაც არ გერგება – არ შეგერგება!

## 265. „დრონი მეფობენ“

„დრონი მეფობენ, არა მეფენი“,  
ღმერთმანი, ფიქრებს ველარ აუხვალ;  
და გადის წლები ყოფის შეცნობით  
და ამ სიმართლეს ვერსად წაუხვალ.  
გამოვიარე ჯაფის რაობა,  
გზა წამებისა, ტანჯვათა ხევი,  
ბედისა ყისმათს, ყოფის ბაიათს  
ვერ გავეჩეცი – ვერც გავეჩეცი.

## 266. რა შეედრება

ინტელექტს, იღბალს, გამოცდილებას,  
რა შეედრება, რა?  
თუკი განგების წყალობაა და  
ნიჭიც გვერდით ახლავს.  
ჭკუის ნამდვილი გამოცდილება  
მალლიდან უქნევს თავს,  
თუკი მეობის უნარი დაგყვა,  
ვინ გაგიბედავს რას?

შემოქმედების მაღლს, უცილობას,  
ვინ რას გაუგებს, რას?  
შემოიჭრება, შემოგესევა,  
შემოგანათებს თვალს.  
შემოქმედების ტანჯვა-წამებას  
ვინ რას გაუგებს, რას,  
შემოგაგებებს თავისსა ნებას  
და ჩვენც ჩაფუკრავთ თვალს.

## 267. ნდობა

ნდობის სურვილით იბადებიან,  
და ზოგჯერ ნდობით თავს უარყოფენ  
ნდობის ბაცილით ინამლებიან,  
მერე კი მაინც თავს იწონებენ.  
ნდობის სურვილს ფეტიშს მიაგებენ,  
პიარს უწყობენ ქებით და ფართით,  
ნდობის გარეშე სიცოცხლე უჭირთ,  
თუმც არც ნდობაა ხშირად მთლად ნაღდი...

## 268. ვხერხოთ ბოჰემა

ვიხმით მუზეუმი, ვხერხოთ ბოჰემა,  
აზრს შევაშველოთ ჩვენი გონება  
შევთხზათ ლექსები, ვწეროთ პოემა,  
ხალხი ვაქციოთ დროის ბოჰემად!

## 269. გონის მადლი

ზოგს გონის მადლით მოხმობა მოსწონს,  
ზოგსაც მათ შორის ჭკუის დადგენა,  
ზოგს დროსთან მარად ჭიდილი მოსწონს,  
ზოგს კი ამ დროის ფუჭად გაცდენა.  
გონიერება საქმეს მოითხოვს,  
გონიერება საქმეს სჭირდება,  
გონის მოხმობას ყველანი ვცდილობთ,  
გონის მოხმობა მარად გვჭირდება.

## 270. სიმართლე

სიმართლის ცოდნა ხშირად არ გვანწყობს,  
არცა ზრდილობის ქონას ვაფასებთ,  
სიმართლე ჭკუას გვიდუღებს, გვინვავეს,  
რათა ზრდილობა არ გადაგვარდეს.

## 271. კლირსვა

კლირსვა<sup>16</sup> ყველა ქალს ახასიათებს,  
ლამაზია თუ მახინჯი,  
უმთავრესია კლირნი<sup>17</sup> არ შეახმეს  
და არ დაიწყოს კლირნინი<sup>18</sup>.

---

16 კლირსვა – პირსახის მანჭვა.

17 კლირსვა – ნირპლი.

18 კლირნინი – კოჭაობა.

## 272. ვარიაციები

გავა ქართული, გავა თურქული,  
თურმე, ჰქონიათ ფორმა საერთო.  
ვნება ქართული, ვნება ფრანგული –  
თურმე, ჰქონიათ სექსი საერთო.  
გული ქართული, გული ბერძნული –  
თურმე, ჰქონიათ გრძნობა საერთო.  
ჭკუა ქართული, ჭკუა ჩეხური –  
თურმე, ჰქონიათ გონი საერთო.  
სული ქართული, სული კუბური –  
თურმე, ჰქონიათ შერწყმა საერთო.  
რწმენა ქართული, რწმენა რუსული –  
თურმე, ჰყოლიათ ღმერთი საერთო.  
ცხვირი ქართული, ცხვირი სომხური –  
თურმე, ჰქონიათ სიგრძე საერთო.  
გავა ქართული, გავა ჩინური,  
გავა უნგრული, გავა ინდური –  
თურმე, ჰქონიათ ენა საერთო,  
განავარდება ბრაზილიური.

## 273. სურნელის ფრქვევა

ვარდს აქვს თავისი დანიშნულება,  
მას ცრემლიც ახლავს ბასრი ეკალით,  
მის სილამაზეს რა შეედრება  
თავის ფერით და სურნელის ფრქვევით.  
ვარდი სიყვარულს თავად გვახსენებს,  
ვეტრფით მის ყველა გამონათებას,  
მასაც სჭირდება ფერთა ზეიმი,  
ლამაზის ცნობა და ნეტარება.

## 274. იმქვეყნად

ძნელია მიხვდე, ძნელია იხმო,  
ადრე წასული კაცის ფიქრები,  
ძნელია განსჯა, ძნელია იგრძნო,  
იმქვეყნად მყოფი კაცის ფიქრები,  
იყო მართალი კაცი იმქვეყნად,  
ადვილი არის განსახილველად.  
მას გაჭირვება თან თუკი დასდევს,  
და მერე მას ვინ შეეხილება?

## 275. სიამის წვეთები

თვალეზუფუნა წვიმა და ქარი,  
ვნების ამღვრევის, გონის მცდელობით,  
მარად სიამის წვეთებს გვაპკურებს,  
სულის მოხმობით, გონის მცდელობით.  
არის სიამის ხმობის წუთები,  
რასაც გონება არ ეპუება,  
მასაც სჭირდება სულის მოხმობა,  
რათა სიამე ვიგრძნოთ ციური.

## 276. თავზე ნარმოდგენა

საკუთარ მეობასთან ჭიდილი,  
თავზე ნარმოდგენას გონით გვიქმნის,  
რაც სიკეთის მომტანი არ არის  
და არც რაიმე პრესტიჟსა გვიქმნის.

## **277. სულიერების წვდომა**

მუსიკა სულსაც გვიფორიაქებს,  
ლექსი ჩვენს სულიერებას სწვდება,  
ხმა ყოველივეს აახმოვანებს  
და გულიც თითქოს ყველაფერს ხვდება.

## **278. არ დაბრუნდება**

მივსტირით იმას, რაც არ დაბრუნდება,  
მივსტირით იმას, რაც წარსულშია...  
მივსტირით ანმყოს, ნამყოს, მომავალს,  
მივსტირით დროს და ჩვენს უგნურებას.

## **279. ცხოვრების ბედი**

გვინდა, არ გვინდა, უნდა ვითმინოთ,  
რათა ხელთ ვიპყროთ ცხოვრების ბედი,  
აქ მთავარია სისხლის სანაცვლოდ  
ოფლი დავღვაროთ მეტი და მეტი,  
რათა თაობებს მარად შემორჩეთ  
ამ ქვეყნის ყოფის მზერა – იმედი.

## 280. კონკურენტი

ჩვენც დავდიოდით, ვიღიმებოდით,  
ჩვენც გვინათებდა მთვარე ფიქრებით,  
გულს ნუ გვინწყალებ თქვენი მეობით,  
კონკურენტი ხართ ჩვენი ფიქრების.

## 281. ნაცრის შუჟრა

ნუ მთხოვ, სხვებისთვის ვაკეთო საქმე,  
ნუ მთხოვ, სხვებისთვის დავლიო ღვინო,  
ნუ მთხოვ, სხვებისთვის ნაცარის შეყრას,  
რომ სიყვარული გადავარჩინო!

## 282. ზარმაციაო ადამიანი

ზარმაციაო ადამიანი,  
სიმართლეს რომ არ შეეფერება,  
დღე-ღამ იღვანებს, იბრძოლებს, შრომობს,  
ნიჭმა თუ იგრძნო, შეეხიზნება.

## 283. ბადალი არ ჰყავს

მონყენილობას ბადალი არ ჰყავს  
ადამიანთა დაჩმორებაში  
და ამიტომაც ყველა გაურბის  
თავის მეობის შეჯვრებაში.

მონყენილობა ბედის გზირია,  
ზურგის ჩვენებას ყველანი ვცდილობთ,  
მონყენილობას თავის ჭირი აქვს,  
რის მოშორებას მარადჟამს ვცდილობთ.

#### **284. სიტყვა**

სიტყვა სიყვარულს არ ეცილება –  
სიტყვა უთქმელად დაიღუპება,  
თუ სიტყვას ფასი დაკარგული აქვს,  
მას სიტყვის მადლი ჩამოერთმევა,  
სიტყვას თავის ოხშივარი ასდის  
და მისი მადლი აგვხედავს მაღლა,  
სიტყვა ჩვენს სულს ესალბუნება,  
სიტყვა ააგებს ჩვენს ყოფის მადლსა.  
სიტყვაში მზე დევს ციურ ნათებით,  
სიტყვაა მკობის თავიც და ბოლოც.  
სიტყვის მადლს ვერვინ ვერ ერკინება,  
სიტყვა სიყვარულს არ ეცილება.

#### **285. სულის ჩალიჩი**

ვიდრე სიცოცხლეს ვეჩალიჩებით,  
ვიდრე სამყაროც გვეჩალიჩება,  
ამასობაში ამაოება  
სულის წართმევით გვემშვიდობება.  
ლექს როცა გულით ეჩალიჩები,  
უნდა აწვალო გონი ხალისით,  
ლექსის მაკიაჟს ყურად არ ვიღებთ...  
აქ მთავარია სულის ჩალიჩი.



## 286. როცა ასაკს ეკიდება ობი

როგორაც ვაფრენთ, ისე გააფრენთ,  
როცა ასაკს ეკიდება ობი,  
როცა მუხლში ჩაგვიდგება წყალი  
და იმედი გვისამძიმრებს მოთქმით.  
როცა წლები გვემატება რიხით,  
როცა გრძნობა თავს დაგვიკრავს მოთქმით,  
როცა ყველა ჩაიმუხლებს წლებით,  
ასაკს მაშინ დაედება ობი.

## 287. რწმენით ვაჭრობა

ბრწყინავს ოქრო, თავს იწონებს ვერცხლი  
და მათ ფასი დაედებათ მაშინ,  
თუ სიცოცხლე წარმოჩენას ლამობს,  
არ მიჰქარავს და არ ვაჭრობს რწმენით.

## 288. შემართულნი ვართ

ყველა გენია საფლავში იწვის,  
მათ მხურვალეობას შორიდან ვხედავთ,  
გავიზიარებთ მათ აზრებს ფხიანს  
და გასაფრენად შემართვას ვბედავთ.  
გენიოსობა მძიმე ტვირთია,  
ამ აქსიომას არ უნდა მტკიცვი,  
გენიოსობის აღქმას ძნელი,  
როცა გარს გაკრავს ამდენი „ვირი“.

## 289. გონის მოძიება

გონიერებას საქმე მოითხოვს,  
გონიერება საქმეს სჭირდება,  
გონის მოხმობას ყველანი ვცდილობთ,  
და მოძიება ყველას გვინდება.  
ზოგსაც გონისა მოხმობა მოსწონს,  
ზოგსაც მათ შორის ქუეის დადგენა.  
ზოგს დროსთან შეჭიდება მოსწონს,  
ზოგს კი უაზროდ დროის გაცდენა.  
საკუთარ მესთვის მეტის მოთხოვნა  
განგების ნებით აკრძალულია,  
ყოფიერების შეცვლის მცდელობა  
გონების სინჯის საფასურია.  
ზეციურია ჩვენი ბუნება  
და ის მარად მინისაკენ უხმობს,  
აღმაფრენას და გონიერებას  
ერთად მოძოვა რატომღაც უჭირთ...  
ვიყოთ ნატიფნი, ნუ დავბერდებით,  
ვიყოთ ქათქათა სულის ძახილით,  
გვახსოვდეს მუდამ არსობის წესი  
ჩვენი გონების გამოძახილით.

## 290. დროის ყივილი

დროის ყივილს ვინ გაუგებს – ნიჭი?  
დროში ჯდება ჩემი, შენი რიგი;  
დროს რომ შევწვდეთ, უნდა გვექონდეს ნიჭი,  
დრო რომ ვიგრძნოთ, უნდა ვხარჯოთ იგი.

## 291. ქართველთა გული

ოქროს ვერძი და ოქროს საწმისი  
ქართული სულის ბაირალია,  
ყელმოღერებით, ამაყი ხედვით  
ხალხს სიამაყით შეუნახია.  
გასაროზგია ეს ჩვენი ჯიშში,  
რომ ერთგულება უცხო ხილია,  
ყბედობის ნაცვლად საქმის კეთება  
და გამრავლება ფეხზე ჰკიდია.  
სამწუხაროა, როდესაც ქართველთა  
ღირსეული არ ჰყავთ წინამძღოლი,  
როდესაც ნიჭი და შესაძლებლობა  
უკვალოდ ქრება, ვით მონაჭორი...  
ჩვენს ჯიშს ვიფიცებთ და ჯილაგს ვეტრფით,  
მათაც სჭირდებათ ხელის შევლება,  
რათა სამყაროს ჯიშში გამდიდრდეს,  
ქართველთა მოდგმამ შეისხას ქება.  
საოცარია ამ ხალხის ბედი,  
რატომ სჭირდება სხვის კვალზე ძრომა,  
როდესაც ნიჭი გადასდის თავზე,  
როდესაც ნიჭის დგას შემოდგომა?!

## 292. ჩვენი გონის მცდელი

სიყვარულსა თავისი აქვს პეწი,  
სიყვარულსა თავისი აქვს შანსი,  
სიყვარული დაგვაჩოქებს შარმით,  
სიყვარულმა უკვე დაგვიმონა...  
სიყვარულსაც უგონობა ახლავს,  
სიყვარულსა სილამაზე შვენის,  
სიყვარულსა შეცნობაც კი მოსდგამს,  
ხშირად არის ჩვენი გონის მცდელი.

## 293. სულთამხუთველი

სულთამხუთველი ჩვენი მეობის  
თავისი ნიჭით, თვისი მეობით,  
მუდამ ჩვენთან დგას ცელმომართული,  
რაც გინდა ვიყოთ ნელგამართული!

## 294. ჩვენთან იქნება

მზე ძველებურად არ იკბინება,  
არც არასოდეს არ იღრინება,  
ცხადია ნათება უხმოდ გაგვირბის,  
როგორც უფალმა ჩვენთვის ინება.

## 295. მუქთად და აღმაფრენით

თვალი გვაშორებს, თვალები გვაფრთხობს,  
მათ ძალას ველარ შევეპუებით,  
თვალის თამაში ბედის ნებაა,  
მის ხედვის უნარს ვერ შევედრებით,  
თვალების ყუყუნს და თვალის ჩაკვრას  
გთავაზობთ მუქთად და აღმაფრენით.

## **XI. თერთმეტმარცვლიანი ლექსები**

### **296. თუ არ გჯერა**

გულით იგრძნობ, თუ გონებით არ გჯერა,  
არის ერთი უტყუარი სიქველე:  
ადამის ძეს თუ აბია მარჯვენა,  
ეს იმიტომ, მარცხენა რომ გაჩვენა.  
სულ ადვილად შევთანხმდებით ამაზეც:  
უმახინჯოდ ვერ შეამჩნევ ლამაზებს,  
თუ არ ნახე ბრიყვი ადამიანი,  
ვერ მიხვდები, ვის დაარქვა ჭკვიანი.

### **297. ბედის კაშკაპი**

ბედი გთხოვე, დროსტარებას მთავაზობ,  
ქალიშვილს გთხოვე, ქუჩის მეძავს მთავაზობ,  
სახლი გთხოვე, ქოხი გამოიმეტე,  
არად მაგდებ, წიხლი მიკარ იმედებს,  
არაფერი ნაღდი არ მომენიჭა,  
დამაბერე უნაყოფო ბერბიჭად,  
ერთსლა გვედრებ გულალალი ფიცითა:  
უზრუნველმყავ მშობლიური მიწითა,

## 298. ზედთან ჭილილი

ბედნიერი ბედრჩეული კაცია,  
უბედური ბედის უბედურია,  
ბედის რჩეულს ზეცის მაღლი აცხია,  
უბედურს კი სულ შია და სწყურია.  
ბედნიერებს თითქოს ცალკე კლანი აქვთ,  
უბედურთა „კლასის“ უჭირთ გაგნება,  
არც ის ესმით, ამ სოფლიდან რა მიაქვთ,  
თუ საქმეში არ ჩაერთო განგება.  
საბოლოოდ ყველა ერთგან მოხვდება:  
კაცისმკვლელი, „ბომჟი“ თუ არქიმედი,  
დამიჯერეთ: იმედგადანურულსაც  
არ დატოვებს სასწაულის იმედი.

## 299. გააჩნია ვისთვის

ქალსა ბევრის კეთება შეუძლია –  
გააჩნია ვისთვის;  
ქალს სულის შეფუთვნაც კი შეუძლია –  
გააჩნია ვისთვის;  
ქალს თავის გაშიშვლებაც შეუძლია –  
გააჩნია ვისთვის;  
ქალს ყველაფერი მისთვის შეუძლია –  
გააჩნია რისთვის.

### 300. არჩევნები

არჩევნების მნიშვნელობა ღიდა,  
ხშირად მასზე ქვეყნის ბედი ჰკიდა,  
არჩევნები ზოგჯერ ბენვის ხიდა,  
თუ ხმებს ფულზე უყოყმანოდ ჰყიდა.  
თუკი პოლიტპარტიებმა ინებეს  
ატყდეს ჩხუბი, ერთმანეთის გინება,  
მუშტის ქნევა, მერმე სისხლის დინება,  
ერი ცრემლს ღვრის, მტერს კი გაეცინება.

### 301. ხელვა

ქალს თუ ჯოჯოხეთში უნდა ცხოვრება,  
ის სამოთხისკენ არც გაიხედავს,  
კაცს თუ ჯოჯოხეთში ყოფნა სწადა,  
ის სამოთხის კარებს მაინც გახედავს.  
მამრი გრძნობებს ჩუმად ეცუღლუტება,  
მდედრი კი გრძნობებს ალაგებს, აახლებს,  
მამრი გრძნობებს ჩუმად ეჩალიჩება,  
მდედრი კი გრძნობებს ადუღებს და არჩევს.



### 302. სიცოცხლესთან ჭიდილი

რადგან ამქვეყნად ცხოვრებასაც ვგეგმავთ  
და არა ყოფისა მესთან შეხვედრას,  
არ გამოვრიცხავ ტაძარში ფორიაქს,  
სულის გულში ყოფნას და ჩახუტებას.  
რადგან ქვეყნის მადლის შეცნობა, მარად  
სიცოცხლესთან ჭიდილს მაინც მოითხოვს,  
ტაძარსაც მივხედოთ, სული ვალალოთ,  
თავს უგვანობაში ნულა ამოვყოფთ!

### 303. ჩვენი ყოფა

ჩვენს ყოფაში არაფერი იცვლება,  
გონზედ მოსვლა საოცნებო ჰიტია,  
ჭკუის მოსვლას აღარავინ დაგიშლის,  
თუ სწავლაში ფული „გადაგიყრია“.  
ჩვენი ყოფის მომთოკავი ვინ არის,  
როს ოცნება ძილში უხვად გვაყრია,  
ოცნებისთვის ფრთის შესხმაა საამო,  
თუკი ყოფას ჩვენ ფეხებზე ვკიდევართ.  
ჩვენი ყოფის უგნურება გრძელდება,  
აქ სიყვარულს რაღაც ბოდვად გვითვლიან,  
ყოფნა ყოფის სანატრელი მამაა,  
კარგ ყოფისთვის ყველაფერზე მიდიან.  
უნიჭობაც ყოფას ეჩალიჩება,  
თავის „ბზიკი“ ყველა შეუსყიდია,  
მისი მადლი ყველას ერთხანს გვიგვრძნია,  
ვის კაცობა ფეხებზე არ ჰკიდია...

### 304. ალტრუიზმი<sup>19</sup>

ალტრუიზმი სიყვარული როდია,  
შეცოდებას სიყვარულთან რა უნდა,  
პოლიტიკა საჩოთირო რამ არის,  
რის შედეგსაც ვერასოდეს განვჭვრიტავთ.

### 305. მორალი

მორალზე, ღირსებაზე, კაცობაზე  
არის უსაგნო ყბედობა ხშირად,  
ყველა თავის ნაცნობ მორალს გვთავაზობს,  
ყველას პატიოსნება აქვთ შირმად.

### 306. მეტყევე

მეტყევე გახლავარ სულით და ხორციით,  
ნაღდი ტყის მცველი, ურჩი „გიროსტისი“,  
ტყის ქკუის „ხუმტურებს“ პატივს მივაგებ,  
მისი კანონზომიერებით ვიღწვი.  
იყო მეტყევე, სულის ზეიმია,  
ტყის მოვლა – დაცვა, სულ გულით მახარებს,  
ტყის ჭრას – მოხმარას, ხომ ცოდნა უნდა,  
ტყეს არ გავჩეხავ, სახლს ისე ავაგებ.

---

<sup>19</sup> ალტრუიზმი – მოყვასზე ზრუნვა, საკუთარი ეგოისტური მისწრაფებების დაძლევიტ.

### 307. თვითმყოფადობა

საკუთარ აპეურებთან ჭიდილი  
ნუ მოგვიშალოს მაღალმა გამჩენმა,  
თავისი ცნობიერების მტვრევითა  
და თვითმყოფად მეობის წარმოჩენით.

### 308. ბედის მათხოვარი

ყველა ქალი ოცნებების კონაა,  
ყველა ქალი ჭორიკნობის შვილია,  
ყველა ქალი სიყვარულის მონაა,  
ყველა ქალი სიხარულის გიდია.  
ყველა ქალი შენდობისთვის მზადაა,  
ყველა ქალი შვილებისა ფანია,  
ყველა ქალი შვილიშვილზედ აბოდებს,  
ყველა ქალი ბედის „მათხოვარია“.

### 309. მოგეჭრათ გზები

ბრბოსთან ყოფნას სიკეთე არ მოაქვს,  
არც ბრბოდ ქცევის ცდუნება მოითხოვს ნიჭს,  
ძალაუფლება თუ ქუჩაში გდია  
და მის ასაღებად დაკუზვა არ ჭირს.  
გავა დღეები და ხდები პირველი,  
იმასაც ხვდები, რომ მუქთად გაები  
და უკან დახევის მოგეჭრა გზები,  
თანაც განტევების ვაცად იქეცი.

ხალხი განანყენდა, მასა აღშფოთდა,  
განტევეების ვაცსა დაეძებს ყველა  
და ამიტომაც დაგდებულ „პორტმანს“<sup>20</sup>  
ხელსაც არ ახლებენ, მარად უფროთხიან.

### **310. სატანას უხმოვს**

ყველა სულს დემონი ეჯახირება,  
ყველა სული ეშმაკებთან ჩალიჩობს,  
ყველა ნესიერებაზე თავსა დებს,  
ყველა თავისი დროის სატანას უხმოვს.

### **311. გონების გმვნებით**

პოეზია მატიანის სახეა  
სულის ტკობით, ვნებით დაუნრეტელით,  
პოეზია სტილის შექმნის საქმეა,  
სულის წმენდით და გონების მშვენებით.

### **312. ვინ უწყის**

სიცოცხლით ვცხოვრობთ, სიყვარულით ვიღვნით,  
რა მოხდება შემდგომ, არავინ უწყის,  
სიცოცხლეს ვეტრფით, სიყვარულით ვინვით,  
ამ ყოფის ნაცვლად რას ველით, ვინ უწყის.

---

20 „პორტმანი“ – საფუღე. ამ შემთხვევაში ხიმანკლობის მონყობა.

### 313. ღრენა

ბედის პოვნას არვინ არ გაპატიებს,  
ჭირის ნახვისას დაგიყვავებს ყველა,  
მაჯობაო – არვინ არ გაპატიებს,  
ვაჯობეო – შურსაც კი სპობს ერთხანს.

### 314. დროის კრედიტი

გონივრულად დროის კრედიტის ხარჯვა  
თანდაყოლილი ალალი ნიჭია,  
დროს ვალის გადახდა მეობით უნდა,  
ჩვენი ხასიათით, გონით და ნიჭით.

### 315. რა შეგვრჩება

უარვეყოთ ალკოჰოლი, უარვეყოთ თამბაქო,  
უარვეყოთ ცდუნება, უარვეყოთ კაიფი,  
უარვეყოთ ქალი, უარვეყოთ მეძავთან სექსი,  
მერედა ბოლოს რა შეგვრჩება ხელში?

### 316. წარსული არ დავტოვოთ

ამ დროში ვართ საცდუნებლად მოსულნი,  
კაიფის მისაღებ, დროს არ ვკარგავთ ჩვენ,  
ანმყო გვინდა მოვიძიოთ წარსულით,  
გვსურს წარსული ადგილზე არ დავტოვოთ.

### **317. უფლებას ითხოვს**

ცოდნა დიქტატისა უფლებას ითხოვს,  
თავისუფლება წინააღმდეგია,  
ნიჭი მორჩილებას მათრახით ითხოვს,  
დემოკრატია წინააღმდეგია...

### **318. სამყაროს ტუსაღები**

რადგან ამ სამყაროს ტუსაღები ვართ,  
ამ ქვეყანას უკეთ უნდა გავეცნოთ,  
რათა თაობებს ცოდნა ვუსახსოვროთ  
და ჩვენ როლი უმაღლ გადავულოცოთ.

### **319. ოცნების განახლება**

ყველა აზრი დატყვევების ღირსია,  
ყველა გონ-ჭკუა შეფერებას ითხოვს,  
ყოველივე ფეტიშს დაელოდება,  
ყველას ოცნება განახლებას ითხოვს.

### **320. მონახვაა ძნელი**

ყოფის ნაგლეჯებიც გაცრას მოითხოვს,  
არც გამცრელის მონახვაა ადვილი,  
მაგრამ დროს გამცრელის დანახვაც არ სურს,  
რადგან გაცრილის მონახვაა ძნელი.

### 321. მაქებარი

ხალხს ბევრი უგვანო მაქებარი ჰყავს,  
ერს კი ბევრი „სიაფანდი“ მეხოტბე,  
მასას ბევრი უგვანო მოძღვარი ჰყავს,  
ბრბოს კი – ბევრი უგვანო შემცოდე.

### 322. ფარცაკუკუ

ფარცაკუკუს<sup>21</sup> ასრულებენ ქალები,  
წყვილ-წყვილად და გოგმან-გოგმან-გოგმანით,  
მუხლ მოხრილნი, კაბაშემოკეცილნი  
და ტაშის კვრით, შემართებით, სიმღერით.  
ფარცაკუკუც მუხლჩაკეციტ ჩალიჩობს,  
როკვა, ბუქნი მას ლამაზად გამოსდის,  
ფაფლაყვერა<sup>22</sup> ასაკოვნებს უარყოფს,  
მას არ მოსწონს ფაფხური და ტრაბახი.

### 323. ზრდილობა

ზრდილობის ცოდნა არც არავის აწყენს,  
არც ზრდილობის უარყოფაა ქებული,  
წესიერება ხომ ჭკუას მოუხმობს,  
თუ ზრდილობის მადლითაა ქებული.

---

21 ფარცაკუკუ – ძველებური ცეკვა და სიმღერა.

22 ფაფლაყვერა – მოხუცი, მარტოხელა.

### **324. ყოფის ავანტურისტი**

პრინციპებია, ყველას რომ გვანუხებს,  
ერთგვაროვნებით, თავმობეზრებით,  
რაში ვიყენებთ, როგორღა გვადგება,  
ეს დროის და ყოფის ავანტურისტი?

### **325. დასტური**

ჩხუბში სულიერება ბაირამობს,  
თუ კარგი საქმის განსასჯელად იღვწის,  
ჩხუბი ძალისხმევის ბაირალია,  
თუ დასტურ დროის წარმოჩენით იღვწის.

### **326. გამონათება**

მთვარესაც თავის გადათრობის დრო აქვს,  
როცა ის დედამიწას ეფარება,  
მას მარად თავისი განათება აქვს  
და დროც დროის ტარებას ეძალევა.



## **XII. თორმეტმარცვლიანი ლექსები**

### **327. უსარკმელო საყდარი**

უსარკმელო საყდრის აშენება არ ღირს,  
უსახელო სიცოცხლისა ფეტიში არ ღირს,  
უნიათო კაცი შესამჩნევად არ ღირს,  
ბერნი ქალის გაქალბატონებაც არ ღირს.

### **328. საგლახაო**

ეს არ არის საგლახაო – ბედი ჩემი,  
ეს არ არის საგლახაო – ნეტავ შენი,  
ეს არ არის საგლახაო – მეცა მინდა,  
ეს არ არის საგლახაო – ჩემი, შენი.

### **329. მონადირე**

შეცდომით ცხოვრება საშინელებაა,  
არც უშეცდომო ადამი უქნია ღმერთს,  
არადა ნიჭი, აზრებზე მონადირე,  
ყოველთვის ვერ უკმევს ცხოვრებას საკმეველს.

### **330. რიგით ვიღვნიო**

ამქვეყნად ყველა ჩვენი რიგითა ვიღვნიო,  
ამქვეყნად ყველა ჩვენი მეთი თავს ვიმკობთ,  
ამქვეყნად ყველას ვალი და ვახში გვანევს,  
ვეცადოთ, იმქვეყნად ვალი არ წავილოთ.

### 331. ქალის მაღლი

ქალში უმთავრესად გულწრფელობა ფასობს,  
მას მხარს უმშვენებს კაპრიზი და პიარიც,  
ნუთუ ქალის ქკუა იმდენად არ ფასობს,  
როგორც მისი გავა, მკერდ-ფეხის პრიალი?!

### 332. ფეხზე ჰკიდია

გასაროზგია ყველა იმ ერის ჯიში,  
თუ ერთგულება მისთვის უცხო ხილია,  
შრომა-გარჯისა ნაცვლად ყბედობას ლამობს,  
შრომა და გამრავლება ფეხზე ჰკიდია.

### 333. ნიჭის შეცნობა

პოეზიას თავისი მწვერვალები აქვს,  
მისი დაპყრობის მსურველებიც ბევრია,  
მაგრამ მწვერვალის პიკზე ასვლის უფლებას  
დრო იძლევა თავის ნიჭ-მადლის შეცნობით...

### 334. ასაკი

ადამი შრომამ არ უნდა დააჩმოროს,  
ის ყოფის მაღლმა უნდა გაახალისოს,  
ასაკმა სიამაყით უნდა იღვანოს  
და შეღავათი არასოდეს ითხოვოს.

## **XIII. ცამეტმარცვლიანი ლექსები**

### **335. გასანთლული იმედი**

სიცოცხლე ნაკლული, ცხოვრება დახარჯული,  
იმედი გაპარსული, რწმენა გაფანტული,  
ოცნება დამოძღვრილი, უაზროდ გახარჯული,  
გული დაკოდილი, იმედით გასანთლული.

### **336. სიბერეს გადავაპოვებთ**

ადამი იმ ყოფითაც მადლიერი რჩება,  
თუ სხვასთან შედარებით უკეთ ცხოვრობდა ის,  
მას სიახლე ჩუმად უნდა შემოვაპაროთ,  
თუ გვინდა რომ ჭკუის მადლმა იღვანოს ნიჭით.  
მას პლიუს-მინუსის გარეშე ყოფაც უჭირს,  
გამრავლება-გაყოფა მას სიცოცხლეს მატებს,  
ეროვნული ტოლობა იმედს თუ ამართლებს,  
თავის სიბერესაც უდრტვინელად მოუვლის.

### **337. ელოლიავებიან**

დრო სულს ალაღებს, ხალისსა უბრუნებს ყველას,  
დრო მარად გარბის შეუცვლელ-მოუბრუნებლად,  
დროს არ უხირდებიან, მას ეფერებიან,  
და მარად იმედით ელოლიავებიან.

### 338. მოფერება რომ სურს

არის რალაცა ის, რასაც ვერ სწვდება გონი,  
არის რალაცა ის, რასაც ვერ ხედავს აღზრდა,  
არის რალაცა ის, სულის გათბობა რომ სურს,  
მაგრამ ხომ არის რალაც, მოფერება რომ სურს?

### 339. მითია

თავისუფლებას, თანასწორობას, ღირსებას  
ამკვიდრებს ნიჭი, დრო, – თავად ადამიანი,  
იმ შემთხვევაში, თუ ყოფის მადლი განვალებს  
და მარტოოდენ სიტყვის მასალად არ ვიყოთ.

### 340. შეუცვლელი

ნდობა, რომელსაც ჩვენ ვიმსახურებთ, ნიჭია,  
პოეტები ძალით არა, ნიჭით ხდებიან,  
თუ დასაქმებას მოითხოვ, ესეც ნიჭია,  
სიკეთის ქმნაც შეუცვლელია და ხიბლია.

### 341. ჯელოზა

ყმანვილობას რა სჯობს – გაუფურჩინავს, გაურყვნელს,  
ჯელოზას რა სჯობს – გაურანდავს, გაუთლელს,  
შუა ასაკსაც რა სჯობს – მიზნიანს, შემომქმედს,  
სიბერესაც რა სჯობს – ვალმოხდილს და უშფოთველს.

### **342. ეს იქნება სვალ**

უგნურება თუ შემოგხვდათ, ნუ იდარდებთ, რა, ბედი ჩვენი საკრეფია, ჩვენთან იყოს, რა, ხელი რომ არ დაგვიქნია, არ ვიდარდოთ, რა, ნუ იდარდებ, გენაცვალე, ეს იქნება სვალ.

### **343. ცოდვები**

ცოდვებიც ტრაბახისთვისაა განკუთვნილი, რასაც კეთილშობილების შეგნებით ვფარავთ, პირველი ტირაჟირებით თუ თავს ინონებს, მეორე თავშეკავებულია და მალავს.

### **344. რწმენის ჩავაბრება**

ადამი სისხლის და ხორცის დასაკუთრებას რწმენით ახერხებს – სულიერების ჩუქებით, მაგრამ ცხოვრებას როსლა და როდის ვენევით, თუ რწმენას განგებას ჩავაბარებთ შეგნებით.

### **345. არ ცდილობს**

ის ადამიანი გვიყვარს, პატივს მივაგებთ, ვინც ჭკუის სანაცვლოდ გამორჩენას არ ცდილობს, ჩვენს შესაძლებლობებს ის რომ პატივს მიაგებს, სხვისი არ შურს და თავის მესათვის არ ცდილობს.

### 346. გვიან არასდროს არ არის

სიყვარული გვიან არასოდეს არ არის,  
რას მიქვია დროს გაყვანა, – დაგვიანება,  
სიყვარული არვისი ვალი-ვახში არ არის,  
თუ ის საჩუქარია და არის ღვთის ნება.

### 347. ოცნებები მიფრინავენ, მიფრინავენ სად?

ოცნებები მიფრინავენ, მიფრინავენ სად?  
ამაშია მისი ფასი, რომ არ ვიცით, სად.  
ოცნებებსაც უნდა ვკითხოთ და დავუთმოთ გზა:  
სად ვიპოვოთ სხვა სიკეთე, ვინ დაგვმოძღვრავს, სად?

### 348. ათი მცნება პროზად

არ მოკლა! – სიზმარში ვინმე რომ შემომაკვდეს?  
არ დაამცირო! – რა ვუყო ჩემს მეს ჯიუტსა?  
არ იზარმაცო! – მეც ხომ ადამიანი ვარ!  
არ იყბედო! – რალაცით ხომ უნდა გავერთო?  
არ ივიშვიშო! – კუდის ამწევიც ხომ გვინდა?  
არ იმრუშო! – ვნების მოჭარბებას რა ვუყოთ?  
არ იჩხუბო! – უჭკუო ძალის მოთოკვა ჩირს!  
არ განსაჯო! – ჭკუას სათოხარი ხომ უნდა?  
არ იბილწისტყვაო! – თავი არ მოვიწონოთ?  
არ იეჭვიანო! – რქენის სურვილს რა ვუყოთ?

## XIV. თოთხეტიმარცვლიანი ლექსები

### 349. ადამის გორგალი

მე ადამიანს დავარქმევდი აბსურდის გორგალს,  
ხან უსაქმოდ მშვიდსა, ხან ალგზნებულს, უაზროდ მბორგალს,  
ხან მოალერსეს, სიყვარულით, სიკეთით მზირალს,  
ხან ავისმოქმედს, უმონყალოს, ულმობელ ტირანს.

ტირანი

ხან შემქმნელს ახლის, არნახულის, უცხო შედევერის,  
ხან მონმენი ვართ სიახლის და სიკეთის მდევერის...  
ხან გვერდში მდგომი არა მარტო მოყვრის, მოძმესი,  
ხანაც მოსისხლე მტერი წინსვლის, აზრის, პროგრესის.

შედევერი

სურვილისა და რესურსების ანტაგონიზმი,  
ადამის მოდგმას იმთავითვე ლანდივით დასდევს,  
ხან პლურალიზმი, ხან ქაოსი, ხანაც მონიზმი,<sup>23</sup>  
ცნობიერებას უმონყალოდ არღვევს და ანგრევს.

ანტაგონიზმი

უმეტესობას ინტელექტის აქვს დეფიციტი,  
რის დაფარვასაც მუდამ ცდილობს ფუჭი ლაქლაქით,  
მის ფანტაზიას მხარზე უზის სამოთხის ჩიტი  
და ეჩვენება ზღაპრულ რაშად მრუდე ჯაგლაგი.

ჯაგლაგი

ადამის ქცევას ნეიტრონთა ბაზარი განსჯის,  
რასაც ადამი პროტონების მუშტით შეხვდება.  
მანამ აწვალებს შინაგანი ფსიქოტრენინგი,  
სანამ იდუმალს ბნელი ხუფი არ აეხდება.

ფსიქოტრენინგი

23 მონიზმი – ფილოსოფიური მოძღვრება, სამყაროს საფუძველიაო ან სული, ან მატერია.

ძნელია მიხვდე, რად ბუზღუნებს, მიეთმოეთობს,  
დავეძებ ლაკმუსს, ხვაშიადის გასამჟღავნებლად,  
„ნაგლი“ ადამი კიდეც მწერლობს, კიდეც პოეტობს,  
მიემართება საუკუნოდ დასავანებლად.

„ნაგლი“

ადამიანო, გაიხადე წესად, კანონად,  
სძლიე სიხარბესა და უგვანებას შენსას,  
გაითავისე სიყვარული, შრომა და დაღლა,  
დადექ კუჭზე და ინსტიქტზე მალლა და მალლა!

მალლა და მალლა

ადამის გაუმაძღრობას რა შეედრება, რა,  
ან ჯანმრთელობის მორყევას და დავადება სხვას,  
ადამის ცნობიერება რას შევუდაროთ, რას,  
ალბათ ჭორების ქექვას და სარგებლის ნახვის ცდას.

ცდა

ადამიანი კუდში მისდევს დროის დინებას,  
სიცოცხლის არსზე საფიქრებლად ვისა სცალია,  
ისე გაირბენს, მთავარიც არ ეცოდინება,  
სხვა დანარჩენიც თითქოს მისი ტყუპისცალია.

ტყუპისცალი

ყანნით და მწვადით გულში წყენით, დაუნანებლად,  
ღმერთს ამუნათებს; ვინ გთხოვაო ჩემი გაჩენა?  
თუ გამაჩინე, მომაღბინე, უცხოდ მარებლად,  
სხვად რად მაყოვნებთ ამა სოფლად, ცოცხლად დარჩენას?

მომაღბინე

ეს ასე იყო, ასე არის, ასე იქნება,  
რაკი უფალმა სხვანაირად არ მოინება,  
რადგან ცხოვრება თავისას ითხოვს, თავისას იღვწის,  
და მარად განგებაც, მხარს უჭერს ამ წამონყებას.

მარად



### 350. „ტოკატა“

მომისმენია: ბუნებასთან კაცის შეჯიბრი  
ხშირად მთავრდება ადამის ძის უდავო მარცხით,  
განა ვინ შექმნა ცხენის ტორის მსგავსი მშვენიება,  
ან მზის ამოსვლის სილამაზეს რა შეედრება?  
თუმცა ამბობენ, რომ მუსიკით „უჯოკრავს“ კაცი,  
საკმარისია გავიხსენოთ ბახი, მოცარტი,  
ბეთხოვენი, ვაგნერი, ფალიაშვილი.  
სანთლითაც ძებნო, სად მიაგნებ ჰანგებს ღვთაებრივს?  
„ტოკატას“ ბახის, ექსტაზს მეცხრე სიმფონიისას?  
თუმცა გეტყვიან, რომ სამყარო მათზე და მათით  
უკრავს და თავად გახლავს ნაღდი კომპოზიტორი!  
თვით ინსტრუმენტი, რაც გამოსცემს ჯადოსნურ ჰანგებს,  
მიგნების მადლი, ჩვენს გულებსაც იოლად აგნებს!  
ნუ იყოყოჩებ შენი ნიჭით, შენი ტალანტით,  
რაიც კულტურის და პროგრესის სვეტ-ბოძებია,  
ეგ ინტელექტი, სამუდამო სარგებლობაში,  
გახსოვდეს: ღვთისგან ტკბილ-ალალად ნაბოძებია!

### 351. ეჭვის ეკალი

რაც უნდა ხიბლით და ტალანტით იყოს შემკული,  
ყველას სჭირდება ნაქეზება და მოფერება,  
ეჭვის ეკალი გენიისაც თანამდევია,  
მხარდაუჭრელად ხინჯი ახლავს ბედნიერების.

### 352. სარეველა

სარეველა იქ დაგხვდება, სადაც სულ არ ელი,  
სიბრძნის ტბაში თავს ამოჰყოფს ვინმე უდღეური,  
უსაქმური შრომის რითმებს ტახტზე გორვით ერთვის,  
ზოგი ქვეყნის მემკვიდრეა, ზოგიც მისი მდგმური!

### 353. ტახტზე ზის რწმენა

ჩვენი გონება, სხეული, სისიხლი და ხორცი,  
ფუნდამენტური ბაზა გახლავთ სულიერების,  
ხოლო ჩვენს სულში დიქტატია განვითარების –  
ტახტზე ზის რწმენა – საწინდარი ბედნიერების.

### 354. სიკეთის თესლი

სიკეთის თესლი არ გახმება, ალბათ, არასდროს,  
კვლავ იფეჯილებს მეგობრობა, ძმობა, მძახლობა,  
მამ, რაა იგი, ურომლისოდაც გვიჭირს ცხოვრება?  
ესაა შური, ცბიერება და ნაყოფანება.<sup>24</sup>

### 355. ყასიდად შემცოლდი

საქართველოს ბევრი უგნური მაქებარი ჰყავს,  
ერს კი ბევრი უაზრო და უნიათო მეხოტბე,  
ხალხს ბევრი ჭკუანაღრძობი წინამძღვარი ჰყავს,  
მასას ბევრი უგვანო და ყასიდად შემცოლდე.

---

24 ნაყოფანება – დიდად გაძლომა, დანაყრება.

### 356. გულგრილობის ტყვია

არის ტყვია გულგრილობის, არის ტყვია ენის,  
ვის აირჩევს საჭაშნიკოდ, თუ ის შენთვის მღერის,  
არის ტყვია სიმართლისთვის, არის ტყვია შტერი,  
გულგრილობას, სამნუხაროდ, არც აქა ჰყავს მტერი!

### 357. მის ეჭიღავება

სალი აზრი უპირობოდ თავის თავზე ფიქრობს,  
მისი აზრით, ისიც ერის საქმეზე ჩალიჩობს,  
ყველა აზრი უმნიფარი ერთხანს ყველას უპნკენს,  
რადგან მარად „კანონიერ“ მოხვეჭაზე ფიქრობს.

### 358. სიღიადე

სიმდიდრე და სიღიადე იყიდება ერთად,  
გააჩნია გამყიდველის და მყიდველის ნებას,  
სიმდიდრეს და სიღიადეს მზე დაჰნათის მკვეთრად,  
და სიმდიდრე დასტურ არის, სიღიადის ცნება.

### 359. არ გვემეტება

ცრემლი არ გვემეტება, სული არ გვემეტება,  
გონი არ გვემეტება, გული არ გვემეტება,  
გრძნობა არ გვემეტება, ვნება არ გვემეტება,  
მაშინ სხვა რა გვემეტება, რაც არ გვემეტება?!

### **360. სერიალუბი**

ქალთა კონკურენციას თურმე არ აქვს საზღვარი, ის ყოფის წესს ირჩევს და არა მამაკაცს თავით, ქალს თავის გამოდების აქვს საშური უნარი, დროს ყივილით, ოცნებით – თავის სერიალებით.

### **361. ზრდილობა და მოკრძალება**

ზრდილობა და მოკრძალება სასწაულებს ახდენს, თუ მას ჩვენთან ყოფნა უნდა, არა – უცხო მხარეს, ზრდილობა და მოკრძალება ბედის სხივებს აფრქვევს, თუ მათ უშნოდ არ შევხედავთ, – გონს არ გავუმნარებთ.

### **362. ნარდად და ნალდად**

სიყვარულის მოპოვებას ყველა ცდილობს ნარდად, სჭირდება თუ არ სჭირდება, არ დაგიდევთ ნალდად. სიყვარულის მოპოვებას ნიჭი უნდა ნარდად, სულიერი სიყვარული ყველას სჯობნის ნალდად. სიყვარული სენიაო, ვითავისებთ ნარდად, ჩვენი ნატვრის ტიპიაო, დაგვიჯერებთ ნალდად? სიყვარული თუკი გვათრობს, რა სჯობია ნარდად, ჩვენი ნატვრის მეტრიაო, დაგვიჯერებთ ნალდად?

### 363. უარის თქმა

ზოგს სიყვარული ლოგიკური განსჯით სჭირდება,  
შეჩვევ-შეცნობით და მოვალეობის შეგნებით,  
ზოგისთვის სიყვარული თავის დაკვრით მთავრდება,  
შეჩვევის სურვილზე უარის მომიზეზებით.

### 364. იღვწია

ნიჭი თავის დროზე ერთობ ადრე იბადება,  
ხშირად მისი გაგება ეძნელებათ და არ სურთ,  
ამ დროს ყველა გენია კუთვნილ ადგილს იკავებს,  
თაობებს მათი აზრი მოსწონთ, ოღონდ არ ახსოვთ.

### 365. ღირსებაა როგორი

ქალისთვის დაორსულება სასჯელია განა?  
თუკი შვილი გაზარდა, ღირსებაა როგორი,  
შვილის აღზრდა, დარიგება სასჯელია განა?  
გარჯას თუ შედეგი აქვს, ღირსებაა როგორი...

### 366. პრესტიჟი

პრობლემა დგება, ზოგჯერ რით ამოვივსოთ კუჭი,  
რომელ პრესტიჟულ კლინიკაში დავიკლოთ წონა,  
ზოგჯერ პრობლემაა პრესტიჟული დასვენების,  
ან სესხს რა მოვუხერხოთ, სატრაბახოდ აღებულს...

### **367. გენიოსთა სვედრი**

მთელ თაობათა წარმოჩენა, გაამაყება,  
ერთეულ შეუმჩნეველ გენიოსთა ხვედრია,  
განსაკუთრებით, თუ ცხოვრება არ დააცადეს  
და უდროოდ დაგვემშვიდობნენ, დაგვიკრეს თავი...

### **368. ცოდვა არ უნდა ჩავიდინო**

იმაზედ მეტად ცოდვა არ უნდა ჩავიდინოთ,  
რაც განგების ნებით ლიმიტით გვაქვს ნაბოძები,  
მით უმეტეს, თუ წყალობა ბედმა აქ გარგუნა  
ნებიერი ცხოვრებისა და თავისუფლების.

### **369. ღოგმაგი**

ჭირიც დაჭაშნიკებას და დაჩმორებას ითხოვს,  
ყველა თავის შეფასებას და ღირსებას ითხოვს,  
აქა მორალის დოგმებით ვერას იზამთ თითქოს,  
თუ სიყვარულის ლიმიტებს სალად არ მოითხოვ.

### **370. ფურორი**

არ დაიჯერო, რომ ცხოვრების შენ ხარ ავტორი,  
არ დაივიწყო ულმობელი დროის ფაქტორი,  
დროს ძალუძს თავად მოახდინოს ნაღდი ფურორი,  
დრო ადვოკატიც თვითონაა და პროკურორიც.

ის მეუფეა ცუნამისა, სეტყვის და ქარის,  
მაგრამ უებრო მკურნალია და დასტაქარი,  
სწორედ ამიტომ დროს დროულად აუბი მხარი,  
სხვანაირად ხომ ვერ იხარებს ადამის გვარი.

### **371. რაღა საჭიროა**

უიმედო დრო და ყოფა გამოგვადგება რაში?  
ან უიმედო ტრფობა გამოგვადგება რაში?  
საჭიროა მცდელობა მართლის მიღწევის მიზნით,  
თუ სამართალს არ ვეძებთ ყურის მოფხანის მიზნით.

### **372. ქოთქოთი**

თუ ყმანვილისთვის სიყვარული არ გვემეტება,  
მის რაობის სიჯიუტეს ვერ ჩავსწვდებით მარად,  
ჩვენს ყრმობისას სული თავნება თუ არ ყოფილა,  
ის თაობა ქოთქოთებს და ვერ იქცევა კაცად.

### **373. ფეხებზე ჰკიდია**

ეს ცხოვრება ცირკია და ფეხებზედ გვკიდია,  
დღეს რას მოვიმოქმედებთ, სულ ფეხებზე გვკიდია,  
ჩვენი უცნაურობა, სხვისთვის აგვიკიდია,  
უგნურების მიზეზი სულ ფეხებზედ გვკიდია.

### 374. ქალაშავა

ქალაშავა,<sup>25</sup> ქალაჭუა,<sup>26</sup> დოს მჭამელო ქალო,  
გული უნდა მოვიფხანო, სიყვარული გკადრო,  
თმახუჭუჭა ქალბატონო, საყვარელო ქალო,  
შეგიყვარებ, შემიყვარე, გული არ შემიჭამო.

---

25 ქალაშავა – შავთვალწარბა ქალი, შავგვრემანი.

26 ქალაჭუა – ქალი.



## XV. თსუთმეტიმარცვლიანი ლექსები

### 375. სატანის ვირი

ვინ გაშიფრავს ადამის ძეს, – სულში ვის ჩაახედებს?  
იქნებ, მისი ხვაშიადი წაიკითხო სახეზე,  
შეიცანი თავი შენი! – ბრძანა ბრძენმა სოკრატემ,  
არ გამოდის! მაგ ლოზუნგით თავი ნუ მოგვაბეზრე!  
რას მიელტვის კაცთა მოდგმა, ჯერაც ვერ გაგვიგია,  
რას გაურბის ადამის ძე, ნეტა, ვინ გამოიცნობს?  
ფეხის ყოველ გადადგმაზე რალაც მახე გვიგია,  
აერიდე სატანის ვირს ადრე თუ გაგიცნია!

### 376. თვალის შემოფთება

თვალეების შემოფთება, ჩაყუყუნება, ჩაკვრა –  
მეტი რა უნდა მამაკაცს, თუ ის ვნებისთვის გაჩნდა,  
წამწამზე ცრემლის განაბვით გულის გაღებას ცდილობს,  
მამრი უკვე დანებდა და მეობაც აღარ ურჩობს.

### 377. მოქალაქე

რომელიმე მოქალაქეს, თუნდაც, გნებავთ, პოლიტიკოსს,  
გინდ პატრიოტს დაუძახებ, გინდა – კოსმოპოლიტიკოსს,  
მთავარია, მოყვასისთვის არ მოჰქონდეს ზიანი,  
დე, ნურც ერთი ნუ იქნება, იყოს ადამიანი!  
კაცი მაშინ დაფასდება, თუ ანგრევს და აშენებს,  
ნაღდი ნიჭი, სილამაზე და ზნეობა ამშვენებს,  
ორთავ ფეხით მინაზე დგას, მყარად გონის მოხმობით,  
არ იზიდავს ტრიუმფი და ცხოვრება საპარადო.

### 378. აზროვნება

აზროვნება ჩვენს სხეულში, ადრენალინს აჭენებს,  
ყველა მისი მონაა და ზურგს ღირსებით გვიმშვენებს,  
აზროვნება სულის ნაწილს აღმა-დაღმა ატარებს,  
ყველა მასზედ ოცნებობს და თავს ღირსებით ატარებს.  
აზროვნება ნაწილია ჩვენი მესი ტარების,  
თავს კარგად ვგრძნობთ, ვაზროვნებთო თავის ქაკი-ჭუკებით,  
აზროვნებას ყველა ლამობს თავის გონის ნამეტით,  
აზროვნება გვაცისკროვნებს თავის თანაზრახვებით.

### 379. თავი ღვიფვილოთ

სიტყვა შთაგონების ღაღარში უნდა ვატრიალოთ,  
შთაგონება ავხორცობას არ უნდა ვაზიაროთ,  
ჭკუა შთაგონების ძალით უნდა ვიხმოთ, გავხარჯოთ,  
მასას კი შთაგონების მაღლით უნდა „ველადაოთ“.  
მჭევრმეტყველი სიტყვა მედიდურიც არის და მკვახეც,  
სიტყვა შერკინებისთვის თავად იმზადებს იარებს,  
ამიტომაც სიტყვა თავის მეს დაფასებას ითხოვს,  
მივაგოთ სიტყვას თავისი და თავიც დავიმშვიდოთ!

### 380. სულის მახე

ბილწსიტყვაობა გართობის ის უხეში სახეა,  
„იმტაზე“ რომ გვაყენებს და ჩვენი ჭკუის მახეა,  
უმეცართ ბილწსიტყვაობა სულის მკურნალი ჰგონიათ,  
ზოგჯერ საჭიროც არის და ტუტუცისთვის ახია!

### **381. რა მოსატანია**

რწმენა, ცოდნა და ფული საშიში იარაღია,  
ტყვია-წამალი, რაკეტა მასთან რა მოსატანია,  
თუ აწინდელ იარაღს მობილ-კავშირით დავმოდღვრავთ,  
ცუნამ-ქარბუქი, მიწისძვრა მასთან არარაა და ჩმახვია!

### **382. თავს გვანონებს ხალისით**

ყოველივე აკრძალული სინჯვადია ხალხისთვის,  
დღეს რომ სიტყვა გილიტინებს, განსჯადია ხვალისთვის,  
ყოველივე აკრძალული თავსა ირთობს თავისთვის,  
შენ აკრძალული უძახე, თავს გვანონებს ხალისით.

### **383. ამქვეყნად არაფერია**

მომავალი ჩემია, მეორედ მოსვლა თქვენია,  
დროის ჩუმი თანხმობა მიწინასწარმეტყველია,  
ეს ქვეყანა ჩემია, ყოფნა-ცხოვრება თქვენია,  
საჭირო, განსასჯელი ამქვეყნად ყველაფერია.

### **384. მონყალებს იარა**

ღმერთსაც გვინდა ჩავეხუტოთ ჩვენ-ჩვენ თავფეხიანად,  
დავიტოვოთ მისი მცნება მონყალების ტიარად,  
გვინდა ღმერთსაც მოვეფეროთ ჩვენი სულის პიარით,  
სულს მივხედოთ, ხორცი ვაწრთოთ გონის გრიალ-ტრიალით!

### 385. გამართლება

სხვათა ჯინაზე გათხოვება ან ამართლებს ან – არა,  
სხვათა ჭკუით მარებლობა ან ამართლებს ან – არა,  
შენის მცდელობით გათხოვებაც ან ამართლებს ან – არა,  
სიყვარულით გათხოვებაც ან ამართლებს ან არა,  
ჩემი დასკვნა: ბოლოს რჩება ქალი თავის ამარა!

### 386. ვნებას საღ ბაეჟცევი

მე პოეტი არ ვარ, მაგრამ პოეზიას ხომ გავუგებ,  
მე გენიოსი არა ვარ, მაგრამ ნიჭსა გავუგებ,  
მე ვუნდერკინდი არა ვარ, თუმც ტალანტი მანუხებს,  
თუმც ხვადი არა ვარ, მაგრამ ვნების ხუნდებს ხომ ვუგებ?

### 387. ჟანტაზიის გვირგვინი

ჟანტაზიის გვირგვინი სიყვარულია შედეგით,  
სიყვარული ოცნებაა, გამრავლება – შედეგვრით,  
იმედის იმედს მარად ბედი იძლევა შედეგით,  
ბედმა თუ გაგვიღიმა, ნააზრევია შედეგვრი.

### 388. დედას გვიხსენებენ

ქვეყანა არ იქცევა, როცა დედას გვაგინებენ,  
არც მაშინ იქცევა, როცა მარად უნიათობენ,  
სინათლეს, წყალს და მისდაგვართ თუ დროებით გვიწყვეტენ,  
უბრალოდ დაგვცინიან და „დედასაც გვიხსენებენ“.

### **389. ჭკუის მოლორება**

ჩვენი ყოფისა მისანი ყოველთვის იყო ბედი,  
შემთხვევაც თუ არ აყოვნებს, მაშ გვემართება ხელი,  
თუმცა ხანდახან შევცოდავთ, როცა გვიმუხბთლებს ბედი,  
თავს დამნაშავედ არა ვთვლით, გონს თუ აკლდება ხელი.

### **390. რისთვის და ვისთვის**

ვნება თავის გზას დაეძებს, გული თავისთვის იღწვის,  
ფეხი თავის გზას ნახულობს, თავის ბილიკზე მიდის,  
თავი თავისთვის ჩალიჩობს, სული ვნებისთვის იწვის,  
ერთი რამ ვერა გავიგე, ვისი იმედით, რისთვის?

### **391. საკუთარ თავზედ ჯობნა**

საკუთარ თავზე ჯობნა ბედნიერებაა დიდი,  
საკუთარ აზრის განსჯა გონიერებაა დიდი,  
პროგრესის გათავისებაც ხომ მიღწევაა დიდი,  
დროს და სიკეთის შერწყმა ჩვენი მეობაა დიდი.

### **392. გონის ჭყლეტა**

ნარმოუდგენელია, მაგრამ გაკეთებულია,  
ლოგიკურია, თუმცა მაინც შეუძლებელია,  
საიდუმლოა, მაგრამ ცნობამ გაჟონა, იციან,  
ეს არის ჩვენი გონის ჭყლეტის და ღირსების ფასი...

### 393. კაიფი

ქათინაური ქალისთვის უცვლელი კაიფია,  
ხოლო მამრისთვის შეუცვლელია ლამაზი ქალი,  
ამ ნარკომანებთან შეხვედრას, მოფერებას რა სჯობს,  
ნუთუ უგვანო ანაშა, პლანი და ნარკოტიკი?

### 394. სული და ხორცი

სულის სალაროს გაღებას ყველა ჩვენგანი ცდილობს,  
ხორცის ნაწილის გაცემას ყველა ჩვენგანი რიდობს,  
სული ხორცს უნდა აკვიდოთ, რომ მოფუაროთ ურთიერთს,  
სულის და ხორცის განწვალვა ხელენიფება მხოლოდ ღმერთს.

### 395. ჟუჟავს

სუსტზე ძლიერი ბატონობს – ერთის შეხედვით ასე სჩანს,  
სისუსტის შესაძლებლობებს ძლიერი ჯერაც ვერ ხედავს,  
სუსტია ის ბაქტერია, ადამის მოდგმას რომ „ჟუჟავს“,  
სუსტსაც დაყვავება უნდა, ვინ იცის, როდის გაგვჟუჟავს.

### 396. დიდი

საკუთარ თავს თუ დანატრი, სიამაყეა დიდი,  
გოროზად თავის ჩვენება პრესტიჟი არაა დიდი,  
არ ხდება თავის გაცნობა ჩამოფარებული რიდით,  
თავი თუ არ დაიფასე, ვინ დაგაფასებს რიდით?!

რიდი

ტვინის ნაოჭებთან შერწყმა სილამაზეა დიდი,  
თუ ეს მომხიბვლელია, თავის მოწონება იცის,  
ამ სილამაზის შეცნობას ჭკუა სჭირდება დიდი,  
მაგრამ სადღაა ეს ჭკუა, დეფიციტია დიდი.

დეფიციტი

თუ ჩვენ უკან აღარა დგას ის უგნურება სხვისი,  
ამ დროს ემოციების მოთოკვაც ნიჭია დიდი.  
თუ მის უკან გონიც დგას, ხელგაშლილობაა რიხით,  
ემოციებთან ჭიდილი საქმეა მეტად დიდი.

ემოციები

იყო ადამიანი, – უკვე კაცობაა დიდი,  
იყო ჭკვიანი ადამი – მონოდებაა დიდი,  
იყო სიახლის შემომტანი – მიღწევაა დიდი,  
იღვანო მოყვასისათვის – სიხარულია დიდი.

მოყვასი

### **397. კანონის ქალა**

აბსურდულია ტყუილი, უნიათოა ბრალი,  
მაგრამ ვირეშმაკ ქკუასა, ეს ვარიანტი მოსწონს,  
რადგან მისთვის შედეგი, მავნებლობითაა მთავარი  
არა სამართლიანობის და სიყვარულის ძალით.

### **398. მტრების ჯინაზე**

ცხოვრებას თუ ვერ ვუგებთ, იმ ცხოვრებას აზრი არ აქვს,  
საქმე თუ არ გამოგვივა, სულზე დიდ დაღს დაგვასვამს,  
ამ ცხოვრებას ვეჭუკჭუკოთ იმ ცხოვრების მიჯნაზე  
და ეს უნდა გავაკეთოთ მტერ-დუშმანის ჯინაზე.

### **399. ჩვენი ოცნების ბრალია**

ფიქრის დამუღამება ამ ჩვენი ყოფის ვალია,  
ფიქრთა სიღრმით განხილვა ამ ჩვენი ქკუის ვალია,  
ფიქრების გონით ხმოზა ამ ჩვენ ოცნების ბრალია,  
ფიქრთა დაჭაშნიკებაც დროსთანა ზავის ბრალია.



#### 400. ჰოპური სიყვარულზე

სიყვარულით ღადაობა ნუ მოგვიშალოს ღმერთმა, თვალების შემონათება არ დაგვამადლოს ბედმა, სიყვარულის მოხმობისთვის ნუ შევანუხებთ ღმერთსა, თუ სიყვარულსა შევიგრძნობთ, ღმერთია ჩვენთან ერთად.

ღადაობა

სიყვარულის თეორია ალგორითმებს არ ცნობს, სიყვარული პრაქტიკულად განტოლებებსაც არ ცნობს, სიყვარული პარამეტრებს მისი გაგებით არ ცნობს, სიყვარული ტოლობასაც არ ცნობს, თუ მას არ აწყობს.

არ ცნობს

სიყვარულით გახელებას ტრფობა ახლავს ჯირითით, გავნოთ და გამოვნოთ, სიტყვებს გააქვთ ჯირითი, სიყვარულის დამშვენება გრძნობებსა სჯის ჯირითით, გავნოთ და გამოვნოთ, ჩვენს ბედსაც აქვს ჯირითი.

ჯირითი

შეყვარებულ ქალს სხივი დასცქერის განგების ხედვით, სიყვარულის აღქმას მხოლოდ გენთან შეხება შველის, სიყვარულის აღმასვლას განგების სურვილიც შველის, თუ სიყვარული გაჯიქდა, მას არაფერი შველის. P.S. არსი აქვს მუდამ ჯიქის, სახე აქვს მარად მას შველის.

შველის

#### 401. სულის მონახვა ძნელია

ტანის ტემპერატურას სულისას ვერ შევადარებთ, ერთი თუ საცნობია, მეორე არის უცნობი, სულის შესაძლებლობას ვერ შევადარებთ ხორცისას, სხეულს თუ თვალი უყურებს, სულის ნახვაა ძნელი.

#### **402. უმადური დარგი**

ჭკუის სწავლება სხვისი არის უმადური დარგი,  
ჭკუის სხვისთვისა მოხმობაც, ესეც არ არის კარგი,  
ჭკუასაც უნდა დანმენდა, გონს რომ ადინოს ძმარი,  
ჭკუის ხმობა უაზრობაა – მსმენელია ავი.

#### **403. ავი ჭალა**

წამის წამზე შემატება აღარაფერს იძლევა,  
თუ გონებამ არ ივარგა და არ გაიჯეჯილა,  
წუთის წუთზე დამატებაც შედეგს აღარ იძლევა,  
თუ გონების ავი ჭალა ჭკუით არ მოიხვნება.

#### **404. მარადიული ტურისტები**

რადგან ამქვეყნის მარადიული ტურისტები ვართ,  
ამ სამყაროს გონით უნდა გავეცნოთ და შევეხოთ,  
ნაჯაფ-ნაღვანი თაობებს უნდა გადავულოცოთ  
და შთამომავალთა წინაშე ვალი მოვიხადოთ.

## XVI. თაქსმატმარცვლიანი ლექსები

### 405. ინსტინქტი

ინსტინქტები საერთო აქვთ ცხოველსა და ადამიანს,  
მაგრამ ის, რაც გამოარჩევს ადამის ძეს ცხოველისგან,  
არის, თურმე, ინტელექტი, აპარატი სააზროვნო,  
რასაც კარგად ვერ იყენებს ბევრი, რადგან შორს დგას მისგან.  
ო, რამდენი აუტისტი, ლაქლაქა და დილეტანტი  
ცდილობს შექმნას აურა და სიბრძნის ყალბი შარავანდი,  
თანაც განზე იმზირება, ყველა უცხოს უკმევს გუნდრუკს,  
საკუთარი ავინყდება! რას ვღებულობთ ბოლოს? – „მეტრუკს!“

### 406. იაღლიში

ადამის ძე იმთავითვე არ ისვენებს, იბრძვის, ომობს,  
თუ სისხლისღვრა მოითავა, წალღუნული წელში შრომობს,  
ხშირად მოსდის იაღლიში – ნეტა ვინ გვყავს უშეცდომო!  
თუმცა არკი აღიარებს, მელაკუდა მაინც ლომობს.  
ვთქვათ არ შეცდი, არა უშავს, მთავარია დაიხსომო,  
მსგავსი მარცხის დუბლირება არასოდეს მოინდომო.

### 407. მეტსახელი

ის სახელი და ის გვარი, რაც წერია „მეტრიკაში“,  
შეიძლება ისე მოხდეს, არც გიხსენონ ცხოვრებაში...  
თუ ივარგე, დაიხარჯე, არ მოგწყინდა საქმე ქველი,  
მაშინ გერგოს და მოგერგოს შერქმეული მეტსახელი,  
ხალხი ამაგს დაგიფასებს – ასე იყო მუდამ დღემდე  
მეტსახელი შეგინახავს, რომ არასდროს გადაშენდე.

#### 408. ალმოჩენა

ღირსი კაცის ალმოჩენა საქმისათვის პირველია,  
მისი აზრის გაშუქება, სჯობსო, რასაკვირველია,  
მისი სიბრძნით გაჯერება გახლავთ მერე უმთავრესი,  
თუ სინდისიც გაუღვიძე, კაცობაა უნაღდესი!

#### 409. „ასე, ჩემო ბატონო“

კი, საკამათო როდია, ახლა ვთანხმდებით რაზედაც:  
სამშობლო, მართლაც, მკითხველო, ერთია ქვეყანაზედა!  
ჰო, მაგრამ, თუკი მამული სხვა ქვეყანაზე გაცვალი,  
დღეს იგი ისე გვექცევა, ვით ავი დედინაცვალი.  
თუ არ გასვა და გაჭამა, არ ჩაგაცვა და დაგხურა,  
ფეხზე ძლივს დგახარ, დადიხარ იმ შავ სენშეყრილი, გლახურად,  
მოძებნი „უცხო“ ქვეყანას, რომელიც თბილად გპატრონობს,  
ვერ გაგამტყუნებ ვერასგზით! ასეა, ჩემო ბატონო!

#### 410. ძველს ნუ დაივიწყებ!

„ნუ დაკარგავ ძველსა გზასა!“ – გიანდერძა წინაპარმა,  
ნუ დაჰკიდებ რკინის კარსა, თუ ივარგა მუხის კარმა,  
თავს ნუ უკრავ ყოველ ახალს, შეიძლება ძველი სჯობდეს...  
ეგ ახალი მოჯომარდე ისე ვეღარ ჯომარდობდეს,  
ამიტომაც გირჩევ: პატივს სანამ ახალს მიაგებდე,  
მანამ ძველს ნუ დაივიწყებ, რაც სანდოა, კვლავაც ენდე!

#### 411. „მედია“

რელიგია და „მედია“ სულიერებას განაგებს,  
ჩვენი ბეჩავი სხეული ხელისუფლების ხელშია,  
და მაინც კაცის ოცნება ბროლის სასახლეს ააგებს:  
ჰგონია, ნათელს ენია, სინამდვილეში ბნელშია!

#### 412. მონაჭორი

ბრძენი ბრძანებს: სხვადასხვაა ერი, ხალხი, ბრბო და მასა,  
მასას ხშირად ეზიზღება ის, რაც ერმა დააფასა,  
მასას ძალუძს გააკერპონ ნაძირალა, პოლიტხასა,  
გვიან ხვდება, როცა შმორი ცხვირში ხვდება ერთი ასად!  
ბრბოს რა უნდა? არ იფიქროს, თავს დაისვას დიქტატორი,  
ოდა უძღვნას, თაყვანი სცეს, ქედზე იგრძნოს მძლავრი ტორი,  
რის მწერალი, ხელოვანი – მთავარია ხაზი სწორი,  
ეს ბრძენკაცის ნათქვამია, განა ქუჩის მონაჭორი!

#### 413. სიზარმაცე

ნეტავ რაა სიზარმაცის სახეობა უმაღლესი:  
არც სულ ჯდომა, ანდა წოლა, ან, თუ გნებავთ, დილის ძილი,  
იქნებ, სხვათა არმოსმენა და თავზე არლაპარაკი,  
არც რომ არ სურს ცხოვრებაში ჩადოს თუნდაც მცირე წვლილი.  
არა, ჩემო მეგობრებო, პიკი ნაღდი სიზარმაცის  
არის, როცა აზროვნებას არ აწუხებს, თურმე, კაცი.  
თუმცა ლალი ცხოვრება სურს თავის მსუყე დივიდენდით,  
არც პატივზე იტყვის უარს, იღიმება, როგორც დენდი,  
თუმც არასდროს არ უყნოსავს მოუსყიდველ პრესის დენთი,  
თანახმაა გახდეს თუნდაც ფლაცვე ქვეყნის პრეზიდენტი.

#### 414. საჭადრაკო

ბევრჯერ თქმულა: ეს ცხოვრება ჰგავს პარტიას, საჭადრაკოს,  
თუ თამაშობ ღირსეულად, ადამის ძევ, უნდა გაქო;  
სხვადასხვა რთულ სისტემაში თუკი შეგაქვს შენი ნვლილი,  
დააფასე დებიუტიც, ენდშპილიც და მიტელშპილიც.  
ყველა თამაშს, მეგობარო, აქვს სანყისი, მერმე – პიკი,  
გაიაზრე, ფიგურა ხარ თუ პაიკი უსახური,  
შეაფასე სათანადოდ შენი ძალა, შემართება,  
გაიმარჯვებ უსათუოდ, უფლის ნებაც თუ იქნება!

#### 415. მოწერება

რა არ ხიბლავს ადამის ძეს: აქ – სუფრა, იქ – ქალთა კრება  
ხანაც ჭირი წაენწვა – სხვანაირად არ იქნება!  
ისე ლხინს ვერ დააფასებ, თუ არ ნახე გაჭირვება,  
ხან ასეა: ჭირიც, – ლხინიც, ყოველივე ერთად ქრება,  
ამიტომაც ერთმანეთის გვმართებს მარად მოფერება.

#### 416. არ ვიკადროთ

საკადრებელ-უკადრებელს ჩვენ ვკადრულობთ მუქთად ყველა,  
ამისათვის საჭიროა თავის დროზე ჩვენი შველა,  
თუკი სწრაფად ვერ მოხერხდა, ვიჯახიროთ ნელა-ნელა,  
სანატრელი მიზნისაკენ დავირაზმით ერთად ყველამ!

#### 417. ცდუნება

ქალს სიყვარული აცდუნებს და არა ვნების სერობა,  
ქალს მამრის ხიბლი უნათებს და არა მისი მცდელობა,  
ქალს მოუნდება დედობა ოჯახის შექმნის ზეობით,  
ქალსაც ხომ აკვნის დარწვევა სურს, უფლისა შემწეობით.

#### 418. ფული და ადამი

ფულის მონობას ადამი თავად არ გადაეჩვენება,  
რადგანაც მისი გუნება ლაღობს და ვნებით ირჯება,  
სურვილებს ფულით ისრულებს, ნდობით ბაცილას, სწამლავს,  
მაგრამ არ იცის, უმაღლურს ბედი რომ ბოლოს დატანჯავს.

#### 419. მახათის გაყრა

ერთ ადგილს მახათის გაყრა მართლა ქართველთა ხვედრია,  
ხან ისეთ საქმეს გამოთხრის, აზრზეაო თქვა, ძნელია.  
ეტყობა, მახათის თამაში, ამა უგნურთ ხვედრია,  
მათ არ უშველის სიონი, ალავერდი და ბედია.

#### 420. დაძალვა

ნაძალადევსა სამოთხეს აღარა აქვს თავის ფასი,  
არც ძალისმიერ სიცოცხლეს არ უქნია თვისი თავი,  
ყოველსა ნაძალადევსა გაურბის ყველა ჩვენგანი,  
დაძალებულიც ბოლოს კი ხშირად სასურველი არის...

## **421. ქედმაღლობა**

ქედმაღლობას ვნება მოაქვს, სიჯიუტეს – ხასიათი, თავმდაბლობა აგვამაღლებს, თუ კი ვიცით ჩვენი ფასი. ქედმაღლობა წარმოგვაჩენს, თუ ჩვენი მე არ იციან, მთავარია, სად გიმართლებს და შედეგიც თუ მისია.

## **422. იუმორის ნასუფრალი**

გახუმრება, იუმორი სიბრძნისაა ერთი დარგი, მის მოთოკვას თვისებრივად უნდა ახლდეს გონი სალი, იუმორის ნასუფრალით ყოფას ცოდნა უნდა ლალი, თუ აზრია უკვდავების, ზეციური არის თალი.

## **423. მცდელობა მაინც შეგვრჩება**

დიპლომატის იარაღი ენაა თავის ყბედობით, გონისა ჩასაფრებით და დროულად დროის შერჩევით, დროის შესატყვის ანალიზს დიდი ქველობა სჭირდება, ყოველთვის თუ არ გიმართლებს, მცდელობა მაინც შეგვრჩება!

## **424. ხვედრის სჯერა**

თავს ან უნდა გაუჯავრდე, ან უნდა ნაუმლიქვენელო, რადგან გულრწველი, გულლია შენ არავისთან არა ხარ, მის განსჯას და განზრახვას ხასიათია რომ განაწყობს, ისიც პიროვნებაა და თავისა ბედსა დარაჯობს.



## 425. „კულბარული დემოკრატია“

დემოკრატიის მოსკორვას<sup>27</sup> დროსთან ჭიდილი სჭირდება, თავისუფლების შეცნობა ჭკუის ხახუნით მდიდრდება, დრო მიდი-მოდის ჩალიჩით, დემოკრატია მტკიცდება, თავისუფლების შერწყმასთან იგი ხომ მუდამ ბრწყინდება. ველური დემოკრატია თავისუფლებას მიერჩის, თავისუფლების ფეტიში ჭკუის მოხმობის ხვედრია, „ვითომდა დემოკრატია“ უკანონობის ჯერია, თავისუფლების მამალსა ჯერ ჩვენთვის არ უმღერია. „თავისუფლება ცინიზმით“ დემოკრატიის ჭირია, ვირეშმაკს თავისუფლება მუდამ ფეხებზე ჰკიდია, „დემოკრატიით ჩალიჩი“ კარიერისტთა „ჩიტია“, რა ვუყოთ დემოკრატიას, თუ მოჩვენებით „იღვნიან“?!

## 426. ნაკლი

საერთო ნაკლი ყველას გვაქვს გონიერების კარნახით, ნაკლის მოსპობა ძნელია ჭკუა-გონების განცხრომით, საერთო ნაკლი გვამშვიდებს, მასაც დღენი აქვს მზიანი, ნაკლის გაქრობას რა უნდა, თუ მოაქვს დიდი ზიანი. დამალულ ნაკლსა რალა სჯობს, აშკარა ნაკლთან საჩხუბრად, და, თუ ის გამომზეურდა, მათ ნაკლად ველარ აღვიქვამთ. – ასე ბჭობს პოლიტიკოსი, ვითომცდა ტვინით ქებული, „უნაკლოდ გონსა ვერ ზიდავს ადამი მისი სხეულით“.

---

<sup>27</sup> მოსკორვა – გათვითცნობიერება.

#### 427. „დროს არ დასჭირდა ის“

სიკეთის გაუფასურებას ადვილად ამბობს ყველა, დროს შეადარებს, მოიშველიებს მის ავ-კარგისა ცნებას, აღზრდის მოდელის მიცემას განგების ნება სჭირდება, აღზარდე ისეთი სიკეთე, რაც უკეთ დაღვინდება.

სიკეთე

ეს ყოფის პარამეტრები დროს აღარ ემორჩილება, ეს ძნელი მისახვედრია, სხვა დროის ყივილი აქვს დროს, საეჭვო ნააზრვეისთვის, სჯობს საცერი მოვთხოვოთ დროს, გაცრი, არაფერი დაგრჩება, უბრალოდ, ვერ ვუგებთ დროს.

დრო

უნამუსობის ბაირამს დრო თავის მხრიდან უყურებს, ყოფა თავისას აწვება, რადგან თავის დროს აქეზებს. დროის კულტურის მოხმობა აღზრდას და მათრახს მოითხოვს დრო ეგოისტებს ვერ იტანს – თავისი ჭკუით ხალისობს.

აქეზებს

პრობლემის შექმნა თავისთვის, ეს დროის ჭიანურია, სიამოვნების განცდით და გონისთვის ბიშტის ჩვენებით, თუ ზოგჯერ პრობლემებს ვიქმნით, ე.ი. ჭირვეულია დრო, სიამოვნების გულისთვის ვინ იცის რას არ შევძლებდით,

ჭიანურია

ავიღოთ მაკიაველი<sup>28</sup> – დროის გენია იყო ის, მაგრამ თავის ჭკუა-განათლებით დროს არ დასჭირდა ის, ქვეყნის წინაშე ვალის მოხდას გონით შეეცადა ის, ჭკუა-გონებამ მას ვერ უშველა – დროს არ დასჭირდა ის.

მაკიაველი

28 მაკიაველი – მაკიაველი ნიკოლო, იტალიელი პოლიტიკური მოაზროვნე, მწერალი, ისტორიკოსი, სამხედრო თეორეტიკოსი, დიპლომატი.

## 428. მენტალიტეტი

აზრები მიდიან, მოდიან, მენტალიტეტი რჩება,  
აზრსა აზრი ემატება და მენტალიტეტიც ქრება.  
აზრთა გათოხარიკებას მენტალიტეტიც ენდობა,  
მაგრამ აზრთა ორჭოფობა მენტალიტეტს არ ეხება.  
მენტალიტეტს შევუკვეთავთ ჭკუას გონის წინააღმდეგ,  
მენტალიტეტს ვაბურთავებთ უგნურობისა ჯინაზეც.  
მენტალიტეტს ნუ მივიჩნევთ, სხვათა აღქმის სინაზედა,  
მენტალიტეტს კი დავამარცხებთ ჩვენი მტრების ჯინაზედ.

## 429. რაობის აზრი

ასაკში შევიჭერ რაობით, რათა გამეგო აზრი.  
ათა-ბაბადან მორალსაც კი დღეს ვერ გავუგებ ხარისხს.  
ვერ გავრკვეულვარ, სინამდვილეში – რაღა ანუხებს ხალხს?  
მიუხედავად ყოვლისა, მაინც ვერა ვენდობით მათ.  
ყოველდღე ახალ ცხოვრებას უწყვეტად ვინყებთ, რათაო?  
რადგან სულიერება იმედსა გვისახავს ნაღდსაო.  
ამასთან გვიმუშავდება უაზრო განსჯა და ჩვევა.  
ამ ყოველივეს შედეგად კარგი არაფერი გვრჩება.

### 430. არ გვემეტება

ჩვენი ცხოვრების მულამი გვაქვს ყრმობიდანვე ნასწავლი, აქ განათლების მოხმობა შნოთი და გონით ხერხდება, მათ მოხმარებასაც დროის გამოცდილება სჭირდება, თავის სურვილის აღზრდით და ბაირამობით მკვიდრდება.

ამ მცდელობაში ცხოვრებისა ყველა ელემენტი შედის, რის წესრიგშიაც მოყვანაც გონით და ნიჭით ხერხდება, მაგრამ რა ვუყოთ სიზარმაცეს, განცხრომით ყოფნის სურვილს? რომელთა დამუნათება გონ-გულით არ გვემეტება.

### 431. ვინ რა ღატოვა?

ხვადი მამაკაცი ხელს უწყობს გამრავლების დილემას, რამდენი უქმარ-შვილოდ დარჩა, ვინც შობა ვერ გაბედა. შინაბერას პრივატიზებით ყველა მოგებით რჩება ჯიშინ თაობითა და ერის გალალების მცდელობით. დროა ანმყოს ალლო აფულოთ და გავამრავლოთ ერი, დრომოჭმულ ადათ-წესებს უარი! ალიყურის ქმევით. ყველას განგებისა ვალი გვაქვს, ვაცნობიეროთ გონით, ერთია სალოცავი და მეორე – ვინ რა დატოვა...

### 432. ბალადა ადამიანზე

ადამიანის გაცნობა ასე ადვილად არ ხდება.

მის შეცნობას სჭირდება ვუყუროთ მხიარულობის ჟამს, თუ მისი გაცნობა გინდათ, აჰკიდეთ საქმე სადაო, ხოლო რომ ენდოთ, გამოსცადეთ ის გაგულისების ჟამს.

სადაო

ადამი მომხვეჭელობას ასე უაზროდ არ სჩადის, ადამი ასეთ ქმედებას არც დაუძალებლად სჩადის, ადამსა მომხვეჭელობას ნინხედვა, გონით სჭირდება და თუ მას ფეხი დაუცდა, ვერ შველის გვარიშვილობა.

გვარიშვილობა

ადამს სიბრიყვის გახსენებაც რატომღაც სიამეს გვრის, ამით ბავშვობა ახსენდება და სიამოვნებით თრთის. ადამი სწრაფად ეჩვევა როგორც კარგს, ასევე ცუდსაც, ეტყობა თავდაცვის ეს კოდი მას განგებამ უბოძა.

სიბრიყვი

ადამის ნიჭის მცდელობამ სიკვდილს სურს ბიშტი უჩვენოს, ის მარად სიახლეს ეძებს, სიკვდილსაც რომ ფეხი დაუდოს, ადამის ნიჭი სიქველე რჩება მომავლის იმედად, მისი გონების შეცნობა თვით განგებასაც კი უჭირს.

ფეხის დადება

ადამთა დაპირისპირებას ნყვეტა არა აქვს ნუთით, ისინიც ზოგჯერ ზავსა დებენ, რათა დაგეგმონ ომი, ეტყობა, დაპირისპირებას ბუნების კანონიც ითხოვს, სხვაგვარად გადაგვარდება, ადამის მოდგმა და ჯიშში.

ნყვეტა

ადამის ცვალებადობას აქვს თავის პლიუს-მინუსი, ის გზის გაკვალვას აპირებს გონის თელვით და ქიუხით. ადამის ცხოვრებაში კი კითხვა-პასუხზეც მეტია, თუმც მის ნების აყოლას თანადგომა არ უწერია.

კითხვა-პასუხი

ადამი წარმატებისთვის მარად ყალყზეა შემდგარი,  
არავინ იცის წყალობა საიდან როდის წამოვა,  
სამყაროს პოპულაცია სჭირდება ადამის სახით,  
ღმერთმა სიცოცხლე ნუ მოგვიშალს ანმყო დღისა მადლით.

პოპულაცია

უშურო ადამიანიც განგების ნაღდი შვილია,  
თუ მას აქვს სულის აბჯარი, ენის ხანჯალიც მისია,  
ამაღლებულად ჟღერს ადამიც თვისა გონით და ნებით,  
ადამი მარად მაღლდება, თუ იღწვის თავის გენითა.

გენი

ადამი კაცობით ფასდება და არა ჭორის ხმევითა.  
ადამს გრძნობის სიუხვე თავად უნდა სწამდეს ჭკუითა.  
რადგან ყოფის რეალობას წინ ვერ აღუდგება იგი,  
ამიტომ სურვილია ბედის ჯოხი არ გატყდეს მასზე.

ჯოხი

რადგან ადამი მის სინამდვილეს წინ ვერ აღუდგება –  
და ვერც თავის სურვილით განგებას წინ ვერ დაუდგება,  
ვერც განგების ნების უარყოფას ის წინ ვერ წაუვა,  
ზოგჯერ ღმერთსაც კი შემურდება მისი აქ ყოფნის მადლი.

აღუდგება

ადამის ძირძველ გაცნობას გონის მოსკორვა სჭირდება,  
მისი რაობის შეცნობას მარილის თქვეფა სჭირდება,  
თუკი ის ქმედებაზე პასუხისმგებელი არ არის,  
და მისი შეცნობაც რაიმეს გაყოფისას ვლინდება.

მარილი

ადამს გამოცდას უმადურობასთან შეხვედრა უწყობს,  
მისთვის ყოფის პენის დანახვა ესეც უდიდესი ნიჭია,  
ხოლო მის ბედთან შეხვედრა სულიერების ხიდია,  
საკუთარი მეს შეცნობის ინტერესი კი ღიღია.

ინტერესი

ადამის კაცად შეცნობაც უდიდესი პატივია,  
ადამის ჭკუით მოხმობაც, ესეც დიდების გიდია,  
ადამი დროსაც აყალბებს უმადურობის შეცნობით,  
მას კი ალობად დარჩენა დროის ფლანგვა და რიდია.

ალობი

მორალთან მისი ჭიდილი ზოგჯერ გაოცებასაც იწვევს.  
რადგან ხშირად მის მცდელობას განგებაც არ ეთანხმება,  
ის საკუთარ თავსაც კი ალგორითმით ესაუბრება.  
შედეგად გონი ილევა და გადაგვარებას იწყებს.

მორალი

ადამი შინაგან დიქტატსაც მიაგებს კუთვნილ პატივს,  
სამართალს მისი ცნობიერება გადამჭრელად ითხოვს,  
ადამი სიკეთის კეთებას ჭკუის მოხმობით ცდილობს,  
რადგან სანყისით ის კერპთაყვანისმცემლობიდან მოდის.

სანყისი

ადამის მხეცად გადაქცევაც არა ყოფილა ძნელი,  
არც მისი გასულელება ყოფილა შეუძლებელი,  
ადამის გაჯეჯილებაც არც ისე ძნელი ყოფილა,  
არც მისი მოთვინიერება ყოფილა ასე რთული.

გაჯეჯილება

ადამიანის მოთხოვნებს ყასიდად გვერდს ვერ აუვლი,  
ალარც შენ უნდა წარმოჩინდე კითხვებით, შემართებით.  
სიამაყეზე წიხლის კვრას გონის მოხმობა სჭირდება,  
ჩვენ კი უნდა დავფასდეთ, გვჭირდება თუ არა გვჭირდება.

მოხმობა

ადამი სამყაროს საშიში ძუძუმწოვარაა მარად,  
რომლის სიმრავლე სამყაროს აჩმორებს, აკნინებს და ღრღნის,  
თუ დროზე ჭკუას არ მოეგო ინსტიქტების წაყლობით,  
სამყარო გადაირევა და მას თავის წესით დასჯის.

ინსტიქტები

ადამის ადრენალინი, უფასო და ფასიანიც  
ენერგიის გადმონთხევით და თავის უაზრო გარჯვით,  
ადრენალინის ქონას ეტრფის უგნურიც და ჭკვიანიც,  
პიარის მოჭარბებით, გონზე მოსვლით და თავსდავნატრით.

ადრენალინი

ადამის აზრების გაცრაც მის ხარისხს აუმჯობესებს,  
რადგან მის ზედაპირზე ქატო „გაუხედნავი“ გვრჩება,  
ასაკში საცრის ხმარებას უნდა შევეშვათ გონ-გულით.  
რათა სათაყვანო წლები უთაყვანებელი არ დაგვრჩეს.

საცერი

ადამი ბედთან თამაშით სულიერებაც ჩალიჩობს  
ამით თავს ირთობს, იწონებს და ჭკუა-გონებით ლაღობს,  
თან უარყოფით განწყობის დაცლით ეჩალიჩება სულს,  
ამასთან ბედთან ჭიდილი მას ხომ მარად ძალიან სურს.

სულიერება

მას ანარქია სულში უზის გონთან შეუთანხმებლად,  
გონის ჩორკნით, ტვინის ხეხვით, ცოდნის გაშალაშინებით,  
ის ყველასთან ყოფის მოგვარებას თავის გონით ცდილობს,  
მას შესწევს ამის უნარი, თუ მარტო ჩალიჩს არ უხმობს.

ანარქია

ადამს რალაცის უნდა სჯეროდეს, ეძებდეს და სწამდეს,  
რათა ოცნებამ არ უგანოს და არ დატოვოს ობლად,  
ადამს მუდამ თან უნდა ახლდეს თავის მეობასთან შეხება  
მოვალეობის შეცნობით და სულიერების განსჯით.

მეობა

ადამს ღირებულებების უნდა ჰქონდეთ ნოსტალგია,  
გონის, ჭკუის შეჯერებას ფუფუნება ველარ იტანს,  
ფუფუნება თუმც კარგია, მაგრამ ფეხის აბმას ითხოვს,  
როს შურსა, ძალისხმევაში ძვირფასი დრო არ დაკარგოს.

ნოსტალგია



ადამიანად დარჩენას სიკეთის კეთება სჭირდება,  
მოქალაქეობას სიკეთის თესვა-მომკა სჭირდება,  
პიროვნებად გადაქცევას სიკეთის მოვლა სჭირდება,  
კაცურ კაცად რომ გცნონ, მარად სიკეთის ზელება გჭირდება.

ხედვა

პასუხისმგებლობის ტარება ადამის მოდგმას უჭირს,  
რადგანაც მისი ტარება არის ძალზედ დიდი ტვირთი,  
პასუხისმგებლობის გრძნობას გამოიმუშავებს გენი,  
მთავარი პასუხისმგებლობაა და არა მისი ტვირთი.

ტარება

ადამი თავისი გაავებით ნაკლებზე ჯობნას ფიქრობს,  
ადამის ჩუმი რაობა თავის გამოჩენას ცდილობს,  
ადამმა მისი ცოდვებიც სიკეთის მომკით უნდა ზიდოს,  
ადამს სიელმე არ უშლის, სხვას რომ შურს თვალით შეხედოს.

ნაკლი

მთავარია ადამმა ბედთან შეთანხმებით იცხოვროს,  
თუ უნდა ეს ყოფა, ნაკლებ შარახვეტიობით განვლოს,  
არ არსებობს ადამი, კანონთან რომ არ ელადაოს  
და თავის მეს განსჯით, დემონისთვის წილი არ მიეგოს.

წილის მიღება

### 433. ცხოვრების მაღლის შეცნობა

ცხოვრების მაღლის შეცნობა ადამიანთა ნიჭზეა, მას ვერ აღიქვამ – გოგოა, შეიცნობ არის ბიჭია! რადგან საქმეში ფერია არავის გამოსდგომია, ვინც ამას იგრძნობს იგია, რომ დადის ძლევა მოსილი.

ნიჭი

ყოფას თავისი მაღლი აქვს გონიერების ყისმათით, ჭკუა თავისთვის ჩალიჩობს ყოფის ჩვევების ზიარით, ყოფას თავისი დებეტი აქვს პრეფიციტ-დეფიციტით ყოფისა შეცნობას მარად საკუთარი იმედით ვფიქრობთ.

მაღლი

ცხოვრებიდან მაღლის აღებას გონის მოხმობა უნდა, ცხოვრებას ალლოთ მონველას ხელის გამოღება უნდა. ცხოვრების ალლოს მორგებას სწავლა-განათლება უნდა, ცხოვრების ბედზედ მორგებას ყოფის კარგი ცოდნა უნდა.

ცხოვრება

ცხოვრება ჰგავს ბანქოს თამაშს, თავის მოგება-წაგებით, ის უნდა გამოიზიარდეს, გონის მოხმობით, სახელით, შედეგის განსჯა ძნელია დროის ყისმათთან თამაშით. ცხოვრება დროსთან შებმაა თავის მეობით, ჩავარდნით.

ბანქო

ცხოვრების აჯაფსანდალში ლელოს გატანა ძნელია, ღმერთი მიუნვდომელია, სამყარო შეუცვლელია, ყოფა გასარკვევია, ტრფობა კი შეუცნობელია, ადამი მარად იღწვის, მაგრამ თავის გატანა უჭირს.

ძნელია

არჩევანს ყველა აკეთებს გონითა თუ უგონობით, ყოფისთვის ჭკუის შეძენით, დაწუნებით, მონონებით, ძნელია ყისმათს აჯობო, შედეგის განსჯაც ძნელია, ცხოვრება დროსთან შებმაა, ოღონდ შედეგი ბნელია.

არჩევანი

### 434. პარიაციები ქალეზზე

აი ბირჟა საქორნინო, ბედნაცვალ ქალთა აქცია,  
სულაც ქალეზი შეკრებილან, მათთვის მზე და დარია  
აგერ ვენერამ კარგ მამაკაცს, ზურგი კოხტად აქცია,  
და ერთბაშად გააძვირა, მან იქ მდგომ ქალთა აქცია.

ბირჟა

თავისა ქალეზზედ ზრუნვა, კაცმა სხვას არ უნდა „ანდოს“,  
მათთვის ნაჩუქარი წუთები, თავადვე უნდა ხარჯოს.  
რადგან ყოველი მეობა, თვითდამკვიდრებას აქ ცდილობს.  
ყველა ვალდებულია, მანაც თავად იხილოს ხვითო.

ხვითო

არის ქალის პოზიტივი: სილამაზე, სენსაცია,  
მაგრამ არის ნეგატივიც – სისულელის აქვს ფრაქცია,  
დეპოზიტსაც აქვს სიკეკლუცე, ხიბლი, ტანცი-მანცია,  
შედეგადაა სისულელე, როგორც რეკლამაცია.

რეკლამაცია

ქალის პოზიტივები: სილამაზე და სისულელე,  
ხიბლის ფრქვევა – სისულელე, სიყვარული – სისულელე,  
კაპრიზები – სისულელე, სიყვარული – სისულელე,  
მოკლედ სულ სისულელე, სისულელე და სისულელე...

პოზიტივი

რა მკერდი აქვს, რა სიმაღლე, რა ტან-ფეხი და გრაცია,  
მაგრამ ისევ ნეგატივი, „ტანგაც“ კი აღარ აცვია,  
ქრომოსომები ქალისა არ ეტყვისება მამრისას,  
არც მამრთა შეთხზულ კანონებს არ მორჩილებენ ქალისა.

ნეგატივი

ქალეზი კაცებს უხმობენ, გაუმართიათ აქცია,  
ირგვლივ სურნელებს აფრქვევენ, თითქოს იყვნენ აკაცია,  
მას ქრომოსომები ანუხებენ თავის კაპრიზ-დაცვითა.  
მოდის მამრი ქალს აირჩევს, იტყვის ვინმე რა კაცია?!

აქცია

ქალის გემოვნებას მარად, უცნაურობანი ახლავს,  
 ამ უცნაურობათა აღქმა, კაცებს უხდებათ მარად,  
 აქ, უკვე განსჯა, მცდელობას თავსა აღარავინ აკლავს,  
 აქ, მთავარია არ ჩაჭრა და უმტკივნეულოდ ჩავლა.

ამ გაურკვეველ ბირჟაზე, ერთია მართლაც ნათელი,  
 სიყვარულია ის ნაღდი, მისი კვარი და სანთელი,  
 და არჩევანი ერთი გვაქვს – მხოლოდ მას ვუნთოთ კანდელი,  
 ვართ სეფედავლე ჭაბუკი თუ ყარამანი, ყანთელი!

### 435. აფორიზმების ჭიდილი

მზესიტყვაობის ქველობა სიტყვაქველობას ემთხვევა,  
 მზემცინარობის ფასსა კი ბევრი ჩვენგანი ვერ ხვდება,  
 აფორიზმებთან ჭიდილი გონიერ კაცთა ხვედრია,  
 სათქმელის უკეთ მსახველი, მე ხერხი არ შემხვედრია.

### 436. მშვიდობის მოგება

მშვიდობის შენარჩუნება გონიერების ჯაჭვია,  
 ჯაჭვს მოსწევ, გონიც მოჰყვება თავისი მარიფათითა,  
 ჰარმონიული განწყობაც ყოფიერების მაღლია,  
 მაღლს იმკი, საქმეს გამოცდი, ესეც ხომ კარგი საქმეა.  
 „ომის მოგებას რა უნდა, ხმალს თუ იფარებ ფარადა,  
 მოგება მშვიდობას უნდა, ძნელი საქმეა მარადა!“

### 437. შეცდომა

ამქვეყნად დაშვებულ შეცდომებს არავინ გვასწორებინებს,  
შეცდომის დაუშვებლად კი ყოფნის უფლებას ვინ მოგვცემს?!  
ყოფის გზად ხეირის ნახვა, გონის მოხმობის წესია,  
შეცდომის გამოსწორებით ცხოვრება უკეთესია.

### 438. პრობლემათა „საონსორი“

ვექილი პროფესიაა, გაქექილი გონთა ხვედრი,  
ვექილს დააფინანსებ და თქვენი პრობლემაც „ხევშია“,  
ვექილის საჭიროება დროს კაპრიზების ბრალია,  
ვექილმა თუკი გიძმო, კანონსაც მიიმხრობ, ძამია.

ვექილი

ადვოკატობა არც ისე ადვილი საქმე ყოფილა,  
ცოდნასთან ერთად მას დიდი გამოცდილებაც სჭირდება,  
მისი მოქნილი პროფესია ჭკუას აძალებს გარჯას,  
ადვოკატობა ნიჭია, გონისა ხმოვით და გარჯით.

ადვოკატი

დამცველი პროფესიაა, მონოდებით და ქველობით,  
მოვალეობის შეცნობით, განათლებით და მეობით,  
მისთვის ბედი სხვათა, მის კეთილდღეობაზედ მეტია,  
მათ შორის არჩევანი კი კარიერა და ფულია.

დამცველი

### **439. თავდაჯერება**

ამბიციური კაცუნა არავის ირგვლივ არა სცნობს,  
არც თავდაჯერებული ტვინი ჭკუის დაცლას არა სცნობს,  
ამბიციურსა კაცუნას – მეტად გონის ხმოზა უჭირს,  
მის თავდაჯერებულ მეს პროტექციაც ვეღარა შველის.

### **440. თავსდაჰნატრი**

საკუთარ თავს თუ დანატრი, ეს სიამაყეა დიდი,  
თუ გოროზად თავი მოგაქვს, ეს პრესტიჟია დიდი,  
რადგან „თავდაჰნატრის“ სხვაგვარად გაცნობა ბრბოსათვის ჭირს,  
თავი თავად დაიფასე, სხვამ რომ დაგაფასოს რიდით.

### **441. აღმაფრენა**

ვნების ოცნებით აღქმაც კი, სიამოვნებაა დიდი,  
სიამით აღგვაფრთოვანებს და ვნების მადასაც გვიშლის,  
მოხდენილ ტანის დანახვა ყბედობის თემას გვიქმნის,  
სხვაც ხასიათზე მოგვყავს და ნერვებსაც ტყუილად ვიშლით.

### **442. ნიჭი**

ხალასი ნიჭი გვაერთიანებს, უნიჭობა კი გვეყოფს,  
ეტიკეტი დავიცავით, ყოფის ალგორითმად დავტოვოთ,  
ხალასი ნიჭი გვაერთიანებს, სათუო ნიჭი გვეყოფს,  
ქცევის ნორმების დაცვა კი განწყობას არ უნდა ვანდოთ.

#### 443. ჭკუა

ჭკუის სწავლება სხვათათვის, ეს უმაღლური საქმეა, ჭკუის მოხმობას შენთვის, ამასაც არ გიფასებს თავი, ჭკუის მე უნდა დავწუროთ გონის მოხმობა-შეცნობით, შედეგად მიღებულ ჭკუასაც აქვს თავის მეობის ფასი. ჭკუა გვყოფნის ან არ გვყოფნის, ყოფისაა ერთი დარგი, მაგრამ გონს ჭკუის მოხმობის ფიქრი არ უნდა მოვაკლოთ, რადგან ამქვეყნად მოვდივართ ისიცა ბედის ნებითა, ამიტომაა ჭკუის მოხმობა საჭიროც და კარგიც.

#### 444. ტყლაშუნი

მხნეობის დაბრუნებასა სული სჭირდება ძლიერი, სურვილს კი თავში წამორტყმა, ხელის ტყლაშუნი ხმიერი, ძალას კი ყველა აფასებს, მხნეობას გვმატებს იერით, სულსაც აღაფრთოვანებს, თუ ხორცსა შეისხმას ძლიერის.

#### 445. სიმდიდრე და სიღარიბე

სიმდიდრეს და სიღარიბეს თავ-თავისი აქვს მულამი, ორივე ადამს ანუხებს, მას უთანაგრძობს უნარით, სიმდიდრეს და სიღარიბეს ჭკუის მორგება სჭირდება, ყოველივეს დროის მე წყვეტს და არა ჩვენი გონება.

#### 446. სიჯიუტე გვამოძრავებს

სიჯიუტეც ველარ იტანს გადაუჭრელ რამე-რუმეს,  
სხვათა ჭკუის მოხმობას, დარიგებებს და საქმის ჩურთვას,  
პერსპექტივით ამ სამყაროს სიჯიუტე ამოძრავებს  
ჭკვიანის მანტიიაში ყოფნით – თავის მეს ნარმოჩენით.

#### 447. თუ კაცი ხარ

თუ კაცი ხარ, ფულიც ალლოთი და გულით უნდა ხარჯო,  
თუ კაცი ხარ, სიყვარულით უნდა მოხნა ქალის გული,  
თუ კაცი ხარ, მჯობნის-მჯობნი მარტომ უნდა ამოიცნო,  
თუ კაცი ხარ, მიტმასნული ამოიცან წმიდა სულით.  
თუ კაცი ხარ, შენი ფული უნდა ხარჯო ჭკუა-გონით,  
თუ კაცი ხარ, არ შებოჭო კუნთები და გული ქონით!  
თუ კაცი ხარ, სიყვარულში დაიხარჯე ტურფის ყოლით,  
თუ კაცი ხარ, ნუთისოფელს ნუ გაიყვან ტახტზე ნოლით!

#### 448. დროსთან ჭიდილი

გულის მარად ჯეელობას ადვილად იტყვის ყველაო,  
ასაკს ფერება სჭირდება, მას შემოევლოს ყველაო,  
ახალგაზრდობის წესია გაქრობა, გარდავლენაო,  
დროს ვეჭიდებით, არა გსურს კუპრში ხარშვა და ქშენაო.



#### **449. გააზრება**

სიბრძნე დაფასებულია, მაგრამ მისი გააზრება ჭირს, ღირსებასაც ფასი ადევს, მაგრამ მასთან შეხვედრა ჭირს, „შენ ხარ ვენახოს“ ძახილი გონს უპასუხისმგებლოს ხდის, მე ვარ ვენახის ძახილი ჩვენს მეობას ნამდვილად რყვნის.

#### **450. სულიერებასთან ჩალიჩი**

ფსიქიკა მაშინ ჭრაჭუნობს, თუ პიროვნება ჩალიჩობს, ხელისუფლების მანტიას ყველა ვერ ირგებს მადლითო, დიდია პასუხისგება სულიერების განცდითო, ბნელში სვლით, ჯიკ-ჯიკაობით ჩვენს რეალობას ავცდითო.

#### **451. იარაღი**

სულით ნანატრი ტრფიალით გული არ შეგიღონდება, მოუკრეფელში გადასვლით სული არ გაგიღორდება, რასაც მოჰკრეფავ – შენია, მოხვეტე, შენთვის იარე! თუ გული ერჩის დრო-ჟამს და ტრფობით გაჩენილ იარებს.

#### **452. მარად უკვდავება**

სიმდიდრისგან განსხვავებით სიღიადე უკვდავია, კარიერა და სიმდიდრე მუდამჟამს წარმავალია, გონის დროულად მოხმობა ბედისა საჩუქარია, რა შეეხება დიდებას, ის ღმერთის ნაჩუქარია.

### 453. ბედის რაშობა

თუ იცი, საქმე რაშია, ბედი ზღაპრული რაშია,  
ბედი ჩვენსავე ხელშია, თუ მოახტები შენია,  
ბედი არ იყიდება, არც სალდება და იჩითება,  
იგი მარად გონთანაა და არასდროს იყიდება.

### 454. მიუსავალ-მოუსავლში

ჭკუა გვეყოფნის ან არ გვეყოფნის, ჭკუისაა ერთი არსი,  
ჯანმრთელობას, ბედს და ყოფას – ყველაფერს აქვს თავის ფასი.  
რადგან ერთხელ მივდივართ მიუსავალ-მოუსავლეთში,  
ამიტომ უნდა ვიცხოვროთ ჭკუის მოხმობის განგაშით.

### 455. მათ ემნიშობათ ხალი

„ცხენის წინ ეტლისა შებმა მეცნიერების წესია“,  
ცოდნასთან მიმართებაში მათ ემნიშობათ ხელია,  
ძველსა და მოძველებულსა ის ებრძვის, როგორც ვეფხვია,  
ნიჭის წარმოჩენაში მათი წვლილი უდიდესია.

### 456. კერპად ქცევა

მავანის კერპად ქცევა ისევ ჩვენს მეობას სჭირდება,  
რადგან სურვილი მათზე გატოლების ჩვენში დიდია,  
მაგრამ შეცდომებს რად უშვებთ, კერპად რომ მავანთ გვაქციონ?  
ღმერთმანი, ის სჯობს, კაცურად ავი კეთილად ვაქციოთ.

#### **457. ცული ვერაფერს ხდება**

უზნეო კაცის გამოსათლელ „მორს“ ცული სჭირდება მჭრელი, მანამ მორი არ დაილევა ცულის ქნევით და ლესვით, მაგრამ შეხვდება ნაკოჭრი, ცულიც კი ვერაფერს ხდება, ასეა კაციც უჭმური – ჩნდება და ასეთივე კვდება.

#### **458. აღქმა**

აღიარების აღქმასაც ნიჭის წყალობა სჭირდება, მის პიროვნებად აღქმასაც დროის გვირისტი სჭირდება, ჩვენი მეობის აღქმასაც დროულად განსჯა სჭირდება, ჩვენი ღირსების აღქმას უბრალოდ სიყვარული სჭირდება.

#### **459. ზომიერება**

სიძუნწე, შური, ყბედობა თანდაყოლილი მანკია, ზომიერების ფარგლებში მოსაწონიც და კარგია, კაცის დამოძღვრა მადლია, თუ მიიღებს და შეიგნებს, თუ არა, ჩვენი სწავლება სულ დროის დანაკარგია!

#### **460. ლამაზი ოცნება**

ლამაზი ოცნებები და ფიქრები საზღვრებს არ სცნობს, სიყვარულის მობრძანება გრძნობის ინტეგრალებს არ სცნობს, სიყვარული ყოფის განტოლების პარამეტრებს არ სცნობს, სიყვარული უფლის ნებაცაა, ზოგჯერ მასაც არ სცნობს.

#### **461. ბედნიერება ერის**

მრავალჯერ გასროლა სულიერების, პოეზიაა,  
ეს თვითმკვლელობა კი არა, ბედნიერებაა ერის,  
ჭკუით მრავალჯერ გასროლა უჭკუობისაა მტერი,  
ეს თავხედობა კი არა, ბედნიერებაა ერის.

#### **462. კეთილი გულის სამინისტრო**

კეთილი გულის სამინისტრო – ვინმემ თუ იცის სად არის,  
თუ არის სადმე ამაზედ უკეთესი ან სადარი?  
დადგება დრო და გვექნება, ჩვენ მისი შექმნის მცდელობა,  
ჯერ დავაბრალოთ ყოველი, ჩვენს გულთა განუცდელობას!

#### **463. გონიერების შილაგვა**

შურის რაობა გვაფიქრებს, გონიერებას ვერ წვდება,  
შური სულს გვიფორიაქებს და გონიერებას „ღებავს“,  
შური შურს აორმაგებს და თან უგნურებას ნერგავს,  
შური ლექსს აფორიაქებს და უხილავი გზით ქრება.

#### **464. ბედნიერების სახეობა**

ბედნიერების სახეობას დროის მცდელობა ადგენს,  
ბედნიერების სახეობას განგების ნება ადგენს,  
ბედნიერების შიგთავსს ოცნებასთან ჭიდილი ადგენს,  
ბედნიერების ბუნებას გენთა შეჯერება ადგენს.

#### 465. თუ ეს არავის აწყობს

ნაძირალების მარულა არც ერთ ქვეყანას არ აწყობს,  
ნაძირალების დოლი არც ეკონომიკას არ აწყობს,  
ნაძირალების ისინდი არც პოლიტიკოსებს აწყობს,  
მაშ რად არ ისპობა ეს „აუგი“, თუ ის არავის აწყობს.

#### 466. ღეჴიცითი

ტვინის ნიჭიერებასთან შერწყმა სილამაზეა დიდი,  
თუ იგი მომხიბვლელია და თავის დაჭერაც იცის,  
ამ სილამაზის შეცნობას ჭკუა არ სჭირდება დიდი,  
მაგრამ სადღაა ეს ჭკუა, დეფიციტი გახდა, იცით?

#### 467. დიდი ვალია

ცოდვა ისედაც ჯვარია მისი ტარების გარეშეც,  
ცოდვისთვის თავის მოქონვაც ჩვენსა მეობას სწადია,  
ცოდვის ქმნას მარად მოთოკვა უნდა გონის წანამძღვრობით,  
ცოდვის გარეშეც ცხოვრებაც, ყოფისა დიდი ბრალია.

#### 468. ნალოლიავები სურვილი

ნალოლიავებ სურვილსა წარმოჩენა საჭირდება,  
რეალობის გაფეტიშებით და თავის მოქაჩლებით,  
ნალოლიავებ ოცნებას გრძნობით შენება სჭირდება,  
რეალობასთან შეხვედრით და ყოფის მადლის შეცნობით.

#### 469. დაფიქრება

დაფიქრება იმთავითვე სიბრძნის არის ერთი დარგი,  
თავის მადლით მოქაჩლება, გონებისთვის ხელის წაკვრით,  
სიბრძნეს ვიძენთ, თავს ვიქაჩლებთ სიყვარულის დიდი მადლით,  
სიბრძნე-სიბრძნის საფასურად არას ითხოვს ესა დარგი...

#### 470. გაღმერთება

მამაკაცს თავის ჭკუაზე მდედრი იპყრობს და ატარებს,  
ვინც მას მოსწონს, მის ტან-ფეხსა აპოლონისას ადარებს;  
ამ წუთისოფლში ის არის ამ ქვეყნის დიასახლისი,  
ოჯახის კარის დარაჯი, ყანის ლაპლაპა სახნისი.

#### 471. ქართული გენი

ოქრო პატარაა, მაგრამ დიდი ფასი აქვს ყველგან,  
საქართველოც პატარაა, თუმც გული დიდი აქვს ყველგან,  
ახლად ნაპოვნი აღმასივით თავი რომ მოაქვს ყველგან,  
ქართული გული ამაყია, თავისი მე აქვს ყველგან.

#### 472. ეს აქსიომა ბეღია

შრომაც და თავდავინყებაც ჩვენი არსობის ხვედრია,  
გართობა და თამაში თუ დაუზარებლად გვეწვია,  
პატივისცემა და რიდი გონიერ კაცთა ხვედრია,  
სუყველას კარგად ყოფნა გვსურს, ეს აქსიომაც ბეღია.

### **473. უნდა განსაჯო**

დაკარგავ სკამს და ასაფრენ-დასაფრენ ბილიკს და სივრცეს,  
იქვე რჩები ყოველმხრივ მივინყებულ-მიტოვებული,  
და კარიერის კიბეზე ფეხი გისხლტება ვაგლახად,  
რა ვუყოთ ამ ბედისწერას? – ვარ შემკითხველი ამისი.

### **474. გულახდილობა**

გულახდილობა ნიჭია, მაგრამ ფასი აქვს სათუო,  
გულახდილ კაცის სახელი ცუდად არ უნდა ვათრიოთ!  
ესეც ნიჭია ერთგვარი, სიკეთის გამონაშუქი,  
კეთილი გულის ვულკანი და მისი გამონაბუქი.

### **475. არ ასკვნებას მას**

გონიერება ზოგჯერ სირცხვილით იწვის, იდაგება,  
როდესაც თავის მზაკვრული აზრის გაქექვას ესწრება,  
ადამიანი ეტყობა მაინც მხეცია ბუნებით,  
რადგან მოხვეჭის სურვილი აღარ ასვენებს გუნებით.

### **476. ანმყოს პარამეტრები**

ამ ქვეყნად უნდა ვიცხოვროთ მოვალეობის შეცნობით,  
რეალობასთან საქმის შერწყმით და ცოდნის გამდიდრებით.  
და დღეისობის სინამდვილე უნდა აღვიქვათ თავად,  
მარტო ანმყოს პარამეტრებით არ უნდა ვენდოთ თავსა.

#### **477. კვლავნარმოება**

ყველა როგორღაც იქაჩება, თოხარიკობს და ცდილობს, რათა უაზროდ არ დახურდავდეს და მასზედ არ იცინონ, ყველა თავისთვის იღვწის და ყოველსა ისე ცდილობს, შვილი დატოვოს მემკვიდრედ და მარად თვით დაიძინოს.

#### **478. სულ დალაგებული**

მთალად დალაგებულ სამყაროს იმ ჩვენმა მტერმა უყუროს, მარად აზრზე ყოფნა და ჩალიჩი ჩვენს ჭკუას ვუსურვოთ, სულ წესრიგი, წესიერად ყოფნა ჩვენს სიდედრს ვუსურვოთ. ხოლო კაცად ყოფნა, მეობა, საკუთარ თავს ვუსურვოთ.

#### **479. კვიცი ხტის სხვის ჯინაზე**

პროზა თავისას ქაჩავს, სცენარი თავისთვის ჩალიჩობს, ფილმს რეჟისორი აქებს, საქმეს პროდიუსერი აწყობს, დიდების გადანაწილების მსურველთა რიგი დიდია – აქ როლის შემსრულებლები ყველაზე მეტად ყვირიან. უკანა რიგზე გადადის რეჟისორ-მხატვრის ნაღვანი, არც სცენარის ავტორს უმართლებს, კომპოზიტორსაც აქვს ნაღვანი, ალაფი პროდიუსერს რჩება შემოქმედ ჯგუფის სახელით, რატომღაც შემოქმედისთვის „კვიცი ხტის სხვათა ჯინაზე“...



#### **480. ანკესი**

განუსჯელი ქორებია ამ ყოფაზე რომ ძალადობს,  
გასაგები აზრებია! ამ ცხოვრებით რომ ვხალისობთ,  
ადამიანებს ანკესის გადაგდება გონით უნდა ვასწავლოთ,  
რომ ენით დაჭერილი „ღლავის“ ამოღება არ შერცხვეთ.

#### **481. ბედს უნდა ვენდოთ**

ბედის კაპრიზი, უგნურება, სიავეს უქადის ყველას,  
აჩმორებს, ნერვებს აწყვეტს და ამცირებს ადამის მოდემას,  
გონთან ჭიდილი მეს ალიყური გულს რეჩხს უყოფს ყველგან,  
შედეგად იმ ბედს ვენდოთ, ყველაფრეს რომ მუსრავს და ცელავს.

#### **482. ყოფის ღაბაჟონება**

ადამს თავის კულტი ჰყავს – რწმენა, ტრადიციები, ქალი,  
ის არ უკადრისობს, თუ მას უფლებებით აღვჭურავთ,  
რადგან მის მარგი ქმედება ლტოლვაა, ფიქრი და გარჯა  
მაგრამ ეს მას ხელს არ უშლით, იღვანოს, იშრომოს მარად.

#### **483. აპი ღრუბლები**

უგნურთ კუთვნილი სივრცე არ უნდა გავუთავისუფლოთ,  
რათა სხვებმა არ მიბაძონ და თავად არ დაემსგავსონ,  
ადამს დაპირისპირებისკენ გზა არ უნდა გაუხსნათ,  
რათა მონმენდილ ზეცაზედ ნათლის მშვენება ეფინოს.

#### **484. ხერხი**

ქალზე შეტევა უკან დახევით გონის ერთი ხერხია, ქალის შეცნობა – გაარშოყება გონის მეორე ხერხია, თვალის ჩაკვრა-ჩაფუჭუნება, ეს კი მესამე ხერხია, შეწყვილება და ბავშვთა გაჩენა – ეს კი შედეგია.

#### **485. მაღლის გათავისება**

სიამის გათავისების სურვილს შეცნობა სჭირდება, სიამის მაღლის მიღებას ხალასი ნიჭი სჭირდება, სიამის გათავხედებას გონის მოკრება სჭირდება, სიამის არსში გარკვევას მისი შეცნობა სჭირდება.

## XVII. ჩვილმეტმარცვლიანი ლექსები

### 486. შეფასება-ბაღაფასება

კაცის შეფასება-დაფასებას დროით გამოცდა სჭირდება, რადგან ფული და კაიკაცობა ყველგან დღეს ვერ ფასობს, ბედსაც თავისი ჩავარდნები აქვს დროის ყივილის ცოდნით, რას ვიზამთ, ცხოვრებაა ასეთი, თავის ფრენით და ხოხვით... ბედნიერ ჩვენსა ცხოვრებას ემხი სიყვარულისა ამკობს, ზოგი კარგი მოგონებით ცხოვრობს, ზოგს კი ანმყო ტყავს აძრობს. რადგან ყოფის მადლის შესმა ნიჭის გაჯეჯილებას ითხოვს, ზოგი ცხოვრებას ფასს ადებს, და ზოგიც აღმაფრენას ცდილობს.

### 487. ლაღაობა

ქალს ხელმოცარულობა აჩმორებს და არა უფულობა, ქალს ცუდს დრო აკეთებინებს და არა თავისი ბუნება, ქალს შვილი უნდა თავის საცნობად, რათა არ დაიჩაგროს, ქალს ფული სჭირდება სახარჯოდ და თავის წარმოსაჩენად. ქალისათვის ზოგჯერ ანჩხლობა თავდაცვის იარაღია. ქალის კაცთან ქცევის ცოდნა მისი ყოფისაა კოზირი, თუ ქალი გამომძალველი, ჭირვეული და კაპრიზია, თან ეშმაკთან ქსელი გაუბამს მტკიცე, ოლონდ ფაქიზია. ქალის ლოგიკა, კაპრიზი კი განსჯას არ ემორჩილება, მერე რა ვუყოთ ამისთვის, რომ ის არვის ეჩოთირება, ქალის კაპრიზი, სურვილი გონის აღრევისა ცდა არი, ის მაინც თავისას ითხოვს და მამრიც ამისთვის მზად არის.

#### **488. დაბომბვა**

ქალის კდემამოსილება – მისი ყოფის ციხესიმაგრე,  
ცივილიზაციამ ეროტიკის ყუმბარებით დაბომბა,  
მდედრის კდემამოსილება, მისი დედა-შვილობა, ქალობა  
ამ პროგრესის ტალღებმა საშურად გათელა და დაბუბნა.

#### **489. პასტა**

თვალეების ჩაჟუჟუნება სულისა აღმაფრენას ცდილობს,  
მისი ღიმილის ანკესი მარად მამაკაცისთვის მცდელობს,  
ქალის საცნობი ხიბლი სიყვარულის გადმონთხევას ცდილობს,  
ქალი ბოლოს დედობისთვისაა „განწირული“ და „ბასტა“!

#### **490. ლოცვა-კურთხევის მცდელობა**

წმინდან-ანგელოზთ მიბაძვა ყველა მორწმუნეთა ხვედრია,  
ამას ცხოვრება გვთავაზობს და არ ვიცით, ვისი ბედია,  
ეკლესია და ტაძარი ლოცვა-კურთხევისა მცდელია,  
თუ ამქვეყნად ყოფნა მოგვებზრდა, იმქვეყნად ყოფნის ჯერია!

#### **491. ღეჟიციტი**

ავტორიტეტის ზღვარი თაობებთან მარად კავშირშია,  
მათ ღირებულებათა განსჯა დროის, ყოფის ტკივილია,  
ადამიანად დარჩენა დროის უცვლელი კრედიტია,  
იყო უბრალოდ ადამი – ესეც დიდი დეფიციტია.

#### **492. ქალის ეტალონი**

ქალის ეტალონია თუ კაცს საჭიროებისამებრ ცვლის,  
ჭეშმარიტად დედოფალი თუ სიტყვით მამაკაცსა სჯის,  
სწორუპოვარი ქალია, თუ ყოფის პრობლემებს პასუხს სცემს,  
მაგრამ ამ ქალმა ეს ლონდრე სანამდე უნდა ათრიოს?!

#### **493. სული დაიწყებს ლხენასა**

დრო ადამიანს მკურნალობს და კიდევაც აინვალიდებს,  
გაცრუებულსა სიყვარულს დრო ევლინება მხსნელად, მშველელად,  
მას მკურნალობა ვერ შველის, თუ თავს არ შეუძახა მხსნელად,  
სიყვარული თუ დრომ არ გაგვიცრუა, სული დაიწყებს ლხენასა.

#### **494. ტრფობის ბაღი**

ტრფობის ბაღეში ხვეული გული ველარ ირჩევს ანგელოზს,  
ვინ გახდა ჩვენი ქალღმერთი ან მისთვის რაღა უნდა ვილონოთ?  
სიყვარულსაც თავის მახე აქვს სულის და გულის ფეთქებით,  
ვინაა ის ჩვენი ნანატრი, მისთვის რომ თავი გადავდოთ?!

#### **495. სიყვარული და მოვალეობა**

სიყვარული და მოვალეობა დიდი ვნებაა სიტყვით,  
სიყვარულსა და მოვალეობას თავის მადლი აქვს, რიხით,  
სიყვარული და მოვალეობა ვის გაუმართლებს რიგით,  
სიყვარული და მოვალეობა ვის სად განირავს, ვიცით?

#### **496. გრძნობათა მართვის ხელოვნება**

გრძნობათა მართვა ხელოვნებაა და საჭიროა რიდი, მას მორჩილებს მთელი სხეული უგვანობისადმი შიშით, გრძნობის მართვას შემართება უნდა მკრეხელობის შიშით, გრძნობათა ჩოჩქოლს ვერ უკუაგდებ, თუ არ უჩვენე ბიშტი.

#### **497. გონის გაუნძრევლადაა ძნელი**

კეთილი გულის ბაიათს ყველა თვისი ხიბლით აჟღერებს, სიკეთის საკეთებლადა ყველას არ მიუწვდება ხელი, კეთილი გულის ბაიათს დრო თავის დასტურით გვთავაზობს, სიკეთის კეთება კი გონის გაუნძრევლადაა ძნელი.

#### **498. მასალაა ქებული**

კვიმატი ყბედობის პატრონსა ენასა უჩლექავს მრავალი, რადგან მთავარი სიტყვის თქმაა და არა მისი ლალადი, კვიმატი სიტყვა ჯიგარს გვინვავეს, სიტყვაა მირონცხებული, აზრი, რომელიც გონში გვიზის – სიტყვის მასალაა ქებული.

#### **499. შენი მეოზის**

მარტოლა ბედის იმედად ადამიანი ვერ იქნება, თუ თავის მოთოკვის გამოცდა ცხოვრებას არ ჩააბარა, ყოფის მონყობას ბედის წყალობით ყველა ჩვენგანი ცდილობს, თუ ბედი გენვია, ფონს გასული ხარ, შენი მეობაც ხვითობს.

## 500. პატიოსნება მეფეთა

პატიოსნება მეფეთა საქმე არასოდეს ყოფილა, რადგან ჩვეულებრივ მომაკვდავთ ის მძიმე ტვირთად აწვებათ, პოლიტიკა არც ხალხის, არც ბრბოს, არც მასის საქმე არ არის, ის კარიერაზე გადარეულ პიროვნებათა ხვედრია.

## 501. ფეხის ნატეხვა

ავსა საქმეზე ფეხის ნატეხვა სიბრძნე არ არის დიდი, არც საკუთარ რეციდივზეა მიზეზი გონიერების, ფეხის ნატეხვა ჩვენი, ეტყობა, განგების ნებით ხდება, ეტყობა, ძალზე მინიერნი ვართ, ამაღ ვასკდებით მიწას.

## 502. სკლეროზი და დავინყება

ბოროტების და ცინიზმის მტერია კარგი მახსოვრობა, ბოროტების და უგნურების მტერია ერთ მუშტად შეკვრა, ბოროტების უდავო მტერიაო კარგი აღზრდა-სწავლა, ბოროტება-უგვანობას თმობს სკლეროზი და დავინყება.

## 503. ცოხნა

ემმაკი თვის სანელებლებით უნდა შევკაზმოთ, დავბრანოთ, რადგან ის ხალხს აწვალებს მტრობის გარეშე ხელშეკრულებით, სანელებელი კარგია, თუ მას მიზნისთვის ვიყენებთ, დაგემოვნების კაიფის უნარს, ბევრი ცოხნას უწოდებს.

## 504. რა გამოდნება

გონიერების აკვნის დარწმუნებას ყველა ჩვენგანი ცდილობს,  
მაგრამ აქედან რა გამოდნება, არავინ უწყის, შვილო!  
ხალხი შედეგით უკმაყოფილოა, გულმაღვინყია დიდი,  
რა ქნას, რომ კარგი ცხოვრება უნდა სიმშვიდე მოსწონს, რიხით.

## 505. პროფესია

იყო კანონმორჩილი მოქალაქე – პროფესიაა მეს,  
იყო ამასთან შემკული ღირსებით – მონოდებაა ვის,  
იყო მეოცნებე-განათლებული – ეტალონი ხარ თქვენ,  
იყო გონით მოყვასის გვერდში მდგომი – ღვთის მაღლი გცხია შენ!

## 506. იმქვეყნად მშვიდად წავიდა

ამქვეყნად ჩვენს მარად მცდელობას ყურ-ყბასა ვერვინ აახეცს,  
რათა შენი ღვანლი იყნოსო და გონ-გულით გაითავისო,  
ჭკუიდან ნაჟური იმედი შედეგსა ითხოვს თავისას,  
ეგების მოკვდეს სახელით და იმქვეყნად მშვიდად წავიდეს.

## 507. ყველა ადამის ვალია

პროგრესისთვის ხელის ჩავლება ყოველი კაცის ვალია,  
თუ კომფორტის გრძნობა აქვს და ყოფის შეცნობა სწადია,  
მოყირჭებულობის დაძლევის პროგრესის წინ სვლას ხელს უწყობს,  
თუ ადამის ძე დაჩმორდა, სიცოცხლეშივე მკვდარია.



### 508. თუკი ინებას ღმერთი

ცოდვის ჩადენაც თავის წესს ითხოვს მისთვის ზღვარის დადებით, საქმის ცოდნით, გონს მოხმობით, გარდაუვალობის სახელით, ზოგს ცოდნა გვაიძულებს, ამქვეყნად ყოფნა როგორღაც შევძლოთ, სასურველია ცოდვებს გავექცეთ, თუკი ინებებს ღმერთი.

### 509. „თეთრი ვირი“

გონებას სინმინდე სითეთრის შესაცნობადა სჭირდება, ზედმეტად ამქვეყნად დარჩენას, ეს გვაიძულებს, გვიხდება, მამაზეციერის განგებით ჩვენი ნაღვანი ბრწყინდება, თუ „თეთრი ვირის“ დაბმა გსურთ და ამის სურვილიც გიჩნდებათ.

### 510. აღმაფრენა

ეროტიკის ოცნებით აღქმა სიამოვნებაა დიდი, სიამით აღგვაფრთოვანებსა და ვნების მადასაც გვიშლის, მოხდენილი ტანის დანახვა ყბედობისა თემას გვიქმნის, სხვაც ხასიათზე მოგვყავს და ნერვებსაც ტყუილად არ ვიშლით.

## 511. ადამის ყოფის რაობა

ადამიანის გაცხარება მაშინ ეწვევა თავს მხსნელად, თუ ღირებულება და არც მისაბაძი დარჩა, მას რასმე იწყება თავის ძიება გონის მოხმობა ჭკუის ღეჭვით, სხვა რაღა დარჩა საქებრად თავისა მონონება რქენით?!

ჭკუის ღეჭვა

სიყვარული ადამის სასიკეთო ქმედებაა მარად, თუ მას გვერდს ვუმშვენებთ და მასთან ყოფნა გვეამაყება, ზოგჯერ ის უნდა შევახუროთ, ოღონდ არ უნდა განვსაჯოთ, რათა არ მოდუნდეს, დამყაყდეს – არასდროს დაიჩაგროს.

განსაჯოთ

ადამი ქმედებისთვის, არ უნდა განვსაჯოთ, სჯობს დავუყვავოთ, თუ შესაძლებელია, გაუგოთ, მოვეფეროთ, შევაქოთ, გავუნყრეთ კიდეც, ოღონდ სიკეთის საკეთებლად განვანყოთ, აი, ასეთი გვჭირდება ჩვენ ის როგორც ადამიანი.

განვანყოთ

და კაცი ცხოვრების ფსკერზე ხანდახან იმიტომ ეშვება, რომ მისთვის საინტერესო სამუშაო ხელთ ვერა იგდო, დიდი მიღწევაა ადამის, თუ დროს საქმიანად ხარჯავს, ხოლო ღამე დროის მარჯვედ გამოყენებასაც ახერხებს.

გამოყენება

ბუნება ბევრ ფოკუსს, ილუზიას, საოცრებას გვთავაზობს, მათ შორის არის ცოლის შერთვაც და ფულის შოვნის ყისმათიც, ადამი თავის ცოდვების მარად სხვაზედ „ჩუქებას“ ცდილობს. რადგან მას ნიჭთან ერთად, აკლია განგების რწმენის მაღლიც.

მაღლი

ადამის ძე დროს ებრძვის, ეჯახება, უკმაყოფილოა, ეს როდესაც ყოფას ვერ ამულამებს, დრო-ჟამს ვერ უგებს. ფუყე ადამი დღენიადაგ გონის დალაგებაშია, თუ ის სიბრიყვის ცდუნებას ორთავ ხელით ებლაუჭება.

ებლაუჭება

ადამიც ყოფის განვითარების კანონებს ემორჩილება, და ბევრსაც მიჰქარავს ბედის, ბუნების სანინაალმდეგოდ, ადამი ნუთი-სოფლის მწველ რეალობას ემორჩილება, თავის დღემუდამ ზეცისკენ აუღერია, მაგრამ ამაოდ.

რეალობა

ადამის მაიმუნობას დღეს მოშლილი აქვს ყველა ზღვარი, ეტყობა, არ დასრულებულა ევოლუციის მაგვარი, ადამის ყოფა-გონიერებას ყოველთვის ედო ფასი, ერთგული მისი ფანტაზიაა, რომელსაც არ აქვს ზღვარი.

ევოლუცია

ადამის შეცნობის მცდელობას მისი ხასიათი შიფრავს, ცუდი ზნის „მასმედიის“ აურას გონის მოხმობით ვშიფრავთ, ალალ ადამიანებს კი სიყვარულის მცდელობა შიფრავს, ადამის კაცობის მაღლის ხარისხს მისი ცოლ-შვილი შიფრავს.

შიფრი

ადამს თავისი კულტი ჰყავს, გონი, რწმენა, ტრადიციები, ის არაფერს ეპუება, თუ მის უფლებებს აღვჭურავთ ხიბლით, მას კი ყოფის მარგი ქმედების კოეფიციენტი სხვა აქვს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, იღვანოს ყოფის დაგემოვნებით.

დაგემოვნება

ადამის გადაკეთებას არც დრო შველის, არც შეძახება, ადამის აზრის მოკრეფაც ზენაართ გონის ხელშია, და მისი გადაკეთება დროის და გარემოს ხიბლია, ადამის გონის მოხმობაც დროის ყვილის ხელშია.

დროის ყვილი

ადამიანის ბოლომდის ნდობა პრობლემა არის მარად, რადგან მისი შეცნობა-დანახვა არც ყოფის ბოლოს ხდება, ადამიანის რაობას დრო და საზრიანობა განსჯის, თუ მას განსჯის უნარი შეერჩა და ადამიანად დარჩა.

პრობლემა

## 512. სინდისის ქარღვი

სინდისის ქარღვის განყვეტა, არც ისე ადვილი ყოფილა, თუ კაცი ტრადიციებს პატივს მიაგებს და ემონება, ზოგჯერ სულიერებას კარიერის იმედით ვანვებით, რადგან თანამდებობის მიღებით, ღირსებაც წარმოჩნდება.

## 513. მზადყოფნის ნიჭი

ჯეელობა ერთ მათრახს მოითხოვს, საქმე მეორის დაკვრას, თუ აღზრდას მარად სწავლა სჭირდება, საქმეს – ნიჭი და გარჯა. ყალყზე აღზრდის შემართვა საქმეში წარმატების გზირია, აღზრდა თავს იწონებს, ყელყელაობს, ეს მზადყოფნაც ნიჭია.

## 514. სიბერე

სიბერე დასტურ გვიახლოვდება დროზე თავში წამორტყმით, ჩვენ კი ვეწინააღმდეგებით ჩვენი ჭკუით და გამოცდით, სიბერე თავის მეს დაბანდებით ყოფის გამოცდას გვინყობს, ჩვენი ვალია მას შევეჭიდოთ – სიცოცხლე გავიხანგრძლივოთ.

## 515. ბედისწერის ნიჭი

ხალხს რომ თავი დაამახსოვრო მომადლებული ნიჭია, ხალხმა რომ დაგიმახსოვროს, განგების ნაჩუქარი ნიჭია, წარმატებული რომ გახდე გარემოს აღქმის ნიჭია, ისტორიის შვილი რომ გახდე, ეს უკვე ბედის „შიტია“.

## 516. ჭკუის შეყრა

საზოგადოებრივ აზრს პიარით ხშირად სიბრყვე ერევა, თუ მოვალეობა არ ავკიდებთ სამშობლოს სიყვარულით, რადგან ცუდი აზრები კორუფციისკენ ძალუმ მიგვათრევს, ყველა აზრი კითხვა-პასუხს და ჭკუის მოხმობას მოითხოვს.

## 517. ისტორიასთან ჩალიჩი

ისტორიასთან უაზრო ჩალიჩს აღარ ედება ზღვარი, ხან ბოროტების აუზში გაგვხვევთ, ხან კი სიკეთის ავზში, ისტორიის ნაკლია, მათემატიკასთან უაზრო მტრობა, შედეგად გაბახება და უმეცართა კუნტრუშით ხმობა. ისტორიის გადაკეთებას ყველა თავისი მეთი ცდილობს, იშველიებენ პოლიტიკაში, როგორც „მეძავსა სპილოს“, ისტორიისადმი ინტერესი გონებას ურევს ყველას, რა ქნას ამ „საცოდავმა“, თუ ყველა მის გაბახებას ცდილობს.

## **XVIII. თვრამეტმარცვლიანი ლექსები**

### **518. ძნელი**

კითხვების დასმა ადვილია, პასუხის გაცემაა ძნელი,  
ჭკუის დარიგება ადვილია, გონის მოხმობაა ძნელი,  
ფულის გასესხება ადვილია, მისი ჩასესხება – ძნელი,  
განგების კრიტიკა ადვილია, მისი შეცნობაა ძნელი.

### **519. ნიჭი-უნიჭობა**

ნიჭი სიზარმაცეს უნიჭობისგან განასხვავებს და იტანს,  
უნიჭობა კი ნიჭისთვის მარად კვანტის გამოკვრას ცდილობს,  
ნიჭი ერთეულთა ხვედრია, უნიჭობისგან განსხვავებით,  
ნიჭს უნიჭობა ევაჭრება და ორივე თავის გზით მიდის!

### **520. გარდატეხის პერიოდი**

გარდატეხის პერიოდში ყოფის შეცვლა დაწყებულაა დიდი,  
პატრიოტულ გრძნობათა აღმაფრენა დანაკარგს იძლევა დიდს,  
გარდატეხის პერიოდში ცხოვრებამ ჭკუის „მოხევა“ იცის,  
გონიერების დანაკარგით, ფაკირობით და უაზრო ფიქრით.  
გარდატეხის პერიოდში ცხოვრებამ გონის დანიხლვა იცის,  
ძველი, სათუო – სადავო შემეცნების ამოტრიალების გზით,  
გარდატეხის პერიოდმა სისხლის უხვმდინარეობაც იცის,  
რისთვის გვჭირდება ეს სისხლი, თუ შედეგი წინასწარ არ იცი?

## 521. ერთ ქალში

ძნელია ქალში მოიძიო ის, რაზედაც გიოცნებია,  
გიფიქრია, „გიშენებია“ და მცდელობით წარმოგისახავს,  
უფრო ძნელია ქალში ნახო ის მაღლი – კდემამოსილება,  
რაზედაც დედათქვენს უფიქრია, უამბია, უოცნებია.

## 522. განგების გულბრილობა

ყველა უშვილო სხვებზე გადაგებული ქალის როლს თამაშობს,  
ეს ყოველივე განგების გულმავიწყობას უნდა ავკიდოთ,  
რადგან ამქვეყნად ყოველი ცოცხალი არსება ქვეყნის ძირია,  
უშვილო ქალიც იმას იქმს, რაც სხვებისთვის მეტად ძვირია.

## 523. მარადიულობის შეცნობა

მშობლების წარმომავლობა განუმეორებელი ჯიშია,  
მარადიულობის გათავისება დაღვინების ნიჭია,  
მათდამი პატივის მიგება ასაკმისჯილისთვის ლხინია,  
ზოგჯერ მშობლების მაღლის შეცნობა დროის ყივილზე ჰკიდია.

## 524. ქალობა-ქალურობა

ქალობა შეძენილია, ქალურობა თანდაყოლილია,  
ქალობა გაცინებაა, ქალურობა ღიმილის ცოდნაა,  
ქალობა ქმრის მოთოკვაა, ქალურობა მისი ვნებით დაბმა,  
ქალობა დედობაა, ქალურობა სახელით მეტიჩრობა.

## 525. ღირხარ

თუ ვისმეს უყვარხარ, როგორც ადამი, ე.ი. რაღაცად ღირხარ, თუ ვინმემ აღგიქვა, როგორც ეშმაკი, ე.ი, რაღაცად ღირხარ, თუ ვინმეს შენზე აბოდებს, „აბოლებს“ ე.ი. რაღაცად ღირხარ, თუ ვინმეს სძულხარ და მაინც გაღმერთებს, ე.ი. რაღაცად ღირხარ.

თუ ჭორის დაყრასაც ფასი ადევს, ე.ი. მარად გამჩნევენ, თუ ჭორის გავრცელება იმიჯსა გვმატებს, ე.ი. გვაფასებენ... თუ ჭორის მითვისებაც ქურდობაა, ე.ი. რიდი აქვთ შენი, ჭორის – თუ კიდევ პლაგიატობსო, ე.ი. რაღაცად ღირხარ შენ.

ღირხარ, მაშინაც თუ საკუთარ მეს და თავსაც პატივს მიაგებ. ღირხარ, მაშინაც თუ სიკეთის კეთება გულით-სულით გინდება. ღირხარ, მაშინაც თუ საკუთარ ისტორიას შენს ერს უტოვებ, ღირხარ, მაშინაც თუკი ეგოიზმს და ჭკუას ერთად მოიხმარ.

## 526. სიყვარული დაავადებაა

სიყვარული დაავადებაა, განუკურნებელი მადლით, მის შეყრას ბედი უნდა და ყოფის ალბათობაცაა კარგი. ისიც მკურნალობს და წამლობს, მაგრამ არა გარეშეთა თვალით, ის ტვინის ღრძობას ვერ აფიქსირებს და ამითაცაა კარგი.

## 527. ნიჭის ნაჯაფი

ნიჭის უბადლობა ისაა, რომ შთამომავლობისთვის იღვნის, ნიჭის მადლი ისაა, რომ ერს მარად აფორიაქებს და იწვის. ნიჭსაც შეძახება სჭირდება გონივრულად თავის დაჭერით, შთამომავლებს სჭირდებათ ნაჯაფ-ნაღვანი გარანდული ნიჭი.



## 528. ადამის თავის მართლება

ადამი მიზნის მიღწევას ოცნება-ფანტაზიის შერწყმით ცდილობს, მასში მუდამ ბინადრობს სიკეთის და ეშმაკის ანგელოზი, მას გონება მარად ანუხებს როგორც თავისი, ისე სხვისიც, დღეს მისი კაცობით აღჭურვა მთავარია და უმთავრესი.

ანგელოზი

ადამთა უმრავლესობა საღ აზროვნებას მოკლებულია, ამ ნაკლის უკუგდებას თავის მოწონება-ყბელობით ცდილობს, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ბოლოს ყველაფერს ერჩევს, ეს არის მისი ამქვეყნად ყოფნის – გახანგრძლივების საიდუმლო.

საიდუმლო

ყველა ადამი ანმყოს, დროს თავის მეობით ერწყმის და იცნობს, ყოფიერების შეცნობით, თავის წარმოჩენის საიდუმლოთ, ადამი დროის შეხახვისთავებასაც თავის მეთი ცდილობს, მას არ ანუხებს ღმერთთან შეხვედრა და თავის მართლებას ცდილობს.

საიდუმლო

ადამის დამაჭრება სიბრძნის მოხმობის არის ერთი დარგი, ადამის დაღვინება გონის ხმობის არის მეორე დარგი, ადამის დამოძღვრა ჭკუის მოხმობით არის მესამე დარგი, ადამის კაცად დარჩენა განგებობისაა პრიმა დარგი.

პრიმა დარგი

ადამიანთა ნაწილი საკუთარ აზრითა იკვებება, ისიც გაუცნობიერებელად, ხშირად გამოუსადეგრად, ადამის გადარწმუნებაა ძნელი, მოთაფვლა კი ადვილი, სწორედ ეს არის ჯიში კაცისა და მას არაფერი შეეღის.

არაფერი შეეღის

ადამის ალოგიკურობა ქეშმარიტებისკენ მიილტვის, ზოგჯერ რატომღაც მხარში დგომას და პატივს ვერ იმსახურებს ის, ადამისთვის პატივის მიგება უნდა განსაზღვრავდეს რიდი, მაგრამ ყოველთვის ქეშმარიტებას ალოგიკურობა არ ჭირს.

ალოგიკურობა

ადამის სულის ექიმბაში, მასმედია, დრო და რწმენაა, მის ხორცს ყოველთვის განაგებს ხელისუფლება, დრო და შემთხვევა, ადამის უმთავრესი მიზანი გართობა არის ღრეობით, შემდგომ მოდის ღირსება, პატიოსნებაზე თავის დადებით.

თავის დადება

ადამი გვაოცებს, იმედებს გვიცრუებს, თავს სწირავს, ეწევა რისკს, სიცოცხლეს ეჯაჯგურება და თავისი მეს ნარმოსაჩენად იღვწის, სინამდვილეში იოლი ცხოვრებით თავის მოწონებას ცდილობს, მუდამ სივრცის მოპოვებაშია და ამისათვის გულთ იღვწის.

გულთ იღვწის

ადამს შესაფასებლად ჭკუა-გონი უნდა დაყვეს მას დიდი, რადგან მას მარად უზრუნველად აფასებს გონიერება თვისი, ადამის ყოფისა ბზიკია განგების ნაჩუქარი ნიჭი, თუ გაუჭირდა, ადამსაც მონახავს და მიეკვრება მისით.

ბზიკი

### 529. მხარის აგბეული

სინდისს არქივი არა აქვს უტიფრობას კი გონის ბიბლიოთეკა, მათს მახსოვრობას ხელს უშლის უმადურობა და უგნურობა, სინდისს ინტერნეტი არ სწყალობს, ცოდნა კი უიმისოდ მკვდარია, სინდისის დროა? წვიმა წვიმს; ცოდნის დრო არის? და დარია!

### 530. სამონუმენტო ქვა

ჭკვიანი ქალისთვის ქმარი მარად სამონუმენტო ქვა არის, მას თავის ჭკუაზე გამოთლის და მარად ამისთვის მზად არის, ქალს მუდამ ახლავს სულიერება – დროზე მორგების კაპრიზით, მას სურს რომ მისი ნაძერწი სულ გამოიჩეოდეს ხალხისით.

### 531. დროის ვირიჟილობა

გონიერება, მცდელობა დროის სირთულეს ეთანადება, სიზარმაცე და ურჩობა მარტივი ცხოვრებისკენ იხრება, ადამთა ორთქმავალ-ვაგონ დაყოფა ათა-ბაბიდან ითქმის, რომელი რომელს მიათრევს, ამას დროის განაჩენი იტყვის.

### 532. დროის მარიფათი

რწმენას, ბედის რაობას თავის ყისმათი ახლავს და განსჯის, ის მარად საუკუნეთა და დროის გახედვის ცდაშია, ის კერპთაყვანისმცემლობიდან ქრისტიანობამდე ამაღლდა, თუმცა განგებას შეეძლო ჩვენთვის სხვა ხედვაც ერუქებინა.

ჩამოვლენ უცხოპლანეტელები თავიანთ არსის ჩვენებით, ჩამოიტანენ გონიერების ჩვენთვის საცდუნებელ სეანსებს, შედეგად ადამის ძის ჭკუა კვლავ არჩევნის წინაშე დგება, და ის იმას აირჩევს, რაც მის ცნობიერებას ეაჯება.<sup>29</sup>

ასე რომ, რწმენაც, განვითარებაც დროის მარიფათს ეყრდნობა, რადგან ეს ცხოვრება მეტ-ნაკლებად ავსაც და კარგსაც ემხრობა, ამიტომაც ქვეცნობიერად შეცნობით ვმართავთ ჩვენს გონებას, გამორჩენისა და გონის სიცუღლუტით ვიძენთ დიდ ქონებას.

### 533. სულის ახალგაზრდობა

სულის მარად ახალგაზრდობს ადვილად ვერ იცავს ყველაო, სულსაც ალერსი სჭირდება, აზრს, კი ჭკუისა შველაო, სულო, მაღალო, ტიალო, ცას რამან გაგაშორაო, სულსაც მიპატიჟება სჭირდება, ჭკუა რომ დაალონოსო. სული თუ მარად მაღლა მიინევს, სხეული დაბლა რჩებაო!

---

<sup>29</sup> ეაჯება – ეხვეწება, ემუდარება.

### 534. თავის დაჰრენას ცდილობს

მიზნის მიღწევას ძე კაცი ოცნება-ფანტაზიით ცდილობს,  
მარად ბინადრობს მასში სიკეთის და ეშმაკის ანგელოზი,  
ნიადაგ ოცნება ანუხებს როგორც თავისი, ისე სხვისი,  
დღეს მისთვის მეობით წარმოჩენაა, მთავარიც და უმთავრესიც.  
ქალ-კაცთა უმრავლესობა საღ აზროვნებას მოკლებულია,  
ამ ნაკლის მოგვარებას ბრტყელ-ბრტყელი ყბედობა-ქაქანით ცდილობს,  
სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ ბოლოს ყველაფერს ეჩვევა,  
ეს მისი ყოფის გახანგრძლივების მარადი საიდუმლოა,  
ყველა ადამი არსებულ დროს, თავის მეობით ერწყმის,  
კარგი ცხოვრების მცდელობით, თავის გამოჩენა-წარმოჩენით.

### 535. ავი ღრუბელი

უგნურთ სამოქმედო არენა არ უნდა გაუთავისუფლოთ,  
რათა სხვებმა არ მიბაძონ და თავადაც მას არ დაემსგავსონ,  
ადამსა დასაპირისპირებლად ხელი არ უნდა უბიძგოთ,  
როს მოწმენდილ ცაზე არ გაჭირდეს ავი ღრუბელის შემჩნევა.

### 536. ხერხი

მდედრის მცდელობა ვნებისა ხმობით ეს ეშმაკობის ხერხია,  
მდედრის შეტევა ხიბლის ჩვენებით, ეს მომნუსხავი ხერხია,  
მდედრის არმიყი მიზნის დასახვით, ესეცა კარგი ხერხია,  
მდედრის სურვილი, მამრის მითვისების, ეს უკვე პროცესია!

### **537. სიახლა**

ადამიანთ მცდელობის სიხარბე განუსაზღვრელად დიდია, თუ ყოფას და გამოცდილებას მეტ-ნაკლებად გაცნობილია, ის მთელი ცხოვრება კენტის და ლუნის ურთიერთშერწყმას უნდება, მეს გონის მოწესრიგებით და სიახლის ძიებით აღსავსე.

### **538. მაღლის გათავისება**

სიამის მაღლის მიღებას სულიერების მოღლა სჭირდება, სიამის მაღლის მიღებას კაცის ხალასი ნიჭი სჭირდება, სიამის მაღლის გათავისებას გონის მოკრეფა სჭირდება, სიამის რაობაში გარკვევას მისი შეცნობა სჭირდება.

### **539. ბედისწერა ნიჭია**

დაამახსოვრო ხალხს თავი მარად – მომადლებული ნიჭია, ხალხმა რომ დაგიმახსოვროს – განგების ნაბოძვარი ნიჭია, პოპულარული რომ გახდე – დრო და გარემოს აღქმის ნიჭია, ისტორიის საკუთრება რომ გახდე – ბედისწერის ნიჭია.

### **540. რა უჭირს პოეტს**

პოეტს სულიერების მოძიება უჭირს და არა ფული, პოეტს ნიჭის საჩვენოდ მოხმარება უჭირს და არა ფული, პოეტს ტრფიალისთვის ზურგის შექცევა უჭირს და არა ფული, პოეტს სიცოცხლის წესრიგში მოყვანა უჭირს და არა ფული.

### 541. ფულის ბაცილა

იდეალებთან ჭიდილში ფულს მარად თავისი ფასი ედება,  
მაგრამ ყოფასთან ჭიდილში კი მისი შოვნის გზები ძნელდება,  
იდეალების ჭრაჭუნ ფულის ბაცილის შეყრამაც იცის,  
ფულის შემოტევას ვერ უძლებს და მას ეს სამყაროც ნებდება...

### 542. მემოზ არ დახურდავდება

მომხიბვლელობა მადლს კარგავს, თუკი სიამეს აღარ განიჭებს,  
ის ბრბოში, მასაში გვერევა და სიხარულს ველარ გვანიჭებს,  
ხიბლსაც შელიტინება სჭირდება ვნების აღლუმის მახეში.  
რომ კაცად-კაცი არ დახურდავდეს და თავს შეხედოს სარკეში.

### 543. სინდისი

სინდისის რაობას ადამიანი მხოლოდ ქცევისას ხედავს,  
ნამუსის საჭიროებას მისი აუცილებლობით ვხედავთ,  
„სინდისიც კარგი საქონელია“ – ნაცნობი აფორიზმია,  
მაშინ, ახლოს ვიყოთ სინდისთან! თუკი ის ჩვენს მეობას ხედავს.

#### 544. ოცნების საბრეხი

ქალს, მიმზიდველს, კაცი ხარბდება და ამით წარმოჩენას ლამობს,  
ქალის სისუსტეს კაცი იყენებს თავის ოცნების „საგრეხად“,  
ქალი თავის სიტყვებზე პასუხს არ აგებს, ალიბი აქვს ბევრი,  
ქალი ოცნებებს ეთამაშება, ვნებისა ნიჩბების მოსმით.  
ქალისთვის დანაპირები მარად უნდა დავაზღვიოთ ვნებით,  
ქალი დედობა-გართობას თავის მეს წარმოჩენითა ცდილობს,  
ქალი ყოფის მრავალფეროვნებისკენ მარად ინსტინქტით ილტვის,  
ქალს თავის განზომილება აქვს და ამიტომაცაა ქალი...

## **XIX. ცხრამეტმარცვლიანი ლექსები**

### **545. ბიუროკრატია**

ბიუროკრატიასთან შეხვედრა დასჯისა ერთ-ერთი სახეა,  
განსაკუთრებით იმათთვის, ვისთვისაც საქმის ჩანყოფა განძია,  
ბიუროკრატიასთან შეხვედრა ტრაგიკომედიის მახეა,  
განსაკუთრებით იმათთვის, ვისთვისაც საქმის კეთება ახია.

### **546. „ჰომოსაპიენსი“**

გენი, ფსიქიკა, ეკონომიკა განსაზღვრავს ჩვენს  
მსოფლმხედველობას,  
და არა იმ ერის სიყვარული, რომელსაც ფეხებზე ჰკიდებარ,  
თუ კაცის შეცდომების დანახვა, გონის მოხმობითაც არ უჭირს,  
მიზანს თავისით მიაღწევს და ბედსაც შეახსენებს ის თავის მეს.  
ადამის ნდობისა, კონტროლს დიდი სარგებლობა მოჰქონდა მარად,  
ხოლო მისი უკონტროლობა კი იწვევს ათას დავიდარაბას,  
კაცი ხშირად უმადურია, უგნურად ყოფის ყალბად ცხოვრების,  
ამასთან, არასაიმედოა ჰომოსაპიენსის ყივილი.

### **547. სიტყვის შენება**

ზოგჯერ თავხედობაც წარმოგვაჩენს და ერთგვარი გაუზრდელობა,  
მთავარია, რა დრო შეგხვდება, რა მასტის ხალხთან გინევს ყბედობა,  
კაცს სიტყვა არ უნდა წაართვათ, მოუკლათ, რომლითაც მარად  
იღწვის,  
მთავარია, სიტყვის შენებამ, ნგრევა არ გამოიწვიოს დიდი.



### **548. ბოლომდის გაუგე**

თუ მავან ქალსა ბოლომდის გაუგე, ის ქალი ქალი არ არის, თუ ქმარი თავის ჭკუაზე არ დაჰყავს, ის ქალი ქალად არა ღირს, თუკი ქალი თავის წლებს არ „იპარავს“, ის ქალი ქალი არ არის, თუ ქალი ხიბლსა არ ინარჩუნებს, ის ქალი ქალად არა ღირს.

### **549. კაპრიზების კურსი არ იცვლება**

ქალი თავის კაპრიზებს ასაკის შესატყვისად იცვლის და ფარავს, მამაკაცის პრეტენზიები წლების მატების დროსა კნინდება, ქალის პრეტენზიები მატულობს, კაპრიზის კურსი არ იცვლება, ხოლო მამრის პრეტენზიათა ჯამი, დევაღვირდება, იხრწნება. ქალების კაიფის ხვედრითი წილი სხვათა აზრს ემორჩილება, ჯერ თავისას ეცდება, თუ არა და დაქალისთვის ემეტება.

### **550. სიყვარულის მოხმობა**

ოცნების გათავხედება თავისთვის იღვწის, ჯირითობს ის ყველგან, ზნეობას გაითავისებს და ყოველგვარ მორალს გაუგებს ერთხანს, ვნების მოძიება ყოველგვარ დაბრკოლებების დაძლევის ხედავს, სიყვარული თუკი შეეპარა, ყველას მოუჯოჯრავს ის ერთხანს.

### **551. დეფიციტის მოგვარება**

სულიერების დეფიციტის მოგვარებას ეკლესია ცდილობს, ხორციელის დეფიციტის მოგვარებას ეკონომიკა ცდილობს, სიყვარულის დეფიციტის მოგვარებას გრძნობათა შერწყმა ცდილობს, მაგრამ რა ვუყოთ სიძულვილსა, თუ მის მოსპობას არავინ ცდილობს?

## 552. დროის ღალატში იწვის

ადამისთვის ყოველისშემძლეა დრო, რომლის დამუღამებაც უჭირს, რატომღაც სათავისო ქებას ის თავს არ ანებებს და მეობით იღვწის, კაცთა ძისათვის ბედი უჯჯათია და ხვალინდელ დღისთვის იბრძვის, ადამი მარად სიკეთის მონაა და დროის ღადარში იწვის.

## 553. ხელისუფლება

არც ერთი ხელისუფალი ხელის ჩამორთმევის ღირსი არ არის, არც ერთი ახლად არჩეული მთავრობა, საქმეში, ძველს ვერ სჯობნის. და რეალურად ხალხს რა სურს, რისთვის იღვწიან, თავადაც არ უწყით. თუმც ხელს მარჯვედ აწერს, ხელფასების და პრემიების უწყისს.

## 554. ჯილაგის შირწყმა

ადამს მარადჟამს ყოფნა-ცხოვრება ცუდსა და კარგს შორის უხდება, სიავე-სიკეთის ხელყოფით და მათ შუაში თავის გაყოფით, ადამიანის ძის მცდელობას ღირსების წარმოჩენაც უხდება ნამდვილი კაცის ამოცნობას დიდი ფიქრი და განსჯა უხდება.

## 555. დამოძვრა

ნიჭის უბედობა ისაა, რომ შთამომავლობაზედ ისვენებს, ბედნიერებაა, თუ ის ერს გულით აფორიაქებს, აღელვებს, ნიჭსაც შეძახება სჭირდება, გამხნეებით და აზრზედ მოყვანით, ნიჭსაც ხომ გამგრძელებელი სჭირდება გონის მოხიბვლით, დამოძვრით.

## 556. უგრძნობი კოცნა

სამშობლოს რაობა და გონიერების მადლი იმათ უგრძნიათ, ვის მამა-შვილის „უგრძნობი კოცნის“ მადლი გულით განუცდიათ. ხოლო გარდაცვლილის ჭიპლარი, ტვინი სამემრისოდ გაუყინიათ, და შუბლზედ ბოლო კოცნით მშობელი იმქვეყნად გაუსტუმრებიათ.

## 557. რჩევა-დარიგება

კაცს რჩევა-დარიგებით თავი ზედმეტად არ უნდა მოვაბეზროთ, რათა მივცეთ უფლება თავის ძალებით, გონით ითოხარიკოს, ჭკუის დარიგებას ისევ კითხვებზე, პასუხის გაცემა შეენის, საქმეთა მოგვარებით და საკუთარ მესთვის ხელის ჩამორთმევით.

## 558. ხალხია დამნაშავე

ხალხია დამნაშავე, თუ საზოგადოება უცნაურია, და ქვეყნის სამართ-საბრუნო საჭე უგვანო მასას უპყრია, აქ მარად პოლიტიკანობენ, დროს მორგებული „ვირიშვილები“, კენჭსაც იყრიან, კანონსაც თხზავენ, ეს ამბიციური „გმირები“, რადგან იდეა დაკარგულთათვის ყოველივე ერთილა ხდება, იმის მიუხედავად, საფიქრალ-სარჩევი რჩებათ თუ არ რჩებათ, და მათ დაპირებათა ანკესზედ, შედეგად თუ ვილაც ეგება, აქ მარად ხალხია დამნაშავე და არა არჩევის სისტემა.

### **559. ანიც და ბანიც**

ადამი თავს ბევრჯერ იტყუებს, რის გაკეთებას სხვა ვერ შესძლებდა, ადამი, რომელიც ნაღდად იხარჯება, ის ნაკლებ მომთხოვნია, ადამი თავის წარმოჩენისას მეტად პრეტენზიული ხდება, მოკლედ ესაა ადამის შეცნობა-გაცნობის ანიც და ბანიც.

### **560. უპულველყოფა**

უცნაურია კაცის ბუნება, გონს უკუაგდება არხეინად, მას შეუძლია უგნურებას გაუმართლებლადაც შეეხიდოს, დღისით იხულიგნებს, ავსა იქმს, გაითიშება უგნური წყრომით, ღამით თავს შეუძახებს ოცნებით და რევოლუციას გამოთხრის.

## XX. ოცმარცვლიანი ლექსები

### 561. ისტორიის გათავისება

ყველა საუკუნეს მისთვის გასაგები შიზოფრენია აწუხებს,  
ყველა დრო თავის მოჩვენებითი ფუფუნებისთვის ჩალიჩობს,  
იღვწის,  
ყოველი საათი თავისი არსის დამამტკიცებელ ფაქტებს ამხელს,  
ყოველი ნუთი ჩვენ გვერდით უსაქმოდ ყოფნას და დროის  
ფლანგვას ცდილობს.  
ყველა საუკუნე წილს ითხოვს მატთანეში გათხარეებით,  
ყოველი დრო თავის მეობას ებლაუჭება თავთან გაჯობებით,  
ყველა საათს თავის ვალი და ვახში ახსოვს მისი გასტუმრების ცდით,  
ყველას – ყოველს იმედი აქვს ერის ისტორიაში გაჯეჯილების.

### 562. რად გვარგია ასეთი

ჭკუის რეცხვა თუ დაბინძურება ჩვენს სურვილზეა დამყარებული,  
რისი სარეცხიც პოლიტიკაა, ჭკუის საფრქვევით დამყაყებული,  
ჭკუის რეცხვას ცდილობს დემოკრატიაც დროს პროგრესზედ  
გამოკიდებით,  
რა უნდათ ამ გაუსაზრის ჭკუიდან, რაში გამოდგება ასეთი.

### 563. რა დააშავა ჭკუამა?

ჭკუამა ის დააშავა – თავის ნაფიქრალს სათავისოდ ვერ იმკის,  
მის სახელით იღწვის „მასმედია“, უგვანობა და კიდევ ვინ იცის.  
გონიერება აკრძალვების გარეშე ჭკუა-გონებას ვერ იმკის,  
რას მოიმოქმედებს ეს ჭკუა კვლავაც, კიდევ რომ ვეცადოთ, განა  
ღირს?

## 564. სიკეთის კეთება

დაძალებული სიკეთის კეთება გონით „აუპატიურებს“ ხალხს, ერვევა სხვათა იმედით ცხოვრებას და ძალად „ისაჭურისებს“ თავს, გადაჭარბებული სიკეთის კეთება გადაავარებს მასას, ხალხს, სიკეთის კეთებასაც ზომა-წონა სჭირდება, რომ არ გაირყვნას სხვა.

## 565. ვალი

ვალს ბოლოში ყველანი ვიხდით, მაგრამ სხვადასხვა  
გაგება-შეცნობით,  
ურთიერთის ვალში ვართ მარად, ზემოთ ცა დაგვმზერის თუ მიზე  
გვაქვს ფარად,  
ვალის გასტუმრებას არავინ ჩქარობს, რადგან ვალს ერთმანეთს  
ვალობენ,  
ღმერთმა ეგ ვალი კვლავ გაგვიმყაროს, ურთიერთვალი არის სამყარო!

## 566. ყადაღა ჯერ არავის დაუდია

ჩვენი ბავშვობის გახსენებისთვის ყადაღა ჯერ არვის დაუდია,  
ჩვენი ოცნებების აკრძალვა, არ უჭყლეტიათ დღემდის გონია;  
ჩვენი ავად მოხსენიება, გაკიცხვა ჯერ არვის გაუბედია,  
ჩვენი მამულიშვილობისთვის ხინჯის ცხება ჯერ არ უკადრებიათ!

## 567. ადვილი

გულს თუ პენსიის წიგნაკს არ გააკარებ, – ეს ვაჟკაცობაა დიდი, წლების მატების მასხრად აგდება, მერწმუნე, არც ესაა ადვილი, სულიერების ძლიერად აღქმა – ეს სიბერეა ლალი და მშვიდი, რადგან სულსაც უნდა მივხედოთ, არც სიცოცხლის დაჯავშნაა ადვილი!

## 568. ერი

ერი ჩამოჰგავს იმ ადამს, რომელსაც აქვს წადილი, მყარი მიზანი, იგი მომავალს უმზერს ოცნებით, რომელიც მოქრის როგორც ისარი, მას წარმოდგენა არ აქვს, რა უნდა დატოვოს საუნჯის მაგვარი, რათა იმქვეყნად წასვლის საშვი მოიპოვოს ყოფის იმედით, მაღლით!

## 569. პატიოსნება

დღეს პატიოსანი ადამი წითელ წიგნშია შესატანი სხარტად, მათზე უნდა ვიზრუნოთ და ეს უნიკუმი უნდა დავიცვათ კარგად, ნესიერი ადამიანები მარად შორეულ ვარსკვლავებს ჰგვანან, სასურველია ძალად არ მოვიწოდოთ მათი ფეტიში და გარყვნა.

## 570. გაღის გინება

ჯეელობიდან განსხვავებით სიბერე სულ ბედის გინებაშია, დღევანდელიობიდან გონით იხსენებენ მის ყმანვილკაცობას  
საშურს,  
და სიბერეში რაც კი კარგია, ყმანვილკაცობის მონაქარგია;  
ჭკუა ღვინდება, ტანი მიძიდება, სულის სიმხნევე არას არგია!

### 571. დემოკრატია

დემოკრატის გამოღვიძება ადამთა გენის გაჯერებაა, დემოკრატია რიგის დაუცველად მომხრეს ეძებს მხარის დამჭერად, დემოკრატია თავისთვის იღვწის მარად ადამის ბუნების მსგავსად, რა არის ნაღდი დემოკრატია, ბევრისთვის დღესაც უცნობი დარჩა.

### 572. უმრავლესობა

უმრავლესობის რიცხვი დიდა, რომელსაც არ აქვს კრძალვა და რიდი, უმრავლესობას ძალუძს „ჩაშეება“ თავს შეგახსენებს და არის ფლიდი, უმრავლესობა მრავალთა მიმართ გამოირჩევა სიგრილით გულის, სამაგიეროდ მცირეთა მიმართ არის ტომარა ვერცხლის და ფულის.

### 573. პერ გამიგია

ჯეელობა, წვრთნა, აღზრდა, გზების ძიების გონის კროსვორდია, შენს მაგივრად სხვათა დასჯა, აღზრდის სინდისის შეჯერება მარად, დღეს აღზრდა სინდისს არ ეპუება, არც სინდისს მოსწონს აღზრდის წესები, რა გამოდნება ამ შეხლა-შემოხლით, ვერ გამიგია და რაღა ვქნა?



### 574. რისთვის?

ზოგჯერ კაცის მოკვლისთვის გაქებენ, ჯიშინი იყო თუ უჯიშო,  
ზოგჯერ კაცის დაჩაგვრისთვის გაღიარებენ გულითა თუ  
უგულითა,  
ზოგჯერ შეურაცხყოფისთვის გახალისებენ გონითა თუ უგონოდ,  
მთავარია, რა სჭირდებათ შენგან – სიმართლე თუ უსინდისო  
განსჯა?

### 575. გუნებას რომ ახარებ

პატიოსნად ყოფნა ამქვეყნად მხოლოდ არსებობის უფლებას  
გვაძლევს,  
მაგრამ ყოფის გათავისებას და გაჯირითების სამოსს არ გვაძლევს,  
მართალია პატიოსნება დღეს სწორი ცხოვრების უფლებას  
გვაძლევს,  
მაგრამ ეს ის პატიოსნებაა, ადამის გუნებას რომ არ არგებს.

## 576. საბასუბა ადამის გონიერებაზე

არის კაცი ჭუჭყს არ იკარებს, იმდენად სუფთაა მისი ნაღვანი, ზოგჯერ მან საქმე უნდა აკეთოს, თუნდაც ის იყოს სხვისთვის ახალიო  
კაცის ოცნების გულუბრყვილობას არ აქვს ზღვარი, მადლი  
საზღვარი, სიკეთის მომკა  
ის ცდილობს თავის მიამიტობით, სიკეთის მომკას ალიბის „ჩმახვით“.

ადამს ბედის იმედზედ ცხოვრების სურვილს ზოგჯერ არა აქვს  
საზღვარი  
ის მარად ეპოქას გონით მოძღვრავს და ეს მცდელობა, არაა  
ნაკლი ზღვარი  
არც მათ ქიშპობას, ურთიერთდასაჭურისების მცდელობას აქვს  
ზღვარი,  
მისი ცივილიზაციისკენ სწრაფვა, მცდელობა, არც ესაა ნაკლი.

ადამი ზოგჯერ ბრუნავს, ტრიალებს და მის ძვლებს გააქვს  
თითქოს ჭახჭახი  
მიამიტია ზოგჯერ ბეჩავი, პროსპექტად უჩანს ჭაობ-ჭანჭახი!  
იგი კულტურას ელაციცება, გემოდღვრავს, გვასწავლის რაა დიადი, საზღვარი  
მაინც დერვიშობს, ქიშპობს, იღწვის და არც მის მცდელობას არ  
აქვს საზღვარი.

ხშირად ცუდლუტობს, საქმეს ივინყებს, მის თვითნებობას არ  
აქვს ზღვარი, სიკეთის მომკა  
მხოლოდ ხანდახან, როს ავად არის, მას ამის გამო სდის ოფლის  
ღვარი, ოფლის ღვარი  
ადამიის უგნურებასთან დამეგობრებას არც ამას აქვს აზრი,  
უგულოდ ყოფნით გადამძღარ ადამის ყოფას, არც ამას აქვს ფასი.

ადამის ეშმაკობას, საქმის მიფუჩეჩებას, აქვს თავისი ზღვარი,  
ზოგი ადამი რომ კაცად დარჩეს, ამის სურვილსაც აქვს ზოგჯერ  
აზრი,  
მიჰყვეს გულისთქმას, სულის თილისმას – ესაა ყველა ჩვენგანის  
ვალი,  
მაგრამ სად არის ჩვენთვის სადარი, გულის ლადარი ალგზნების  
არსი.

ადამიანი გონებით ცდილობს, ეპოქას მისცეს რჩევა, დიადი,  
მისი ზრუნვაა სიკეთის სხივი, რასაც ვერ ერჩის ღამის წყვილიადი,  
ადამის თავის მეობით გაცნობის სურვილს აღარა აქვს დღეს ზღვარი,  
ადამიანს შესამჩნევ გარეგნობით, არც გონი სჭირდება, არც აზრი.

ადამის შეცნობა-გამოცნობის სურვილი, მარად საქმეა დიდი,  
ის მარად ყველგან პატივის მიგებას ითხოვს, თავის დაკვრით და  
რიდით,  
ის მისთვის საფეტიშო „ბაიკას“<sup>30</sup> თავად თხზავს, საკუთარ თავზე  
გორი  
რიხით,  
ის მარად გაურბის კრიტიკას, პირში მთქმელთ, სატანის ვირზედ  
შემჯდარი.

ადამმა თავადვე უნდა იკისროს მრჩეველის როლი და არა ღმერთის,  
ზოგჯერ მიზნის მისაღწევად მას ურჩხულის გამოგონება სჭირდება.  
ის მუდამ თავად აფრქვევს აზრებს, სამართლიანობის  
მომიზეხებით,  
შედეგად მის თავხედობას, არც ზომა აქვს, არც ზღვარი, არც  
მის მაგვარი.

30 ბაიკა – ზღაპარი, მონაწიერი, ზღაპარწერი.

მის გარემოს მიმართ გათავხედებას არც ზღვარი აქვს და არც  
საზღვარი,  
მაგრამ ყოფისთვის ის მაინც უნიათ ვირეშმაკად დარჩება მარად,  
მას ნაოცნებარ-ნანატრ მწვერვალთა დაპყრობა მოსწონს,  
იზიდავს ხარბად,  
ტვინის ჭყლეტის, გარჯის, მცდელობის, ხარჯზედ და ისიც  
გულის ფანცქალი.

გულის ფანცქალით

დღეს ადამის გამოცნობის კოდის დადგენაც გაადვილებულია,  
რადგან ზოგი ტრიბუნაზედ ძვრება და „პოლიტიკას“ ეჭიდავება,  
ან სახლშია, თავის ტაფაში ინვი და ინტერნეტს ეჩალიჩება,  
და ამა ყოფის ამოებას თავისი მძლე ხმით ეხმიანება.

ხმა

ადამის ენერგიით დამუხტვას გონის ადრენალინი სჭირდება,  
რათა მისდამი პატივისცემამ სიყვარულის ხარისხში იბარტყოს,  
ადამი ამქვეყნიური ყოფის მაღლით იქნებ არც უნდა გავაძლოთ,  
როს მოყირჭების ჟამს, ყოველივემ ფასი ნაადრევად არ დაკაგოს.

ადრენალინი

ადამს თანდაყოლილი შურიც კი ყოფის მოწესრიგებაში სწყალობს,  
ამბობენ შური თეთრიცაო და ალიბს გონის ხმევით ვიყენებთ,  
ადამი არც ყოფის სიძნელეს ეპუება თვით ეშაფოტზე ასვლით,  
ამბობენ იგი შორსმჭვრეტელიაო, დროს ამის დაჯერება უჭირს.

შური

ადამი ბუნების კანონებს ანგარიშს არ უწევს, ეპაექრება,  
ერთხელაც ბუნება, განგება ამ უგნურებისთვის ყურებს აახევს,  
მაგრამ ის თავისას მაინც არ იშლის და მასთან შეჭიდებას  
ცდილობს,  
რა ქნას ადამმა, თუ სწამს იმქვეყნად დაუსჯელად რომ  
გადაბარგდება.

გადაბარგება

ადამიანებს ურთიერთი უყვართ, მაგრამ არა თავზე მეტად,  
ადამიანებს მეგობრობა მოსწონთა – არა თავის რჩეულზე მეტად,  
ადამიანები ზოგჯერ სურთ ერთმანეთს გაუგონ, საკუთარ მეზე  
მეტად,  
ადამს ბოლოს ნაღდად რა მოსწონს, თავადაც არ უწყის ყველამ.

არა თავზე მეტად

ადამი აზრს აფრქვევს, გონება ფქვავს, არის მიმგნები სახის და  
ფრაზის,  
მის ყოველ გზნებას, წარმოთქმულ მცნებას უტყუარობის ბეჭედი  
აზის!

ვირეშაკია

ის თავხედია, ახლის მხედია, ვირეშაკაა ქვეშ-ქვეშა მძრომი,  
მისი ოცნება ცადა იტყორცნება, ვინ ეშმაკია, ვინ ტარტაროზი.

ტვინის ჭყლეტა, გარჯის მცდელობა ადამის საქმეზე მუდამ  
ჯანჯალი,  
ასეთი გახლავთ ადამის საქმე, ვისთვის კვერია, ვისთვის – ხანჯალი,  
მძლავრია მუხტი, ადამს რომ უხტის, კვერია მისთვის ადრე ნაგლინი,  
ყვავილის ტუხტის<sup>31</sup> სუნი რომ უდის, მისგან გვაქვს მეტი  
ადრენალინი!

ჯანჯალი

ადამის მოდგმის, მის ძეთა შვილთა გვჯერა ფიცი და ამაღ ვენდეთა,  
ადამიანებს უყვართ ერთურთი, თუმც მათი ბოლო არის ვენდეტა,  
ყოველი წყენა და მწარე ენა – ეს დამცირება ჩვენს გონს აქეზებს,  
მაინც არ არის დიდი ამბავი, თუ აქვს მაგივრის, შანსი გადახდის!

ვენდეტა

31 ტუხტი – ტუხტი მცენარეა ერთგვარი, ბალბასებრთა ოჯახიდან.

ადამს გამოწვევა ხშირად ეწვევა, ის განსჯისთვის მუდამ მზად არის, იმედი მისი მანამდე გვექონდეს, სანამ დანვაგდეს თმენის ლადარი, სულ მთლად აბუჩად, თითქოს ტყაპუჭად<sup>32</sup>, იგდებს იქ იმ მთას, აქეთ ამ ხევსა, მაგრამ არ უწყის, რომ ეს ბუნება თავხედობისთვის ცხვირსაც ააგლეჯს.

ზოგჯერ ადამის პროვოცირება მისსა გამოცდას ემსახურება, რათა „ექსტრემის“ გაჭირვების ჟამს ვიცოდეთ გულით ვენდოთ თუ არა, ადამის იმედი უნდა გვექონდეს მანამ, სანამ მოთმინება შესწევს, სანამდე ჩვენი ყოფის საათი თავს დაგვიკრავდეს და გაჩერდება.

სულიერება ის სამყაროა, რომელმაც ადამს სტესტუსი მისცა, ხოლო ხორცს მინის საკუთრებას, აყროლების სამუალებას უსპობს, სიჯიუტე მისალება, თუ გონიერება თავის ფას იღებს, მთავარი სულიერების მოვლაა, უგნურება რომ არ ამძაღდეს.

ადამი ყველა წყენას-დამცირებას სიამაყით მარად აიტანს, თუ მას რევანშის და სამაგიეროს მიგების იმედი ექნება, ადამი ყოფის, ყველა მორიგ ბედს, ავ-კარგს ფეხს ვერ დაუდებს, ნააქცევს, თუ ცივილიზაციას გვერდში არ დაუდგება და მხარს არ აუბამს.

32 ტყაპუჭი – ცხვრის მოსასხმელი ტყავი, ტანსათბური.

საჭირო ადამიანის აღმოჩენა „სიბრძნისაა მარად ერთი დარგი“, ხოლო გონზედ-ჭკუაზედ მოყვანა ესაა ყოფის მეორე დარგი, მისი კაცურ-კაცად გადაქცევა ესაა მესამე „სიბრძნის“ დარგი, ხოლო ადამის ადამიანად აღქმა სიბრძნისაა ყველა დარგი.

ყველა დარგი

სამყაროს გონიერების მომავალს გაგება-შეცნობა სჭირდება, ჩვენს მსოფლმხედველობას გონის მოკრეფა ჭკუის შეჯერებით სჭირდება, ჭკვიანი ადამიანის შეცნობას გონისა მოხმობაც სჭირდება, დროს უკან მოუხედავ მიმავალს, გონთანაც შეჭიდება სჭირდება.

ყველა დარგი

თანამედროვეობასთან ფეხის აბმას სული ებრძვის თავის ნებით, ადამი იმ ნუთებსაც ღიმილით დასცინის, როცა ის იყო ქველი, ტექნიკურ პროგრესთან ჭიდილს დაჭიტლავების ველარა იტანს ნებით, ადამის დროზედ მორგებასაც სჭირდება განგების ნება და ხელი.

სული განგების ნება

ადამის ბედნიერებას მარად ჭკუის მოხმობა სჭირდება ღმერთთან, ცხოვრების მადლი რომ შეიგნოს, თავის გამოდება სჭირდება ბედთან, კარგია, როცა რეალობით ოპონირებით, ყოფას ვუყურებთ განსჯით, ყველა განსაცდელს განრიდება სჭირდება განგების ნებით და მადლით.

განგების ნება

ჯერჯერობით ადამად ვრჩებით და არა გამოცდილების ტომარად, ყოფა შეცდომებითაც შესაძლებელია, გონს მოვუხმობთ თუ არა, ადამი მარად თავის დროს მსახურია ჭკუის მოხმობის წყალობით, ჩვენსა ბედს მაინც დროის ყვილი წყვეტს თავის მეობით თუ გაგნებით.

ტომარა

ამბობენ: „ადამი ბუნების შვილია“, ყურად ნუ იღებთ ამ ფაქტებს, ის გაუზრდელი თავხედი ბავშვია და თვალახვეულიც კი დაგვდევს, ადამი გონიერი არსებააო, გთხოვთ არ დაიჯეროთ, არა! მისთვის მთავარი მუცლის ამოყორვაა – ყოფისთვის მას ესლა დარჩა.

ესლა დარჩა

ადამიანში უპირობოდ კაცი უნდა შევიცნოთ, დავინახოთ, ჩვენი „მასტისაა“ თუა, ხელი არ უნდა ჩავიქნიოთ, გაწინროთ. ადამიანობა კომპრომისზე წასვლა სარგებლობის მოტანით, პირველია გულის ჩვენება და ესაა ძირითადი სლოგანი.

სლოგანი

### 577. ვისი ბრალია?

